კვირის პალიტრა

ფეხი

№50(79) 13/XII.-19/XII.2001. ფასი 60 თ.

1168
201

ნორვეგიელი სიძე ქართულად მღერის

ბრიცკოს და ფვილები ეჭვიანობის გამო მოკლა?!

დის ქორწილში ბრიცკო სულ იცინოდა

„მე გიჟი მძღოლი ვარ, კოტე კი მატარებელივით დადის"

გვ.9

სოფიკო ჭიაურელი:

„მიყვარს სისწრაფე. ამ ბოლო დროს, კოტე თითქმის აღარ ჯდება საჭესთან. უფრო ხშირად მე ვზივარ. ის კი გვერდით მიზის და ძალიან ღელავს — ყოველ სამ წუთში ერთხელ მეუბნება ხოლმე — „ნელა, ნელა“... ეს სიტყვა უკვე მექანიკურად აქვს აჩემებული“

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲘᲐᲜᲘ
№50 (79)
13 — 19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2001
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲐᲑᲐ, ᲒᲐᲐᲚᲔ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲘ ᲐᲐᲐᲐ!..“ 3
ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ
• ᲒᲠᲘᲪᲙᲝᲡ ᲓᲐᲛ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲔᲭᲕᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲛᲝᲙᲚᲐ?! 4
• ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ: „ᲔᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲘᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ“ 8
ᲥᲐᲚᲘ ᲡᲐᲭᲔᲡᲗᲐᲜ
„ᲛᲔ ᲒᲘᲫᲘ ᲛᲫᲚᲝᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲙᲝᲢᲔ ᲙᲘ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲓᲘᲡ“ 9
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲥᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲭᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 12
ᲤᲡᲙᲔᲠᲘ
„ᲓᲔᲓᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲘᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ“ 12
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
• ᲠᲐᲡ ᲔᲛᲡᲮᲕᲔᲠᲪᲚᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ? 14
• „ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲥᲡᲔᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ“ 14
• „ᲗᲐᲛᲣᲜᲘᲐ“ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲠ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲐ 15
ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
„ᲬᲐᲑᲐᲚᲐᲮᲔᲑᲘᲡ“ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ ᲐᲜᲣ „ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲛᲐᲠᲘᲐ“ 18
ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ
ᲐᲤᲝᲠᲘᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ 19
ᲔᲠᲝᲢᲘᲙᲐ-ᲨᲝᲣ
„ᲐᲛ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲛᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲞᲝᲕᲜᲘᲜᲐ“ 20
ᲐᲛᲑᲚᲔᲗᲐ
ᲒᲝᲒᲝᲜᲐ „ᲕᲔᲠᲘᲡ ᲣᲑᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ“ 22
ᲝᲯᲐᲮᲘ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲮᲘᲑᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲛᲐ ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲔᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘ... 25
ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ
ᲢᲔᲡᲢᲘ ᲔᲠᲣᲓᲘᲪᲘᲐᲒᲔ 27
ᲢᲠᲐᲜᲡᲠᲚᲘᲜᲢᲐᲪᲘᲐ
ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ, ᲓᲐᲠᲗᲝᲜ ᲛᲐᲗ ᲜᲔᲑᲐ, ᲒᲐᲧᲘᲓᲝᲜ ᲗᲘᲠᲙᲛᲔᲚᲘ 28
ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ
ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲨᲘ ᲐᲠᲔᲙᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ 32

ᲒᲠᲘᲪᲙᲝᲡ ᲓᲐᲛ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲔᲭᲕᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲛᲝᲙᲚᲐ?!

მე ჩავაცვი ლიას ტანსაცმელი, ხობში, ჩასასვენებელში რომ უნდა ჩაესვენებინათ, ხელის მომკიდებელიც არავინ მყავდა. ვინ დამეხმარებოდა? — მე ხომ მკვლელის დედა ვიყავი... ახლა კი, მეორედ აღმოვჩნდი ამ დღეში. ბედის ირონია არ არის, რომ ეს ორი გვარი ისევ შეხვდა ერთმანეთს?!.

4

„ᲔᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲘᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ“

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ: „ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲓᲐᲓᲒᲔᲡ ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲖᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ. ᲗᲣ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲐᲓᲘ, ᲛᲐᲡ ᲛᲝᲐᲗᲐᲕᲡᲔᲑᲔᲜ ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲘᲣᲚ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲬᲔᲡᲔᲑᲔᲜ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐᲡ. ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ...“

8

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ, ᲓᲐᲠᲗᲝᲜ ᲛᲐᲗ ᲜᲔᲑᲐ, ᲒᲐᲧᲘᲓᲝᲜ ᲗᲘᲠᲙᲛᲔᲚᲘ



ᲕᲐᲟᲐ ᲫᲘᲜᲫᲘᲑᲐᲫᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲘᲛᲐᲛᲠᲛᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲗᲘᲠᲙᲛᲔᲚᲘ. ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲘᲓᲔᲓᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲛᲠᲡ ᲐᲜ ᲓᲔᲓᲐᲛᲗᲘᲚ-ᲛᲐᲛᲐᲛᲗᲘᲚᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲒᲐᲡᲬᲘᲝᲜ ᲓᲝᲜᲝᲠᲝᲠᲑᲐ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲪᲘᲠᲔᲐ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲣᲠ ᲓᲝᲜᲝᲠᲗᲐ ᲐᲠᲔᲐᲚᲘ.

28

ᲒᲝᲒᲝᲜᲐ „ᲕᲔᲠᲘᲡ ᲣᲑᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ“

ᲪᲮᲠᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲤᲘᲚᲛᲨᲘ ᲗᲐᲛᲠᲝ ᲒᲐᲜᲕᲐᲡᲐᲮᲘᲔᲠᲔ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐᲛ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲛᲙᲕᲘᲓᲠᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲛᲔ ᲓᲐ ᲘᲐ, ᲪᲝᲢᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲡᲖᲔ. ᲗᲐᲜᲐᲪ, ᲡᲝᲤᲘᲙᲝᲖᲔ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲔᲤᲮᲕᲘᲐᲜᲝᲑᲓᲘᲗ.

22

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ტრადიციები

ქალის მოტაცება ფშავში წინათაც „მოდაში“ ყოფილა... 34

საგანძური

სამკაულები საგანძურსაც ამკობენ... 35

ფავორიტები

იენ ტორპი – „ტორპედო“ მწვანე კონტინენტიდან 36

მოგზაურის დღიურები

ოსტაპ ბენდერისგან განსხვავებით, ნამდვილად გამიმართლა – ოო... ბრაგილიო, ბრაგიალიო!.. 40

ვარსკვლავი

ქალი, რომელმაც უამრავ გოგონას ოცნება წაართვა 44

რომანი

ნუგზო ბაშელი. ტარაკანა (დასასრული) 47

ტესტი

ერთგული მკითხველი 49

აქეთური-იქითური 50-51

პეტრ 52

ჯანმრთელობა

- გრიპი 54
- მოყინვა 55
- დიასახლისის კუთხე 56
- ხალხური მედიცინის საგანძური 56
- კითხვა-პასუხი 57

გვირგვინოსანი

მოჩერჩეტო პრინცი, რომელიც ღირსეულ მონარქად იქცა 58

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (17-23 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის გარშემომყოფთა აგრი 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში მრავალჯერ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

როგორ მოსიზლა ქართველმა პოეტმა ნორვეგიელი მუსიკოსი...

სვენ ვოგე მშვენიერი ქართველი ქალისა და ქართული სიმღერის სიყვარულმა მართლმადიდებელ ქრისტიანად მოაქცია და საცხოვრებლად საქართველოში დააფუძნა. „აი, ამ დროს სვენი მეუბნებოდა: იცი, როგორ მიყვარხარო?!“ – იხსენებს თაკო ქორწილის დღეს...

25

„ამ სამსახურმა დიდი სიყვარული მაპოვნინა“



ამ დროს ერთ-ერთმა მოცეკვავემ ოთახში შემოიხედა და დანარჩენებს აუწყა: „დღეს „ბეგ პონტა“ იქნება, შემოსასვლელ ფულს ძლივს იხდიან და ჩვენ ჩაგვიდებენ ფულს?“

– მაინც უნდა ვიცეკვოთ, რაც გამოვა, ის გამოვა. სხვა რა გზაა? – უპასუხეს დანარჩენებმა.

20

ოსტაპ ბენდერისგან განსხვავებით, ნამდვილად გამიმართლა



ათი დღე დავყავი ქუნიოს სახლში და პირველი ოთხი დღე მას მხოლოდ საუზმის დროს ვხედებოდი, მოვიდოდა, ერთ ფინჯან ყავას დალევდა, ბოდიშს მოიხდიდა, თავის არგენტინელ ვნებიან მეუღლეს მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდა და საძინებლისკენ „იღებდა გეზს“...

40

ლაზარეთი

– მართალი ბრძანდებით! აბა, ჩემგან რა მამა უნდა დადგეს, ნინიკო დად უფრო შემეფერება, არა?! ან, უფრო სწორედ საყვარლად, ჰა?! არა, ზოგმა შეიძლება იფიქროს, მისი გაუპატიურება სურს და იმისთვის მიჰყავსო! – გიჟივით გადაიხარხარა.

47

„აბა, გააღე პირი და თქვი: ა-ა-ა-ა!..“



პირის გაღების, „ა-ა-ა“-ს თქმისა და „აბი გლუკოზას“ ამბავი ყველას გვახსოვს და ისიც ვიცით, რომ ეს უებარი პრეპარატი, ბროწეულის ოყნასთან ერთად, ყველაფრის წამლად მიაჩნდა ერთაოზ ბრეგვაძისა და „ბიძია-ბაბუას“ მკურნალს – პარიზში განსწავლულ ბატონ ნოშრევანს...

მაგრამ ახლა სხვა „პირის გაღებაზე“ მინდოდა მეთქვა და სათქმელი, ტრადიციულად, ერთი ძველთაძველი, „უძრაობის ხანის“ დროინდელი ანეკდოტით დავიწყოთ, მაშინდელით, როდესაც ჩვეულებრივ შეკითხვას: „ხელფასი რამდენი გაქვს?“ ასევე „ჩვეულებრივი“ მეორე შეკითხვა მოჰყვებოდა ხოლმე: „ხელფასის გარდა – „ხალტურა“?“

მოკლედ, ხვდება სახელმწიფო დამსახურებული კაპელის მომღერალს ძველი ნაცნობი და ეკითხება:

– რას შვრები, სად მოღვაწეობ?

– სახელმწიფო კაპელაში ვმღერი.

– ხელფასი რამდენი გაქვს?

– 120 მანეთი.

– სხვა – „ლევი“, „ხალტურა“?..

– კი, როგორ არა – სხვები რომ მღერიან, მე მარტო პირს ვაღებ ხოლმე!

– „მალადეც“, ძმაო! „ხალტურა“ ეგ არის, თუ არის!..

საერთოდ, ანეკდოტი ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ჟანრია და მას ზოგი მეცნიერი იუმორისტულ სტილში გადმოცემულ ფოლკლორულ იგავ-არაკსაც უწოდებს, იგავი კი იმის იგავია, რომ ჭკუა გვასწავლოს და დასკვნები გამოვიტანოთ. თანაც, რაც მთავარია, თვით მასში მოთხრობილი ამბავი ტყუილი, გამოგონილი უნდა იყოს, მაგრამ მორალი, მისი განზოგადებით უნდა გამოდიოდეს. ამიტომაც უწოდა დიდმა სულხან-საბამ თავისი იგავების კრებულს „სიბრძნე სიცრუისა“. სწორედ „სიცრუისა“, რადგან იქ არარეალური ამბებია მოთხრობილი, რეალურად დასაფიქრებლად.

ერთი სიტყვით, ეს „მეცნიერული ექსკურსი“ იმისთვის დამჭირდა, რომ ზემოთ ნახსენები ანეკდოტის შესახებ გამეკეთებინა „მეცნიერული დასკვნა“: ეს ანეკდოტი, ანეკდოტი აღარ არის, აღარც იგავია, რადგან მასში „მთავარი კომპონენტი“ – „სიცრუე“ გაქრა: XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, სახელმწიფო კაპელაში არ ვიცი და, ქართულ ესტრადაზე უბრალოდ „პირის გაღება“ და ამით „გახალტურება“ სიცრუედ კი არა, ერთობ ჩვეულებრივ ამბად იქცა.

კარგი რამ არის დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა – უფრო ღირსეულად თავის წარმოჩენის საშუალებას გაძლევს კაცს: ვისაც ადრე სპეკულანტი და ქორვაჭარი ერქვა, – ახლა კომერსანტი ეწოდება, ვისაც წინათ „საქმოსნად“ და „კომბინატორად“ ნათლავდნენ, – ახლა „ბიზნესმენობა“ შეუფერებია, „ყრუობის ეპოქაში“ რომ „პედერასტებს“ ეძახდნენ, – ახლა „გეებად“ და „ცისფრებად“ „გაკეთილშობილდნენ“ და ა.შ.

ასეა „პირის გაღების“ საქმეც: ადრე რომ „ხალტურა“ და „მამაძაღლობა“ ერქვა, იმას ახლა „პლიუსავი ფონოგრამაზე სიმღერად“ მოიხსენიებენ და მიდიიი – უბერავენ!

ორიოდე დღის წინ ერთი მკითხველის წერილი მივიღე, რომელიც ბარათის დასაწყისში აღფრთოვანებას გამოხატავდა ჩემი „პროვოკაციებისა“ და ზოგადად – ჩემი უსაზღვრო ნიჭიერების გამო და უკვე ამაზევე შევატყვე, რომ ჭკვიან ადამიანთან მქონდა საქმე. აღფრთოვანებული დავრჩი, როდესაც წერილი ბოლომდე ჩავიკითხე და წინასწარ დავრწმუნდი, რომ ის თემა, რომელზეც ისედაც ვფიქრობდი, მკითხველისთვისაც აქტუალური ყოფილა.

მოკლედ, იმ ქვეყანაში, სადაც სიმღერა მხოლოდ სიმღერა არ არის, ამდენი მსმენელის გაბითურება სულაც არ არის მხოლოდ უწყინარი „ხალტურა“, – ეს, ჩემი აზრით, რაღა თქმა უნდა, ჩვენში ესოდენ დამკვიდრებული კორუფციის ჩვეულებრივი მაგალითია!

ბოლოს და ბოლოს, რა არის კორუფცია?! – იმ ფულის აღება ან იმ საქმისთვის ფულის აღება, რაც არ გაგიკეთებია!

ჰოდა, თუ ერთ კაცს მაინც ნახავთ ფილარმონიის გადავსებულ დარბაზში, რომელიც იტყვის, რომ ზოგიერთი, უკაცრავად პასუხია და, მომღერლის პირის ცმაცუნისა და უკანალის თამაშის სანახავად გადაიხადა ფული და არა მისი სიმღერის მოსასმენად, მე ვიყო მაგათნაირი მომღერალი! მერე, მღერის ვინმე?! – არა! ე.ი. იღებენ ფულს სიმღერაში, მაგრამ არ მღერიან, – კორუფციაც სხვა კი არაფერია!

არ იცი სიმღერა?! უნიჭო ხარ?! ყრუ და ბლუ ხარ?! რა გინდა, ძმაო ხარ თუ დაო, თუ რაღაც „მათშორისო“, სცენაზე?! – უნიჭოებისთვის, ყრუებისთვის და ბლუებისთვის სხვა დაწესებულება გაუჩენია ღმერთს საქართველოში – წადი და დაჯექი პარლამენტში.

ერთი სიტყვით, ყველა დანაშაულს თავისი სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს და ასეთი „ხალტურშიკებისთვისაც“ ვთავაზობ ვისაც ჯერ არს, საკადრის სასჯელს: ძალდატანებით ასწავლონ ნოტები, მერე „ცოცხლად“ ამღერონ (თუკი ამას სიმღერა ერქმევა), მერე ერთი თვე ჩაკეტონ დიდდინამიკებიან ოთახში და თავიანთი „ნამღერი“ მოასმენინონ!

P.S. ორი კარგი საქმე გაკეთდება – თან ჭკუას ისწავლიან და თანაც ამდენი სმენაგამახვილებული და ყურებდაცქვეტილი ხალხის ხელში ლამის უსაქმოდ დარჩენილ ოტოლარინგოლოგებსაც, საკუთარი „სიმღერით“ დაყრუებული პაციენტები შეემატებიან!

ალალი არ იქნება ამათზე ბროწეულის ოყნა?!

პროვოკატორი

გრიცკოს დამ შვილები ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა?!

გრიგოლ ხურცილავას ოჯახი შოკშია! მის მეუღლეს — შორენა ალანიას, ნათესავები თავს დასტრიალებენ. გრიგოლ ხურცილავას დედა, ცოლი, დები, დეიდა და დეიდაშვილები ერთხმად აცხადებენ: გრიცკო გიორგი სანაიას არ მოკლავდა!

ლელა ჭანკოტაძე

...გრიცკოს მამა გრიგოლ ხურცილავა 32 წლის განმავლობაში მუშაობდა მომარაგების, გასაღებისა და კომპლექტაციის სამმართველოს უფროსად. ის წარმოშობით ხობელი იყო. ცოლ-შვილს უზრუნველად, ფუფუნებაში აცხოვრებდა. მას შემოკლებით ეძახდნენ „გრიც... გრიც...“ თავის ვაჟსაც, თავისი სახელი დაარქვა. ახალშობილს აკვანშივე შემოკლებით დაუძახეს: „გრიც“. ასე შეარქვეს ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა მეტსახელად, გრიცკო.

გრიცკო და შორენა ცხრა წელია ერთად ცხოვრობენ. მათ ორი შვილი ჰყავთ. უფროსი გოგონა, საინფორმაციო გადაცემების დაწყებისთანავე, ყურებზე ხელებს იფარებს და ოთახიდან გარბის ხოლმე.

ხურცილავების ოჯახში ძველმა იარამ გაიხსნა პირი. ექსპერტიზის თანახმად, თითქმის რვა წლის წინ, გრიცკოს დამ შვილები დახოცა და თავიც მოიკლა... მკვლელობა თბილისში, ხილიანის ქუჩაზე მოხდა. ოჯახის უფროსმა, თენგო ჩხაიძემ სახლის კარი რომ შეაღო და ცოლი განგმირული დაინახა, ყვირილი ატეხა და მეზობლებს უხმო. მეორე დღეს სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა. ხურცილავებმა მომხდარი ტრაგედიის შესახებ მხოლოდ ამის შემდეგ შეიტყვეს, თანაც — ქალაქში გავრცელებული ჭორების შედეგად.

რვა წლის შემდეგ ხურცილავები ამ ტრაგედიაზე ალაპარაკდნენ, რადგან გრიცკოს დაკავების დღიდან, არ ცხრება მითქმა-მოთქმა ხურცილავების გენეტიკური, ფსიქიკური მოშლილობის თაობაზე. ამასთან, ლიას ქმარი — გიორგი სანაიას სიმამრის ძმაა... ბედმა ხურცილავები და ჩხაიძეები ტრაგედიით კიდევ ერთხელ, დააკავშირა ერთმანეთთან...

ლია ხურცილავამ თბილისის 101-ე საშუალო სკოლის რვა კლასი დაამთავრა. შემდეგ ის ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში გადავიდა. ხატვა ძალიან უყვარდა თურმე. გრიცკოსა და მისი დების სახლები ახლაც სავსეა ლიას ნახატებით.

ვესაუბრები **დოდო ხურცილავას**, *გრიცკოს დედას.*

— ქალბატონო დოდო, რამდენად შესაძლებელია, გრიცკოს მკვლელობა ძველი ტრაგედიის გამო, შურისძიების მიზნით მოეხდინა?

— ეს რომ ნდომოდა გრიცკოს, მაშინ თავის სიძეს მოკლავდა. რვა წელია, რაც ჩვენ და სიძის ოჯახმა ურთიერთობა გავწყვიტეთ. არანაირი კავშირი ჩვენ შორის აღარ არის. რვა წლის წინ, როცა ეს ტრაგედია მოხდა, ხათუნა ბავშვი იყო. სანაია რომ მისი ქმარი გახდა, ჩვენ და გრიცკომაც პრესიდან გავიგეთ. ჩემმა ქალიშვილმა დამირეკა და მითხრა: სანაია ჩხაიძეების სიძე ყოფილაო.

— ტრაგედია როდის დატრიალდა? რა შეგიძლიათ გაიხსენოთ იმ ავბედითი დღის შესახებ, როცა თქვენი ქალიშვილი და შვილიშვილები დაღუპულები ნახეთ?

— ეს მოხდა 1994 წლის 27 თებერვალს. ტრაგედია დატრიალდა ხილიანზე. ჩემი სიძე ხობელი იყო. მას თავისი შვილები ხობში უნდა წაესვენებინა. მე შემეძლო ჩემი შვილის ნეშტი წამომესვენებინა, მაგრამ დედა და შვილები ერთმანეთს არ დავაშორე. ამ ამბავს ჩემი მეუღლე გადაჰყვა. ჩემი სიძე — თენგო ჩხაიძე უდანაშაულოდ ცნეს. წარმოიდგინეთ, უბედურების დღეს ის სახლში იყო. გავიდა და მაშინ მოხდა ეს უბედურება. სიძეზე მე ეჭვს ვერ მივიტან, მაგრამ ცოლ-ქმარს შორის რაც ხდებოდა, ეს სიძეს უკეთ ეცოდინება, ვიდრე მე. ჩემს სიძეზე ახლა ვერც ვილაპარაკებ და არც ვილაპარაკებ. ყველაფერი, რაც თავის დროზე სიძესაც ჰქონდა აღიარებული, მე მაშინ გამომძიებელს ვუთხარი. არაფერი ეშველება ჩემს გარდაცვლილ შვილს, ამიტომ აზრი არა აქვს, იმ საქმეში რომ ვიქექო. ყველაფრის მეშინია. მით უმეტეს, რომ მეუღლე არ მიდგას გვერდით. მაშინ გამწარებულმა არ დავადე სიძეს ხელი და ახლა მით უმეტეს... მაგრამ ძალიან მწარეა იმასთან შეგუება, რომ ჩემი შვილი ასე ადვილად გაწირეს. ჩემი შვილი გიჟი არ ყოფილა. ეს მას დაჰბრალდა. მშობიარობის შემდეგ, მას მცირე დეპრესია ჰქონდა და ეს არ ნიშნავს, რომ ის გიჟი იყო. მეუღლე თვე-ნახევარი წასული იყო, ლია კი მარტო ცხოვრობდა ორ შვილთან ერთად. შეიძლებოდა, მისთვის ენდოთ ბავშვები, თუ ის გიჟი იყო?

შორენა ალანია და დოდო ხურცილავა

— ბებია რატომ ამბობს, რომ ხათუნას მამამ (გიორგი სანაიას სიმამრმა) ანუ ლიას მაზლმა, არაფერი გააკეთა მაშინ ჩვენთვისო?

— ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის რა-

ტომ გააკეთებდა რაიმეს? – მათ ხომ ჩემს შვილს დააბრალეს ეს მკვლელობა! ბებია ასაკოვანი ქალია და მან ამიტომ თქვა ასე. ხათუნას მამა მე რატომ დამეხმარებოდა? – ჩვენ ხომ მაშინ მტრები ვიყავით. ხობში, ჩემი მეუღლე, სადაც იგი საპატიო მოქალაქედ ითვლებოდა, მკვდარივით იდგა: როგორი ასატანია? – მისმა შვილმა შვილები დახოცა! იქ მეც ვიყავი, როგორც მკვლელის დედა. როცა მეტყოდნენ, ხმამაღლა ნუ ტირიხარო, ვჩუმდებოდი, რადგან დამნაშავის დედა ვიყავი.

შორენა, გრიცკოს მეუღლე:

– ჩემთვის გაუგებარია გაზეთებში გავრცელებული აზრი, რომ თუ და ჰყავდა ფსიქიკურად დაავადებული, მაშინ თვითონაც ასეთი იქნებოდაო. მიაჩნიათ, რომ მათ გენეტიკურად ფსიქიკური აშლილობა აქვთ.

დედა:

– როცა ამბობენ, რომ გრიცკო აფხაზეთში იბრძოდა და შესაძლებელია, მისი ფსიქიკური აშლილობა აქედანაც მოდიოდესო, არ არის სწორი: გრიცკო სულ ორჯერ იყო იქ წასული და იმდენი ხნით არა, რომ მის ფსიქიკას რაიმე დაშავებოდა. ჩემი შვილი აბსოლუტურად გაწონასწორებული იყო. დიდი მსმელი გრიცკო არ არის. შეიძლება, ექვსი თვე გავიდეს ან წელიწადი, რომ არ დალიოს, მაგრამ ნასვამს ხასიათი უნდა შეუწყო, – ისევე, როგორც მამაკაცების უმეტესობას. ამაში მე მგონი, განსაკუთრებული არაფერია.

— შეუძლებელია იმ ტრაგედიის დღეებში არ გეფიქრათ, რომ თუკი მიიღებდით ბრალდებას, თითქოს ლიამ დახოცა შვილები, ეს ოდესმე ცუდად შემოგიბრუნდებოდათ. თუკი დარწმუნებული არ იყავით, რომ ლია მკვლელი იყო, რატომ გაჩუმდით? ეს ჩემთვის გაუგებარია.

– ექსპერტიზა ჩატარებული იყო, როცა დედაჩემმა დამირეკა და მითხრა: მგონი, ლიამ თავი მოიკლა და ბავშვები დახოცაო. მეორე დღემდე ჩვენ არაფერი ვიცოდით. როცა ეს ამბავი ჭორად გავიგეთ, წავედით და ექსპერტიზაც ჩატარებული დაგვხვდა. გვამებს უკვე ხობში გადასასვენებლად ამზადებდნენ...

— თქვენ როგორი ურთიერთობა გქონდათ ლიასთან და მის ქმართან?

– იყო ისეთი შემთხვევაც, რომ მე ჩემი შვილი სიძისგან წამოვიყვანე. მერე ისევ შერიგდნენ. ლიამ მშობლები თითქოს დაგვკარგა. ლიამ ძალიან მძიმე დღეები გადაიტანა. არ მინდა რვა წლის შემდეგ ამაზე ვილაპარაკო... ტრაგედიამდე ორი დღით ადრე, ლიასთან სახლში იყო სტუმრად თავისი და. უამბო მას: ბავშვის ცეკვაზე მიყვანა მინდა, დიდი გეგმები მაქვსო... ორი დღის შემდეგ ასეთი უბედურება დაატრიალა?! წარმოუდგენელია.

— ვისი იარაღით მოხდა მკვლელობა?

– ჩემი სიძის იარაღით. მაშინ არეული დრო იყო და ყველას ჰქონდა იარაღი... არავის სჯერა, რომ ლიამ დახოცა თავისი შვილები. მე უკვე დასვენებული მიცვალებულები ვნახე და როგორ ჩატარდა ექსპერტიზა, ვინ ესწრებოდა, ვინ ხელმძღვანელობდა, ჩემთვის უცნობია.

— ლია თქვენ გაზარდეთ და მას ყველაზე უკეთ თქვენ იცნობდით. შეეძლო მსგავსი უბედურების დატრიალება?

– მე მკვლელი არ გამიზრდია. ვინც ლიას იცნობდა, ყველა გეტყვით, რომ ის თავის შვილებს არ დახოცავდა.

— სიძემ რა გითხრათ? როგორ შეგხვდათ? — როგორც მკვლელის დედას თუ როგორც მისი ტკივილის გამზიარებელს?

– სიძე მე არ მინახავს. ვეხვეწებოდი ხათუნას მამას, შეგვახვედრე თენგოს-თქო, ჩემი მეუღლეც ეხვეწებოდა... ჩვენ მეექვსე შვილი გვაკლია, საფლავი გვაქვს, გვინდოდა, ლია და ბავშვები მის გვერდით, თბილისში დაგვესაფლავებინა. სიძე რომ გვენახა, ის უარს არ გვეტყოდა ამ სურვილზე. მაშინ ხათუნას მამა იყო ოჯახის უფროსი. მან არ შეგვახვედრა თენგოს. თენგო დაკრძალვამდე, სახლის პირველ სართულზე იწვა, დამამშვიდებელი წამლებით გათიშული, მეორე სართულზე კი, მიცვალებულები ესვენნენ...

დგას მარჯვნიდან მეორე გრიგოლ ხურცილავა მეუღლესთან ერთად. წინა პლანზე მათი შვილები (მარცხნიდან): ძაბული, მანანა, ლია, ნანა და გრიცკო

თამუნა

თენგო და ლია ქორწინებისას

— დაკრძალვის შემდეგ არ მოსულა თენგო თქვენთან?

— მოვიდა. ნასვამი იყო. იტირა, მუხლებზე დაემხო, ეს რა გამიკეთა ლიამო — ამბობდა, წლისთავზე მეც მათ გვერდით ვიწვებიო.

შორენა:

— ამბობდა, ჩემი ბრალია, ასე რომ მოხდა, ლიას მე ვერ გავუგე, ვერ გავუფრთხილდიო.

დედა:

— მეუღლე რომ გარდამეცვალა, მაშინ აღარ მოსულა თენგო. ალბათ, ვერ გაიგო... გაზეთებით გავიგეთ, რომ უკრაინაში ცხოვრობს, ჰყავს ცოლი და შვილი. ერთხელაც იყო წლების შემდეგ მოსული, მაშინ მითხრა: ბიჭი მყავს და ჩემი სახელი დავარქვიო. არაფერი მისაყვედურებია მისთვის. მასში ეჭვი არც არასოდეს შემიტანია. წუთითაც არ მიფიქრია, რომ ცოლ-შვილს დახოცავდა, მაგრამ ვინც ლია და ბავშვები დახოცა, ეს თენგოს შეიძლება სცოდნოდა.

შორენა:

— თენგო ბიზნესს მისდევდა, ისეთი დიდი ფულის პატრონი იყო, რომ შეიძლება, ვინმემ ეს სპეციალურად გაუკეთა. მაშინ ჩემი გოგონა ანა ერთი თვის იყო...

დედა:

— სხვათა შორის, ჩემი დაღუპული შვილიშვილი ძალიან ჰგავდა გრიცკოს. ანაც (გრიცკოს შვილი. — ავტ.) ჰგავს გრიცკოს. ამიტომ, მე ოთხი თვე მას ვერ ვეკარებოდი, ხელში ვერ ამყავდა. თამუნა ჩემი გაზრდილი იყო. წელიწად-ნახევარი ჩემთან მყავდა, მე ვზრდიდი. ლია აკადემიაში სწავლობდა, სანამ სწავლა არ დაამთავრა, ჩემთან ცხოვრობდა, მერე ქმართან წავიდა ხობში.

— თენგო და ლია სიყვარულით შეუღლდნენ?

— ჩვენ ხობშიც გვაქვს სახლი. ნათესავმა მოიყვანა თენგო ჩვენთან. მერე აღმოჩნდა, რომ ჩემი მეუღლე და თენგოს მამა თანაკლასელები იყვნენ. დიდი ხნის ურთიერთობა თენგოს და ლიას არ ჰქონიათ. ჩემმა ნათესავმა შეუწყო ხელი და გაჰყვა... მე მკვლელი შვილები არ გამიზრდია. გრიცკოზე რომ ამბობენ, ფეთქებადი იყოო, არ არის სწორი. არ მახსოვს, ბავშვობაშიც კი, თავისი დები რომ გაელახოს. წონასწორობიდან არასოდეს გამოდიოდა.

შორენა:

— ოჯახის წევრებს აღმერთებდა. უტკბილესი მამა იყო. ვუტოვებდი ბავშვებს თამამად. დაღლილიც რომ მოსულიყო, ერთ საათს მაინც ითამაშებდა ბავშვებთან. მათ ყველაფერს უსრულებდა. ჩვენ იდეალური ოჯახი გვქონდა.

დედა:

— სიზმარში ერთად ვნახე ჩემი შვილი ლია და ჩემი შვილიშვილები. მას შემდეგ მშვიდად ვარ.

— რამდენი წლისები იყვნენ ლიას შვილები?

— ბიჭი ვლადიმერი ოთხი თვის იყო, გოგონა თამუნა კი, იმ წელს შევიდოდა სკოლაში. ლიას ძალიან უყვარდა შვილები. სხვაგვარად ალბათ, წარმოუდგენელია. მე მგონია, არც ერთი დედა არ გაიმეტებს სასიკვდილოდ შვილებს... ლიას გასვენების შემდეგ, ჩემი მეუღლე ლოგინად ჩავარდა. ხუთ მარტს გაასვენეს ჩემი გოგო, ექვს მაისს დავკრძალე მეუღლე, მე დავუხუჭე თვალები. მიკვირს, ჭკუაზე როგორ ვარ... ჩემი შვილის საფლავზე ოთხი წელია არ ვყოფილვარ. ბოლოს რომ ვიყავი, ორი საათი ვიდექი საფლავზე და ცრემლი არ გადმომვარდნია. მატირეთ-მეთქი, ვიხვეწებოდი... მეშინია საფლავზე გასვლის. მე ისე ჩავალ მიწაში, მის საფლავს ვერ ვნახავ... მე ჩავაცვი ლიას ტანსაცმელი, ხობში, ჩასასვენებელში რომ უნდა ჩაესვენებინათ, ხელის მომკიდებელიც არავინ მყავდა. ვინ დამეხმარებოდა? — მე ხომ მკვლელის დედა ვიყავი... შორენას დედა მომეხმარა... მკვდარ შვილს თავად ჩავაცვი. მის ჭრილობას ხელი გადავუსვი... ახლა კი, მეორედ აღმოვჩნდი ამ დღეში. რა დავაშავე ასეთი?! ბედის ირონია არ არის, რომ ეს ორი გვარი ისევ შეხვდა ერთმანეთს?!. ჩემმა გოგონამ რომ დამირეკა და მითხრა: ჩვენთან ჩხრეკაზე იყვნენო, გავოცდი. თურმე იარაღს ეძებდნენ იქ. ჩემი გოგონა ისე გაბრაზებულა, უთქვამს: რაც გადმომიყარეთ, ახლავე დამიწყვეთ უკანო. გაუგებარია, რატომ ეძებდნენ იქ იარაღს...

— როგორია გრიცკო? შეეძლო, ფულის გამო ადამიანი მოეკლა? თქვენ მართლა ისე გიჭირდათ, როგორი ინფორმაციაც გავრცელდა?

— არავის მოახვევდა თავის პრობლემებს. მასწავლებლები სკოლაში საყვედურობდნენ: პირი სულ ღია უნდა გქონდეს, სულ უნდა იცინოდეო?

შორენა:

— ფულის გამო, გრიცკო ცუდს არაფერს ჩაიდენდა. მისთვის მთავარი იყო, მის შვილებს პური ეჭამათ. მეტ ფულზე მას არ უოცნებია. გრიცკომ ისესხა ფული — 11.000 დოლარი პროცენტით და გადასახდელი გვქონდა 16.000 დოლარი. ჩვენი ბინა, სულ მცირე, 30.000 დოლარი ღირს. ორი აგარაკი გვაქვს. გრიცკოს ვერ „ვახტებოდით“: ვეუბნებოდი, ვისთან ერთადაც აიღე ეს ვალი, წადი მასთან, გამოართვი ფული, 11.000-იდან შენ კაპიკი არ გეკუთვნისმეთქი? ბოლოსაც ვუთხარი: ბავშვის სკოლის ფული გვაქვს გადასახდელი, წადი,

იმ კაცს გამოართვი ორმოცდაათი ლარი მაინც-მეთქი. წავიდა და უკან აღარ დაბრუნდა... თუნდაც 16.000 დოლარის გამო, გრიცკო მკვლელობას არ ჩაიდენდა. თანაც ამ ვალის გადახდა ჩვენთვის არ იყო პრობლემა: თავიდან თხილის ბიზნესი წამოიწყო თავისი მეგობრის სიმამრთან ერთად. ჩაუვარდა საქმე, თუმცა იმედი ჰქონდა, რომ მაინც გამოასწორებდნენ მდგომარეობას. ტყუილია, რომ ამბობენ, – ბინა ბანკშია ჩადებული. ჩვენ ბანკთან არანაირი კავშირი არ გვქონია. უბრალოდ, გვყავს მევალე.

— შორენა, შარვალი ჩხრეკის დღეს წაიღეს?

– დიახ. მოითხოვეს შარვალი და თბილი სვიტერი. სვიტერს არავინ აღარ ახსენებს. ხომ არ შეიძლება, აგვისტოში თბილი სვიტერი სცმოდა?! რაც შეეხება შარვალს, – სულ ორი შარვალი ჰქონდა. ერთს რომ გავურეცხავდი, მეორეს ჩაიცვამდა...

— შეეძლო გრიცკოს, უცნობს აჰყოლოდა სახლში და იქ ქალების მიყვანა დაეგეგმა?

– არა, არავითარ შემთხვევაში. კაცია და ალბათ, ქალთანაც გაუვლია. მაგრამ ის, რასაც ამბობენ, ჩემთვის გაუგებარია. ჩემს მამამთილს ძალიან უყვარდა ნადირობა, გრიცკოც სულ დაჰყვებოდა. ეს არ ნიშნავს, რომ იარაღი უყვარდა. სახლში სამი სანადირო თოფი გვქონდა, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, თუნდაც ახალ წელს რომ გაესროლა. მეკითხებოდა ხოლმე: შეიძლება, თუთიყუში ან ძაღლი ვუყიდოთ ბავშვებსო?! სანამ დაიჭერდნენ რამდენიმე დღით ადრე ჰკითხა ჩემს გოგონას: არ გინდა, თევზები გიყიდოო?

— იარაღით თუ გადიოდა სახლიდან გრიცკო?

– სანამ უფლება ჰქონდა იარაღის ტარების, რა თქმა უნდა, დადიოდა იარაღით.

— იქნებ გაიხსენოთ, შორენა, თავად თქვენ სად იყავით გიორგის მკვლელობის დროს?

– ჩემს შვილს ჰქონდა ფილტვების ანთება. ჩვენ დიღომში ვიყავით, გრიცკო კი აქ, ყაზბეგზე... საერთოდ, როცა დედაჩემთან ვიყავით ხოლმე, გრიცკო ვერ ძლებდა უჩვენოდ, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, მოვენატრებოდით თუ არა, მოგვაკითხავდა. ხშირად შუაღამისას, ფეხითაც კი გამოსულა. გიჟდებოდა ბავშვებზე. გვქონდა ასეთი შემთხვევა: ორი წლის იყო ჩემი ბიჭი, როცა დამეწვა – შუქი არ გვქონდა, გოგოს ახველებდა და კომშის კომპოტს ვუხარშავდი. ცხელი კომპოტი ბავშვმა ტანზე გადაისხა. ათი დღის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს. გრიცკოს ერთი საყვედურიც არ უთქვამს ჩემთვის. პირიქით, დედაჩემი ამბობდა: ეს საშინელება გრიცკომ გადამატანინაო. მაშინ პურის საცხობში მუშაობდა. ოღონდ ფული მოეტანა ჩვენთვის და პურს აცხობდა. ზეინკლადაც მუშაობდა. ამის შემდეგ გადავიდა ლევან გაჩეჩილაძესთან სამუშაოდ. ფუფუნებაში იყო გრიცკო გაზრდილი, მაგრამ არანაირ ფიზიკურ სამუშაოს არ ერიდებოდა.

— ბავშვები არ კითხულობენ მამას?

– ჩემმა გოგონამ ნახა შემთხვევით ტელევიზორში, არაფერი უკითხავს, ხმაც არ ამოუღია. მას შემდეგ, როგორც კი დაიწყება „კურიერი", ამბობს: ბავშვებო, აბა, ახლა გავიდეთ ოთახიდანო, – და სხვა ოთახში გადის.

დედა:

– გუშინ იჯდა ბავშვი, ამ დროს „კურიერი" დაიწყო. დავინახე – ყურებზე ხელები მიიჭირა და მოიკუნტა...

— ჩნდება ლოგიკური კითხვა: რატომ ამბობს გრიცკო, რომ მან მოკლა გიორგი სანაია?

– არ ვიცი. მხოლოდ ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: მე მკვლელი შვილები არ გამიზრდია...

მასალა მზად იყო, როცა რედაქციას გრიცკოს და დაუკავშირდა და გვთხოვა, მისი პოზიცია დაგვეფიქსირებინა რვა წლის წინ მომხდარი ტრაგედიის შესახებ.

მანანა ხურცილავა:

– მთელი თვე დავდიოდი გამომძიებელთან, ვთხოვდი: მიჩვენეთ ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დგინდება ჩემი დის ფსიქიკური აშლილობა-მეთქი. მან მიპასუხა: საიდან მოიტანეთ? – არავითარი ფსიქიკური აშლილობა: დასკვნაში წერია, რომ მკვლელობა მოხდა ეჭვიანობის ნიადაგზე, – ქალმა დახოცა შვილები და თავი მოიკლაო.

გიორგი სანაიას მკვლელად შერაცხულ გრიგოლ ხურცილავას აღმკვეთ ღონისძიებად სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. იგი ორთაჭალაში, მეხუთე საპყრობილის ადმინისტრაციული კორპუსის უნომრო საკანში მოათავსეს, შემდეგ კი, №117 საკანში გადაიყვანეს. საკანი №117 ე.წ. ელიტარულ კორპუსში მდებარეობს. წინასწარი ინფორმაციით, ხურცილავას წარსულში სიკვდილმისჯილთა საკანში ჩასვამენ, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი მისი უსაფრთხოება.

■

მარცხნიდან: მანანა, თენგო, ლია და დოდო

სანდრო სანაიასთან ერთად

გიორგი სანაიას მეუღლის ხათუნა ჩხაიძისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა ტელეეკრანიდან გრიცკოს სახელის გაგონება. როცა ბიძაჩემი და ბიცოლაჩემი დაქორწინდნენ, მე თორმეტი წლის ვიყავი, გრიცკო როდის გავიცანი, არ მახსოვს, მისი და ლია კი, ლამაზი ქალი იყო და ძალიან კარგად მეპყრობოდაო, — გამიმხილა ხათუნამ.

ეს მკვლელობა დაკავშირებულია გიოს პროფესიულ საქმიანობასთან

ლელა ჭანკოტაძე

— ხათუნა, როგორი იყო შენი პირველი რეაქცია, როცა ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ გიოს მკვლელობა შენმა ნათესავმა აღიარა?

— დაახლოებით ნოემბრის შუა რიცხვებში მე მივხვდი, რომ გამოჩნდა ვიღაც პიროვნება და ვვარაუდობდი, რომ შეიძლებოდა ის დაეკავებინათ. თუმცა, არც პროკურატურიდან, რომელთანაც ურთიერთობა მქონდა და არც შინაგან საქმეთა სამინისტროდან ჩემთვის არ უცნობებიათ, რომ ვინმეს დაკავებას აპირებდნენ. გრიგოლ ხურცილავას დაკავების შესახებ მე ტელევიზიით შევიტყვე. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს ამბავი, გეტყვით, რომ გაოგნებული დავრჩი, რადგან ეს პიროვნება ჩემთვის ნაცნობია: მისი და, მამაჩემის ძმის ცოლი იყო.

— ხათუნა, როგორც გრიგოლ ხურცილავას ბებია ამბობს, ლიამ თავი თუ მართლა მოიკლა, ამაში მაინც მათი სიძე — ეი. ბიძათქვენი იქნებოდა დამნაშავე.

— ოჯახის ახალგაზრდები, რომლებიც საღად აზროვნებენ, ასე არ ფიქრობენ. იმაში, რომ მკვლელობა თავად ლია ხურცილავამ ჩაიდინა, ეჭვი არც მაშინ ეპარებოდა ვინმეს და ახლა მით უმეტეს, ფაქტია, რომ ლია თვითმკვლელი იყო. მის ახლობლებს არანაირი პრეტენზია არ ჰქონიათ. ჩვენ ნათესაური კავშირი იმიტომ გავწყვიტეთ, რომ აღარაფერი აღარ გვაკავშირებდა. საერთო აღარაფერი გვქონდა: ბავშვები რომ ყოფილიყვნენ ცოცხლები და ლიას მხოლოდ თავი მოეკლა, მაშინ, რა თქმა უნდა, ურთიერთობას გავაგრძელებდით.

— შესაძლებელია, რომ გიოს არ სცოდნოდა ხურცილავების არსებობის შესახებ?

— მე გრიცკო ხურცილავა არასდროს მიხსენებია ჩემს მეუღლესთან. სიმართლე რომ გითხრათ, ბოლო წლებში მისი არსებობა არც გამხსენებია. არსად შევხვედრივართ, რომ გიოსთვის შემთხვევით მაინც გამეცნო ან მეთქვა მის შესახებ. ლიას და ბავშვების დაკრძალვის შემდეგ მისი ოჯახის არც ერთი წევრი არ მინახავს.

— რამდენად შესაძლებლად მიგაჩნია, რომ გიორგის თუნდაც თავისი მეგობარი მიეყვანა იმ სახლში, სადაც ცოლშვილთან ერთად ცხოვრობდა და შემდეგ მისთვის შეეთავაზებინა მეძავების მოყვანა?

— გამორიცხულია, გიოს ვინმე მიეყვანა სახლში, დაელია მასთან, ესაუბრა ქალებზე და შემდეგ საუბარი ისე გაემწვავებინა, რომ მსგავსი რამ მომხდარიყო. ეს არის აბსურდი. მე ვფიქრობ, რომ ეს მკვლელობა არის საკმაოდ რთული და არა ისეთი მარტივი, როგორც წარმოგვიდგენენ. შესაძლებელია, ამ ყველაფრის უკან ძალიან სერიოზული დამნაშავე ანუ შემკვეთი იმალებოდეს.

— რა შეიძლება იყოს ამ მკვლელობის მოტივი?

— ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არის შეკვეთილი მკვლელობა. ნამდვილად არ ვიცი, ვინ არის შემკვეთი, ძნელია საუბარი მიზეზზე, რადგან მე ვხედავ, რომ ეს მკვლელობა იყო სერიოზულად დაგეგმილი. ეს მკვლელობა დაკავშირებულია გიოს პროფესიულ საქმიანობასთან.

— გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნებისმიერი ვერსია, რომელსაც წამოაყენებდნენ, ჩვენში ეჭვს გამოიწვევდა. იქნებ, ეს გამოწვეულია საზოგადოების უნდობლობით სამართალდამცავებისადმი, სინამდვილეში კი გიოს მკვლელი ნამდვილად ხურცილავაა?

— ჩვენ იმიტომ კი არ დავეჭვდით, რომ ეჭვიანები ვართ ყველანი, უბრალოდ, მართლა საეჭვოა ის ვერსია, რომელსაც გვაწვდიან. აქამდე მქონდა ასეთი ვერსია: გიოს მოჰპარეს გასაღები, ვიღაც შევიდა მის ბინაში, დაიმალა იქ. ეს მოხდა წინასწარი განზრახვით, რადგან ეს ყველაფერი შეკვეთილი იყო. წინასწარი ძიების პროცესში ვესაუბრებოდი პროკურატურის გამომძიებლებს და ვთხოვდი, მეტი ყურადღება მიეპყროთ გასაღების დაკარგვის ფაქტისთვის. ძიების პროცესში მეგონა, რომ უბრალოდ, არ შეეძლოთ ამ საქმის გახსნა — ამის ძალა არ ჰქონდათ. ახლა ვფიქრობ, რომ ყველაფერი ხელოვნურად იქმნება და სინამდვილეში სულ სხვაგვარად მოხდა ეს მკვლელობა. შეკვეთილი მკვლელობა უფრო დიდ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე განზრახ მკვლელობა. თუმცა, შეიძლება კიდევ ბევრი რამ შეიცვალოს. შეიძლება, მთლიანად შეიცვალოს ბრალდებულის ქმედების კვალიფიკაცია და სულ სხვა კუთხით წავიდეს საქმე. შესაძლებელია, დადგეს ფსიქიატრიული ექსპერტიზის საკითხი. თუ დადგინდება, რომ ეს პიროვნება არის შეურაცხადი, მას მოათავსებენ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და დაუწესებენ იძულებით მკურნალობას. სასჯელზე საუბარი აღარც კი იქნება... ■

მე გიჟი მძღოლი ვარ, კოტე კი მატარებელივით დადის

ნანა ქიბიშაური

სოფიკო ჭიაურელთან შეხვედრას მოუთმენლად ველოდი, მაგრამ ჩემი საქმე იმ ანდაზას დაემსგავსა, მოჩქარეს მოუგვიანდესო, რომ გვასწავლის. ინტერვიუს ჩასაწერად მისულები სახლში არავინ შეგვიპატიჟა. ქალბატონმა სოფიკომ გვითხრა, ქუჩაში დავლოდებოდით. ოცი წუთის განმავლობაში სიცივისგან კბილებაკაწკაწებულნი ვიდექით ვერიკო ანჯაფარიძისეული სახლის წინ. ფეხების ბაკუნს მოვყევით და ვარსკვლავურ სენზე დავიწყეთ ჭორაობა. გავიდა კიდევ თხუთმეტი წუთი და გულმოსულებმა რედაქციაში დაბრუნება გადავწყვიტეთ. სწორედ ამ დროს გამოჩნდა შავ ქუდსა და შავ მოსასხამში გამოწყობილი სოფიკო ჭიაურელი. საქმიანად გააღო ჭაობისფერი „მერსედესის“ კარი, თეატრალური მოძრაობით ჩამოდო მასზე ხელი და ღიმილით შეგვათვალიერა ორი გალურჯებულტუჩებიანი არსება. აბა, ჩქარა, ჩასხედით მანქანაში და მითხარით, ჩემგან რა გინდათო, — სიცილით გვითხრა. მანქანაში შევხტით. „ინტერვიუ... ჟურნალი „გზა“... რუბრიკა „ქალი საჭესთან“... ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოვილულლულე. მალე სალონში დატრიალებულმა სითბომ თავისი ქნა — ხელებიც გაგვილღო და გულიც. ფოტოკორესპონდენტმა აპარატი ააჩხაკუნა, მე დიქტოფონი ჩავრთე. ქალბატონი სოფიკო ხალისიანად ლაპარაკობდა, „მერსედესი“ კი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიქროდა აეროპორტის გზაზე.

— ქალბატონო სოფიკო, რამდენი წლის იყავით, მანქანის მართვა რომ ისწავლეთ?

— 13-14 წლის ვიყავი, მამამ ბერლინიდან რომ ჩამოიყვანა პირველი უცხოური მანქანა. ეს იყო დიდი, შავი, ულამაზესი „კრაისლერი“. აი, ამ მანქანას მართავდა ჩვენი ოჯახის მძღოლი, რომელიც ჩუმად, მშობლებისაგან დაუკითხავად მასწავლიდა ტარებას. დავდიოდი სანაპიროზე და ძალიან ბედნიერი ვიყავი. ჩვენს სანახავად ხომ მთელი თბილისის ბავშვები მორბოდნენ ხოლმე. მაშინ უცხოური კი არა, საბჭოთა მანქანებიც თბილისში იშვიათობა იყო. 1955 წელს გადამიღეს ფილმში „ჩვენი ეზო“. იქ იყო ერთი ეპიზოდი, სადაც გოჩა აბაშიძე მასწავლის მანქანის მართვას. სინამდვილეში გოჩა არ ყოფილა ჩემი პირველი მასწავლებელი. ამ ფილმის გადაღების დროს ოფიციალურად დამიქირავეს მასწავლებელი, რომელმაც მძღოლად ჩამომაყალიბა. 19 წლის ასაკში უკვე დამოუკიდებლად ვმართავდი მანქანას.

— მაშინ იშვიათობა იყო ქალი საჭესთან, როგორი იყო შემხვედრთა რეაქცია?

— თავიდან უკვირდათ, თვალს მაყოლებდნენ. „ჩვენი ეზოს“ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ კი, უკვე ყველა მცნობდა. ინსპექტორები, მილიციელები, მძღოლები... ჩემს დანახვაზე — ოოჰ, სოფიკო! — იძახდნენ, „ჩესტით“ მესალმებოდნენ და გზას მითმობდნენ.

— ბევრი მანქანა გამოიცვალეთ?

— ძალიან ბევრი, ვერც დავითვლი.

— ახლა, როცა ხვდებით თქვენეულ მანქანას, რა გრძნობა გეუფლებათ ხოლმე?

— საშინელი. ამ „მერსედესის“ წინ მყავდა შოკოლადისფერი „მერსედესი“, მოფერებით „სნიკერსას“ ვეძახდი. ძალიან მიყვარდა. ახლა ჩემი „სნიკერსათი“ ვიღაც სხვა დადის თბილისში. ერთი-ორჯერ შემხვდა. რომ ვნახე, გული შემეკუმშა. საერთოდ, ასეთი ვარ — არ მიყვარს ცვლილებები. თუმცა, მანქანების გამოცვლა ხშირად მიწევდა. ამას ყოველთვის მტკივნეულად განვიცდიდი. იმიტომ, რომ მახასიათებს ერთგულება არა მხოლოდ ამოჩემებული ადამიანების მიმართ, არამედ ნივთების მიმართაც. ტანსაცმელსაც ასე ვეპყრობი — თუ რომელიმე ამოვიჩემე, დიდხანს აღარ ვიხდი. ხშირად მაკრიტიკებენ

მეგობრები და ოჯახის წევრები — ამდენი ტანსაცმელი გაქვს და სულ ერთსა და იმავეს რატომ იცვამ.

— რადგან ორი „მერსედესი“ გყავდათ, ეტყობა, მოგწონთ ეს ფირმა?

— მე მიტარებია თითქმის ყველა მარკის მანქანა, მაგრამ რაც „მერსედესი“ ვიგემე, მას შემდეგ ვამბობ, რომ ეს მართლაც უნიკალური მანქანაა.

— ავარია ხომ არ მოგსვლიათ?

— ერთხელ მქონდა ძალიან საშიში შემთხვევა. სამტრედიის ქუჩიდან სანაპიროზე ჩამოვდიოდი და უცებ დავაფიქსირე, რომ მუხრუჭი გაფუჭდა. ვაწვები პედალს მთელი ძალით, მაგრამ მანქანა არ ჩერდება. დაღმართზე უფრო მეტი სიჩქარე აიღო. მტკვარში უნდა გადავვარდნილიყავი, მაგრამ ეტყობა, ღმერთმა არ გამიმეტა: მეც არ ვიცი, როგორ მოვატრიალე საჭე და როგორ შევეჯახე ხეს. მაშინ ხემ გამაჩერა. დანარჩენი, რაც მქონია, — პატარა მირტყმა, წარტყმა და გაკაწვრა — ეს სათვალავში ჩასაგდები არც არის. საერთოდ, გიჟი მძღოლი ვარ. მიყვარს სისწრაფე, მაგრამ ამავდროულად, ძალიან სწრაფი რეაქცია მაქვს. სწორედ ჩქარი სიარულით განვსხვავდები კოტესგან, რომელიც მატარებელივით დადის. ამ ბოლო დროს კოტე თითქმის აღარ ჯდება საჭესთან. უფრო ხშირად მე ვზივარ, ის კი, გვერდით მიზის და ძალიან ღელავს — ყოველ სამ წუთში ერთხელ მეუბნება ხოლმე — „ნელა, ნელა“... ეს სიტყვა უკვე მექანიკურად აქვს აჩემებული, მაგრამ ისიც აღიარებს, რომ ძალიან სწრაფი რეაქცია მაქვს და კარგი მძღოლი ვარ.

— როცა ბატონი კოტე ზის საჭესთან, თქვენ კი მის გვერდით — მაშინ არ ნერვიულობთ?

— კოტესთან გაქვს 100%-იანი გარანტია, რომ შინ მშვიდობით მიხვალ, იმიტომ, რომ ის საგზაო წესებს არასოდეს არღვევს. მაგრამ საშინლად ვღიზიანდები და ვნერვიულობ, ასე ნელა რომ დადის და მეც ასევე მექანიკურად აჩემებულ სიტყვას ვყვირი ხოლმე — „ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო...“

— ბატონ კოტეს, საიუბილეოდ, მეგობრებმა ახალი „როლს-როისი“ აჩუქეს, მისკენ ხომ არ მიგიწევთ გული?

— შესანიშნავი მანქანაა, მაგრამ მე ჩემს „მერსედესს“ ვერ ვუღალატებ. ჩვენ ერთი გარაჟი გვაქვს, რომელიც კოტეს მანქანას დავუთმეთ. კოტეს დაბადების დღის შემდეგ ჩემს საცოდავ მანქანას ქუჩაში ვტოვებ. იმტვერება, ჭუჭყიანდება. გული მიკვდება, რომ თავშესაფარი არ აქვს.

— მოძრაობის წესებიდან რომელს არღვევთ ხოლმე ყველაზე ხშირად?

— რა თქმა უნდა, გასწრების წესს.

— როდესაც სხვა მძღოლი არღვევს ამ წესს, როგორია თქვენი რეაქცია? ხომ არ იგინებით?

— მძღოლების მისამართით არასოდეს ვიგინები, ინსპექტორების მისამართით კი, რა მოგახსენოთ... ვთქვათ, დავარღვიე წესი, გამოვარდება ბუჩქებიდან ინსპექტორი (ისინი ხომ ძირითადად იქ სხედან), დაინახავს, რომ მე ვარ და დაიწყებს ბოდიშის მოხდას იმისათვის, რომ გამაჩერა. რატომ? დამნაშავე მე ვარ და ის რატომ მიხდის ბოდიშს? ასეთი შემთხვევა ძალიან ხშირია.

— ეი. თქვენ არასოდეს შეგიცურებიათ ორლარიანი ან ხუთლარიანი მართვის მოწმობაში?

— ასეთი შემთხვევა არ მქონია, ალბათ, ჩემი პოპულარობის წყალობით. კოტეს კი, მით უმეტეს — ავტოინსპექტორები იქით აძლევდნენ ფულს.

— ეს როგორ?

— კოტე ყოველთვის გასარეცხი მანქანით დადის, იმიტომ, რომ სულ სადღაც ეჩქარება და სულ სადღაც აგვიანდება — მოკლედ, დრო არ აქვს, რომ მანქანას მიხედოს. ერთხელაც, ასეთი ჭუჭყიანი მანქანით მიდიოდა რეპეტიციაზე. მოულოდნელად გამოხტა ბუჩქებიდან ავტოინსპექტორი და ჩასტვინა. კოტემ, როგორც იცის ხოლმე, ხელი გაუქნია — ვითომ მიესალმა, ვითომ — მე ვარ, ბიჭო, კოტეო, და გზა განაგრძო. ავტოინსპექტორი მაინც არ მოეშვა და კიდევ დაუსტვინა. კოტემ კიდევ რაღაც ანიშნა, იმან კიდევ დაუსტვინა. ბოლოს, მანქანა გააჩერა. წესი არ დამირღვევია და ვინ არის, რა უნდა ჩემგანო? ავტოინსპექტორი მივიდა და ყელი გამოუწია თურმე: ბატონო კოტე, თქვენი ჭირიმე, ა, თქვენ 5 ლარი და ეს მანქანა

სოფიკო ჭიაურელის „სნიკერსა“ „მერსედესი“, ბატონი კოტე და ქალბატონი მაკა

როგორმე გაარეცხვინეთო... კოტეესთან დაკავშირებით კიდევ ერთ ამბავს გაგიმხელთ. ძალიან ხშირად, სახლიდან გადის მანქანით და ბრუნდება ტაქსით. იმიტომ, რომ მან არასოდეს არ იცის, რამდენი საწვავი უსხია მანქანაში. ყოველთვის ბოლომდე ამოწურავს ხოლმე და მანქანა ქუჩაში უჩერდება. დაკეტავს და ტაქსის იჭერს...

— თქვენი აზრით, მძღოლი ქალი რით განსხვავდება მამაკაცისგან?

— სიგიჟით. ქალი საჭესთან გაცილებით თავისუფალი და მამაცია, მამაკაცი უფრო ფრთხილია. არადა, ისე მოაქვთ თავი, თითქოს პირიქით იყოს. საქართველოში რომ მატრიარქატის ეპოქა დაიწყო, ეს მხოლოდ პოლიტიკაში არ ჩანს. ამის დასადასტურებლად, ისიც კმარა, რომ დღეს ყოველი მეორე ქალი თვითონ მართავს მანქანას.

— დაგვისახელეთ ქალი, რომელსაც, თქვენი აზრით, ძალიან უხდება მანქანა.

— ჩემ გარდა? ალბათ ბევრია ასეთი, მაგრამ ახლა ვერ ვიხსენებ. ჩემი შვილიშვილის თაობის გოგონებიდან, თითქმის ყოველი მეორე მართავს მანქანას. არადა, მე სასტიკად წინააღმდეგი ვარ, 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდას მართვის უფლება ჰქონდეს. ჩვენ ყველანი იმ ასაკიდან მოვდივართ და ვიცით, რომ 20 წლის ასაკში ახალგაზრდობა „აცვენილია“, მათ არ იციან, რა არის შიში, სიფრთხილე და ჰგონიათ, რომ ყოველთვის ყველაფერი კარგად დამთავრდება. არადა, ავარიების უმეტესი ნაწილი თურმე 20 წლამდე ასაკის მძღოლებზე მოდის, რომლებიც ნასვამები მართავდნენ მანქანას.

— თქვენ არასოდეს მჯდარხართ საჭესთან ნასვამი?

— სადაც არ უნდა ვიყო, ყველგან მეგობრების წრე მახვევია. მიყვარს მათთან ერთად შამპანურისა და ლიქიორის დალევა. ალკოჰოლს კარგად ვიტან. შეიძლება ითქვას, რომ მთვრალი არასოდეს არავის ვუნახივარ. მსუბუქად ნასვამი კი, ხშირად ვყოფილვარ, მაგრამ ეს მანქანის მართვაში ხელს არ მიშლის. რაც შეეხება ჭიქაში ჩასუნთქებას, — ასეთი შემთხვევა ნამდვილად არ მქონია.

— მანქანის შინაგან აგებულებაზე თუ გაქვთ წარმოდგენა?

— არანაირი წარმოდგენა არ მაქვს. როცა რამე ფუჭდება, გადმოვდივარ, ხელს ვწევ მაღლა და შემხვედრ მანქანას ვაჩერებ. ვიღაც აუცილებლად გამიჩერებს.

— თქვენ გვერდით ჯდომა თუ შეშინებია ვინმეს?

— კოტეს უახლოესი მეგობარი იყო ნოდარ ჯამბერიძე. ის ყოველთვის უკან ჯდებოდა და დავძრავდი თუ არა მანქანას, მაშინვე წინა სკამის საზურგეს ჩააფრინდებოდა ხოლმე. ეშინოდა, მაგრამ იცოდა — რომ ეთქვა, ნელა იარეო, უფრო მოვუმატებდი სიჩქარეს, — და არაფერს მეუბნებოდა.

— ეს მანქანა სად შეიძინეთ?

— თბილისში, მანქანების ბაზრობაზე ვიყიდე და ძალიან კმაყოფილი ვარ. უკვე მეხუთე წელია, რაც ეს მანქანა მაქვს. ჩემი არჩეულია და მიხარია, რომ ასე გამიმართლა იმედები.

— არ გეცოდებათ ჩვენს გზებზე?

— ნამდვილად მეცოდება.

— თქვენს ორიენტაციის უნარზე რას გვეტყვით?

— საზღვარგარეთ არ სჭირდება ადამიანს ორიენტაციის უნარი — იქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება ტრაფარეტები და ისრები, რომელიც გზას გიჩვენებს. საქართველოში კი, როდესაც საჭესთან მარტო ვზივარ, მაშინ ვცდილობ, ყურადღების მობილიზებას, თუ კოტეესთან ერთად ვარ — მე ჩემთვის რაღაცას ვფიქრობ ხოლმე, ის კი მკარნახობს, მარჯვნივ, მარცხნივ, შეუხვიე, გააჩერე და ასე შემდეგ. მოკლედ, კოტეა ჩემი გზის მაჩვენებელი.

— ახლა კი, მანქანასთან დაკავშირებული რაიმე კურიოზი გაიხსენეთ.

— 1946-47 წლებში მამაჩემმა „კრაისლერი“ ჩამოიყვანა, რამდენიმე წლის შემდეგ კი მოსკოვში წავიდა. დედას ფული დასჭირდა. რა უნდა ექნა? ადგა, „კრაისლერი“ გაყიდა და სანაცვლოდ, „ვოლგა“ იყიდა. ჩამოვიდა მამა და მანქანა მოიკითხა — ჩვენი „კრაისლერი“ სად არისო? — სად არის და ფული დამჭირდა და გავყიდეო — უთხრა დედამ. მამას არაფერი უთქვამს, ერთი საყვედურიც არ დასცდებოდა, სულ „გენაცვალეთი“ იცოდა საუბარი. ცოტა ხნის შემდეგ მამა ისევ წავიდა მოსკოვში. დედას ისევ დასჭირდა ფული, ადგა და ის „ვოლგაც“ გაყიდა და სანაცვლოდ, „მოსკვიჩი“ იყიდა. ჩამოვიდა მამა და „ვოლგის“ ნაცვლად, „მოსკვიჩი“ დახვდა. გავიდა დრო და მამას ისევ მოუწია საქართველოდან წასვლა. გამგზავრების წინ დედას უთხრა: ვერიკო, იმედი მაქვს, რომ ჩამოვალ, მოტოციკლით არ დამხვდებიო...

— და ბოლო კითხვა: ყველაზე მნიშვნელოვანი რა მოხდა წლეულს თქვენთვის?

— ეს წელი ჩემთვის შემოქმედებითად ძალიან დახუნძლული იყო: ვითამაშე ახალ სპექტაკლში, რომელიც ჩვენს თეატრში დაიდგა. ეს არის რეზო კლდიაშვილის „მარტოობის ბინადარი“. სპექტაკლი დადგა კინორეჟისორმა ნანა მჭედლიძემ. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ჩემი შვილი — ნიკუშა შენგელაია იყო ამ სპექტაკლის მხატვრული გამფორმებელი. მივიღე მონაწილეობა ალა სურიკოვას ფილმში, რომელიც საახალწლოდ გამოვა ეკრანებზე. და რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია, წელს დავიწყეთ იმ ოცნების განხორციელება, რომელიც მე და კოტეს დიდი ხანია გვაწვალებს: აგვეშენებინა დიდი თეატრი, რომლის დარბაზშიც 140-160 კაცი დაეტეოდა. მშენებლობა დავიწყეთ, იმედი მაქვს, მალე დავამთავრებთ კიდეც — ჩვენ ხომ ფოკუსნიკები ვართ. რატომღაც ხალხს ჰგონია, რომ ფული გვაქვს, არადა, ფული არასოდეს გვაქვს. უცბად რაღაც გაჩნდა და ამ თეატრს ავაშენებთ. მერე ისევ აღარ გვექნება არაფერი, ხალხს კი, ისევ ეგონება, რომ ჩვენ ბევრი ფული გვაქვს — ფოკუსნიკები ვართ, მაშ რა, ნამდვილი ფოკუსნიკები! ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. კართაგენი ფინიკიელებმა დააარსეს.

2. მეტეორის ყველაზე ღრმა ნაკვალევი სიერა-მადრეში მდებარეობს.

3. მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა ყველაზე დიდია მთელ ევროპაში.

4. წითელ ღვინოს, რომელსაც საეკლესიო რიტუალების დროს ხმარობენ, ზედაშე ეწოდება.

5. 1936 წელს ესპანეთის სამოქალაქო ომში 600 000 ადამიანი დაიღუპა.

6. ხმლის, ხანჯლისა და თოფის ჩამოსაკიდებელ თასმას გოთურგა ჰქვია.

7. ლითონის წვრილ ჯოხს, რომლითაც თოფის ლულას წმენდენ, ზუმბი ეწოდება. ბარონმა მიუნჰაუზენმა თოფი სწორედ ასეთი ზუმბით გატენა და ერთი გასროლით შვიდი კაკაბი მოკლა. P.S. კაკბები ისე წამოეცვა ზუმბზე, როგორც შამფურზე და რადგანაც ზუმბი გასროლის შედეგად ძალზე გაცხელდა, ბარონ მიუნჰაუზენს ნანადირევი შემწვარი სახით ჩაუვარდა ხელში.

8. „ილია ჭავჭავაძეს საუკუნებრივი გაქანება აქვს," – თქვა ერთხელ კოტე მახარაძემ – „მე წაგიკითხავთ მის ნებისმიერ ტექსტს და თქვენ იტყვით, რომ იგი წუხელ არის დაწერილი".

9. მარადონა ბუენოს-აირესის გარეუბან ლანუსში, ძალზე ღარიბ ოჯახში დაიბადა. P.S. ბურთის კენწვლით მეშვიდე სართულამდე ასვლა დიეგოს ცხრა წლის ასაკში შეეძლო.

10. სატელეგრაფო კოდის ცნობილი გამომგონებელი, სემუელ ფინლი ბრიზ მორზე, პროფესიით მხატვარი გახლდათ. მან დააარსა ნიუ-იორკის ეროვნული სამხატვრო აკადემია და მისი პირველი პრეზიდენტიც თავად გახდა.

11. ძველი მონღოლები უიღურულ დამწერლობას იყენებდნენ. ამ ანბანის მიხედვით სიტყვები ზემოდან ქვემოთ და მარჯვნიდან მარცხნივ იწერებოდა. XX საუკუნეში მათ რუსული ანბანი შემოიღეს სპეციფიკური ნიშნების დართვით.

12. მისხალი 4,6 გრამს უდრიდა. მასის ეს ერთეული ძველად ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვებისა და ვარდის ზეთის ასაწონად გამოიყენებოდა. მისხლის 1/24 ნაწილს ყირათი ერქვა.

„დედობრივი გრძნობა იმ ბავშვისადმი არ მაქვს"

იგო რიკაძე

ფულის შოვნის იმედით უცხოეთში წასულ ქართველებზე არაერთხელ გვიამბნია, მათ შორის, ვფიქრობთ, არაორდინარულია 23 წლის ინგა ბ-ს თავგადასავალი: ინგამ გააჩინა ბავშვი, რომლის დედობაც არ უნდოდა. ალბათ მიხვდით, ქართული „სარფიანი" ბიზნესის კიდევ ერთ სახეობაზე გვექნება საუბარი.

ინგა ბ., ბორჯომელი:

– ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა ამერიკაში გადავწყვიტე წასვლა ახლობლებთან. ზოგიერთივით უპატრონოდ არ დავდგომივარ გზას, არც ტრეფიკინგისა და აგენტების ხელში ჩავვარდნილვარ, არც ტურისტული ფირმის მეშვეობით ჩავსულვარ ამერიკაში. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი შეყვარებულიც უნდა წამოსულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. ნიუ-იორკში საკონდიტრო საამქროში მოვეწყვე – პელმენებსა და სხვადასხვა სახის ნახევარფაბრიკატებს ვაკეთებდით. ანაზღაურება დაბალი იყო, საათში 4 დოლარს მიხდიდნენ.

ქართველები ერთმანეთს ხშირად ვეხმიანებოდით. ერთხელ მეგობრის მოსანახულებლად ჩიგაკოდან ჩამოვიდა ერთი გოგონა, ნათია. გვითხრა, ერთი იქაური შეძლებული ოჯახი ეძებს ქალს, რომელიც მათ შვილს გაუჩენს და საზღაურად 40 ათას დოლარს ჰპირდებიანო. ამდენ ფულს ასე ერთბაშად სად ვიშოვიდი! ნათიას ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა. ჩემმა ბოიფრენდმაც მირჩია – ღირს გარისკვაო.

— ბოიფრენდი ამერიკელი გყავდა?

– არა, უკრაინელი ებრაელი, ამერიკის მოქალაქე. ვიფიქრე, ცხრა თვეს გავიჭირვებ და მეშველება-მეთქი. ნათია ყველანაირ პასუხისმგებლობას კისრულობდა და წავყევი ჩიკაგოში. ხნიერი ცოლ-ქმარი იყო. ისე მიმიღეს, როგორც მხსნელი. შემათვალიერეს, ჩანს, მოვეწონე *(ინგა ყოფილი ფრენბურთელია. – ავტ.)*, მაგრამ ერთთვიანი სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება მაინც მომიხდა. შემდეგ წავედით კლინიკაში. ოჯახის მამის სპერმა და ჩემი კვერცხუჯრედი სინჯარაში გაანაყოფიერეს, საშვილოსნოში ჩამინერგეს. 9 თვე ჩიტის რძე არ მომკლებია. სულ საგანგებოდ შემოწმებული, ნარჩევი სურსათი მოჰქონდათ ჩემთვის. არც ექიმების ყურადღება მომკლებია, არც მასაჟისტები და არც სპეციალური აბაზანები. 9 თვის შემდეგ ბიჭი გავაჩინე. სამი დღის შემდეგ ბავშვი წაიყვანეს. როცა კლინიკიდან გამომწერეს, ჩემს ამერიკელებს მივაკითხე, კუთვნილი 40 ათასი დოლარისთვის.

— თანხის ნაწილი მაინც წინასწარ გადაგიხადეს?

– არა, წვრილმანი ხარჯებისთვის ფული არასოდეს დაუკავებიათ. შინ გამოსაგზავნად ყოველთვიურად 500 დოლარს მაძლევდნენ, მაგრამ ეს თანხა არ შედიოდა იმ 40 ათასში, რომელზეც მოლაპარაკებულები ვიყავით. წყვილმა კარგად მიმიღო, ბავშვიც მაჩვენეს, მაგრამ შევატყვე, საზღაურის მოცემას არ ჩქარობდნენ. 2 კვირის შემდეგ ოჯახში აღარ გამაჩერეს და სასტუმროში გადავედი. შევფიქრიანდი, საქმეში უკვე ნათია ჩავრიე, ჩვენი შუამავალი. ერთი კვირის შემდეგ ნათია დამეკარგა. მითხრეს, – სხვა ქალაქში გადავიდაო. ამერიკელ ცოლ-ქმართან კამათი მომივიდა. სასა-

მართლოთი დავემუქრე, მაგრამ წარბიც არ შეუხრიათ, ფული შუამავალს გადავუხადეთ და მას მოსთხოვეო. დავიწყე ნათიას ძებნა – ხან ფლორიდაში ვსდიე მის კვალს, ხან მაიამიში, მაგრამ ყველგან ხელიდან მისხლტებოდა...

— ეი. საქართველოში უფულოდ დაბრუნდი?

– ახლობელმა დამირეკა, ნათია თბილისშიაო. ჩემმა ბოიფრენდმა მიშოვა ბილეთის ფული. აქაც ვერ მივაკვლიე ნათიას. ახლა ისევ ამერიკაში მინდა წასვლა, მაგრამ საკონსულოში უარს მეუბნებიან.

— ამერიკაში რაღად ბრუნდები?

– ნათიას ვიპოვი და ჩემს ფულს დავიბრუნებ. თუ არა და, კიდევ გავაჩენ ბავშვს. აღარ მოვტყუვდები, შუამავალს საქმეში არ ჩავრევ.

— შვილი არ გენატრება?

– დედობრივი გრძნობა იმ ბავშვისადმი ნამდვილად არ მაქვს. გარი ახლა წლინახევრისაა, ქართული იერი აქვს. ამერიკელი მშობლები მის ნახვას არ მიკრძალავენ და რამდენჯერმე მივაკითხე.

— ეი. მაინც გქონია მისდამი გრძნობა.

– ეს უფრო ცნობისმოყვარეობა იყო. ჩემი შვილები ისინი იქნებიან, რომელთაც აქ, საქართველოში გავაჩენ.

— ?!

– ჩამოვიტან ფულს, ბინას ვიყიდი, გავთხოვდები და დამერწმუნეთ, ძალიან კარგი დედაც ვიქნები.

ნუგზარ სულაშვილი, *მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უფლებების დაცვის ცენტრის თავმჯდომარე:*

– როგორც გავარკვიე, ინგას მსგავსად ბევრი გოგონა გააცურეს ამერიკაში. ბავშვის საშუალო ფასი, სპეციალური სააგენტოების მიერ დაწესებული ნიხრით, 10-12 ათასი დოლარია. ბევრ შტატში ოფიციალურად დაშვებულია ეს საქმიანობა. სააგენტოებთან იდება ხელშეკრულება და „დედები“ 9 თვის შემდეგ იღებენ ანაზღაურებას.

მაგრამ, რადგანაც ქართველები ძირითადად, არალეგალურად ჩადიან ამერიკაში, ასეთ სააგენტოებს ვერ უკავშირდებიან. ბრმად ენდობიან შუამავლებს, რომლებიც ხელს ითბობენ მათი მიამიტობით.

ამერიკაში ყოფნისას დავინტერესდი, სად ხვდებოდნენ ეს ბავშვები – ოჯახში, თუ დონორებად იყენებდნენ.

— როგორ თუ დონორებად?

– ყოფილა შემთხვევა, რომ 10-12 ათას დოლარად ნაყიდი ბავშვის ცალკეული ორგანო გაუყიდიათ. თითოეული (გული, თირკმელი) 30-40 ათასი დოლარი ღირს. ამიტომ იქაური „ექიმები“ ასეთ სარფიან წინადადებაზე უარს ვერ ამბობენ.

— ქართველი ქალბატონების შვილებსაც რგებიათ ეს ბედი?

– უცნაურია, რომ გაყიდული ბავშვების ბედი დედებს აღარ აინტერესებთ. მთავარი მათთვის საზღაურია. მაგრამ ხშირად ისინი მოტყუებულნი რჩებიან. საკმარისია, ქართველებმა ხმა ამოიღონ, „გადამგდენი“ უმალ თითს უქნევენ. არადა, საქმე სასამართლომდე თუ მივიდა, არც ამერიკელები დარჩებიან დაუსჯელნი. ისე, ძალიან მიხარია, რომ ასე ატყუებენ ქართველ ქალებს: იქნებ გონს მოეგონ და აღარ ჩაიდინონ ასეთი უმსგავსი საქციელი.

■



ნუგზარ სულაშვილი აშშ-ში

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

13. „პოლიტიკას აქვს მხოლოდ გონება, გული მას არ გააჩნია,“ – ამბობდა ნაპოლეონ ბონაპარტი.

14. მიხეილ ბულგაკოვის რომანში „ოსტატი და მარგარიტა“ კატას სახელად ბეჰემოთი ჰქვია.

15. ძველი ქართული ტრადიციით, მომავლის ჭვრეტის ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების ანუ მკითხავების სხვადასხვა სახეობა არსებობდა: ჯადოსნური ძალების მომხმობს მისანი ერქვა, ფრინველთა და ცხოველთა გამოჩენითა და დაძახილით მკითხავს – ნიშომჭვრეტელი, ცხოველთა შიგნეულის განლაგებით მომავლის წინასწარმეტყველს – ტყირპის მსტური. ამათ გარდა იყვნენ მუცლით მეზღაპრეები, ხატის მეენეები, ნიშომზმელები და მსახვრალები.

16. კანარის კუნძულები (ესპანურად ისლას ცანარიას) სიტყვასიტყვით „ძაღლების კუნძულს“ ნიშნავს.

17. ვინსენტ ვან გოგმა 27 წლის ასაკში გადაწყვიტა ხატვის შესწავლა. მანამდე იგი იყო სამხატვრო სავაჭრო ფირმის კომისიონერი, მასწავლებელი და მოძღვარიც კი.

18. პულსს ცერა თითით არ ზომავენ. ამ თითს თვითონ აქვს პულსაცია და ამან შეიძლება შეცდომაში შეგიყვანოთ.

19. პაბლო პიკასო ხელოვნებას დაკანონებულ დანაშაულს ეძახდა.

20. ნოიაბრინა მსახიობ ნონა მორდიუკოვას ნამდვილი სახელია.

21. გვარდიელებს, რომლებსაც ვატიკანის დაცვა და ცერემონიული ხასიათის ფუნქციები აქვთ დაკისრებული, მიქელანჯელოს მიერ რეკომენდებული საპარადო ტანსაცმელი აცვიათ.

22. ირანის შაჰად გახდომამდე აღა მაჰმად-ხანი სასახლეში აუდიენციის დროს მოსასხამში დამალული დანით ჩუმად ჭრიდა ძვირფას ხალიჩებს. საჭურისის ამ ბოროტ გულის ფხანას ვერავინ ვერასოდეს შეიტყობდა, თვითონ აღა მაჰმად-ხანს ხელმწიფედ ყოფნისას რომ არ ეთქვა: – სულელი ვიყავი, ხალიჩებს რომ ვჭრიდი, რამეთუ ვერ გამეთვალისწინებინა, რომ ბოლოს და ბოლოს, მე უნდა გავმხდარიყავი პატრონი ამ დაჭრილი ხალიჩებისა.

■

რას ემსხვერპლა გერმანელი დიპლომატი საქართველოში?

მეგი ცანავა

ევროკავშირის ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელის – გიუნტერ ბოიხელის დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ამჟამად საქართველოს გენერალური პროკურატურა იძიებს. საქმე ძარცვა-ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის მუხლებით აღიძრა. დადგინდა, რომ გიუნტერ ბოიხელი მოკლულია. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, იგი სასტიკად ნაცემი გახლდათ, სიკვდილის მიზეზი კი, თავის ქალის მძიმე ტრავმა აღმოჩნდა, რომელიც სავარაუდოდ, ბლაგვი, მაგარი საგნის ჩარტყმის შედეგად უნდა იყოს მიყენებული.

გიუნტერ ბოიხელი 2001 წლის 9 დეკემბერს, საღამოს, დაახლოებით 21.40 საათისთვის იპოვეს. გარდაცვლილის გვამი უზნაძის ქუჩაზე №4 საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ სადარბაზოში, შესასვლელთან, კიბეზე ეგდო და სისხლში ცურავდა. იგი პირველ სართულზე მცხოვრებმა მეზობელმა ქალმა აღმოაჩინა, რომელიც მოგვითხრობს:

„იმ საღამოს შინ ვიყავი, გარეთ გასვლას არც ვაპირებდი. დაახლოებით ათის ნახევარი იქნებოდა, როცა ზედა სართულის მეზობელმა დამირეკა – სადარბაზოში თურმე ვიღაც მამაკაცი აგდია, ნახე ერთიო. მაშინვე გავედი და მეშვიდე სართულზე მცხოვრები გერმანელი ვიცანი. უკვე მკვდარი იყო, სისხლში ცურავდა. მაშინვე შემოვვარდი შინ და პოლიციაში დავრეკე... მეორე სართულზე იტალიური ფირმის ოფისია. სწორედ იქ მიმავალ ხალხს შეუნიშნავს ძირს დაგდებული მამაკაცი და ოფისში უთქვამთ.

დანაშაულის ადგილი

ბოიხელთან მე არანაირი ურთიერთობა არ მქონია. მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ სახლში ქირით, 2000 წლის აგვისტოდან ცხოვრობდა. თავისთვის იყო, შინ საღამოობით მოდიოდა“.

შემთხვევის ადგილას მისული სამართალდამცავების აზრით, ბოიხელი შინ, სავარაუდოდ, სამსახურიდან ბრუნდებოდა და თან მაღაზიაში ნაყიდი პროდუქტი მიჰქონდა. ამ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გენერალურ პროკურატურაში სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე – რეზო ზარანდია ხელმძღვანელობს. იგი მომხდართან დაკავშირებით კომენტარისგან თავს იკავებს და მხოლოდ იმას აცხადებს, რომ ბევრ ვერსიაზე მუშაობს. ვერსიებს სამართალდამცავები ამ ეტაპზე არ ააშკარავებენ. ყველაზე გავრცელებული ვარაუდით, ბოიხელი ყაჩაღური თავდასხმის მსხვერპლი გახდა: სპეციალურად დაუდარაჯდნენ და გაძარცვა დაუპირეს. როცა ბოიხელმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მას ცემა დაუწყეს და თავში მძიმე საგანი ჩაარტყეს. გაძარცვის მოტივს, წაღებული ქურთუკი და საფულე ადასტურებს. როგორც გაირკვა, ბოიხელს საფულეში საბუთებიც ედო. გამოძიებას ეჭვმიტანილები ჯერჯერობით არ გამოუვლენია.

გერმანელი დიპლომატი გიუნტერ ბოიხელი 49 წლის იყო. იგი საქართველოში, ევროკავშირის სტრუქტურაში, 1993 წლიდან მუშაობდა: 1998-99 წლებში ხელმძღვანელობდა ჰუმანიტარული დახმარების განყოფილებას, ხოლო შემდეგ, პროექტის – „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები“ – მენეჯერად დაინიშნა. გიუნტერ ბოიხელს ცოლი და ორი შვილი დარჩა, რომლებიც გერმანიაში ცხოვრობენ. ■

„ლაპარაკია დანაშაულებრივ ქსელზე, რომელსაც მთელ მსოფლიოში აქვს კავშირები“

ესპანელი ბიზნესმენები ჟურნალისტების გარემოცვაში

373 დღიანი უკანონო პატიმრობის შემდეგ, ესპანელი ბიზნესმენები ხოსე ანტონიო ტრემინიო და ფრანსისკო როდრიგესი სამშობლოში დაბრუნდნენ. თავიანთი 2 მოქალაქისთვის ქვეყნის მთავრობამ საგანგებოდ გამოგზავნა თვითმფრინავი, რომელმაც გასულ ორშაბათს შეასრულა სპეცრეისი თბილისი-მადრიდი.

პანკისის ხეობაში „ნამოგზაურები“ ესპანელები საქართველოში დაბრუნებას აღარასოდეს აპირებენ. ერთწლიანი პატიმრობით დატანჯულები, იმდენად არიან

შეშინებულები, რომ არ სურთ, დაწვრილებით ილაპარაკონ თავიანთ გამტაცებლებსა და ტყვეობაში გატარებულ დროზე. გაზეთ EL MUNDO-სთვის მიცემულ ინტერვიუში მათ აღნიშნეს, რომ „იმაზე უარესად ეპყრობოდნენ, ვიდრე პირუტყვებს". ხოსე ანტონიო ტრემინიო ამბობს: „ზოგჯერ გვცემდნენ, ძალიან ხშირად უჭმელ-უსმელებსაც გვამყოფებდნენ", თუმცა აღნიშნავს ფრანსისკო როდრიგესი, „როგორც ჩანს, მათ საერთოდ არ ჰქონდათ საკვების შესაძენი ფული, რადგანაც ხშირად, თავადაც შიმშილობდნენ".

ესპანური ტელეკომპანია ANTENA 3-ისთვის მიცემულ ინტერვიუში როდრიგესმა გულახდილად თქვა, რომ ის და ტრემინიო ძალიან შეშინებულები არიან. „ლაპარაკია დანაშაულებრივ ქსელზე, რომელსაც მთელ მსოფლიოში აქვს კავშირები. მათ იციან, ვინ ვართ, სად ვცხოვრობთ და თუ როგორ მიაგნონ ჩვენს უახლოეს ნათესავებს"...

მძევლებად ნამყოფმა ბიზნესმენებმა ისიც აღნიშნეს, რომ ტყვეობაში ყოფნის თაობაზე 8 საათის მანძილზე უსვამდა კითხვებს თბილისის პროკურორის მოადგილე აკაკი ბუდაღაშვილი და ტრემინიომ ასეთი კომენტარი გაუკეთა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებებს: „ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს საქართველოს მთავრობას ჩვენი პატიმრობის შესახებ რომანის დაწერა აქვს განზრახული"...

ესპანეთის ეროვნული რადიოთი გამოსვლისას, ანტონიოს მამამ – ფელიქს ტრემინიომ გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა, მძევლების გასათავისუფლებლად, გამოსასყიდიც გადაიხადეს, თუმცა დანამდვილებით ამის შესახებ არ იცის. „ესპანეთის მთავრობამ დიდი თანადგომა აღმოგვიჩინა, მან საქართველოში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი გააგზავნა, რომელიც ხოსე ანტონიოსა და პაკოს ცოლებს იცავდა".

ესპანური პრესა იუწყება აგრეთვე, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კმაყოფილება გამოთქვა ესპანელ ბიზნესმენთა ტყვეობიდან გათავისუფლების გამო და საქართველოს რადიოთი გამოსვლისას მადლობა გადაუხადა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებსა და ადგილობრივ მოსახლეობას იმისთვის, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს „ამ მტკივნეული პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტის საქმეში".

უცხოური პრესის მასალების მიხედვით

„თამუნია" მარტო არ მოქმედებდა

დაზარალებულები „თამუნიასგან" დაკარგული თანხის დაბრუნებას მოითხოვენ

ლელა მჭედლიძე და ბაქარ ბუაძე

ნინო მახარაშვილი

საოლქო სასამართლოში ფირმა „თამუნიასთან" დაკავშირებული გახმაურებული სასამართლო პროცესი გრძელდება. სისხლის სამართლის საქმე საქართველოში ბოლო წლებში ყველაზე გავრცელებულ და ღრმად ფესვგამდგარ საქმიანობას — თაღლითობას ეხება. „თამუნია" ერთ-ერთი ტურისტულ სააგენტოთაგანი გახლდათ, რომელიც ხალხს განვითარებულ ქვეყნებში სამუშაოდ გამგზავრებას სთავაზობდა. „თამუნიამ" ისევე, როგორც მსგავსი ფირმების უმეტესობამ, თავის კლიენტებს საკმაოდ სოლიდური თანხა წინასწარ გამოართვა, საზღვარგარეთ კი არც ერთი არ გაამგზავრა.

მეგი ცანავა

ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებს დღეს პროკურატურა და დაზარალებულ კლიენტთა ის ამალა, რომელთაგან ბევრი, მათივე თქმით, მოტყუებული და პირში ჩალაგამოვლებული, ყველაფერთან ერთად, უსახლკაროდაც დარჩა. ამაზე მეტყველებს საქმის მასალებში წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენებებიც. მატერიალური პრობლემებითა და წლების მანძილზე მოუგვარებელი სოციალური მდგომარეობით შეწუხებული მოქალაქეები ერთადერთ ხსნას საზღვარგარეთ სხვის მოსამსახურედ მუშაობაში ხედავენ. ამისთვის უკანასკნელ თეთრსაც არ იშურებენ და „თამუნიას" მსგავს ფირმებში უყოყმანოდ მიაქვთ. როგორც აღმოჩნდა, „თამუნიასთვის" ბევრმა ის ერთადერთი ბინაც გაყიდა, სადაც იმჟამად ცხოვრობდა. ფირმამ არ გაამართლა, კლიენტთა უმრავლესობა კი სხვის ჭერქვეშ დარჩა... როგორც დაზარალებულები აცხადებენ, „თამუნია" მარტო არ მოქმედებდა – მას მფარველები მთავრობასა და სამართალდამცავთა შორის დღესაც ჰყავს.

ფირმა „თამუნია", როგორც შპს, 1996 წელს დააარსა ნინო მახარაშვილმა. რეგისტრაცია ფირმამ თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში გაიარა. „თამუნიას" პრეზიდენტად ნინო მახარაშვილი გაფორმდა. მან ოფისი რუსთაველის გამზირის №40-ში განათავსა. ფირმის შექმნასა და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში მახარაშვილს კრწანისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი – ლელა მჭედლიძე, მისი მეუღლე ბაქარ (ბექა) ბუაძე და

ნიკოლოზ ნიაზაშვილი ეხმარებოდნენ.

პროკურატურის ვერსიით, „თამუნიას“ რეგისტრირების შემდეგ, მახარაშვილი მჭედლიძეს, ბუაძესა და ნიაზაშვილს შეუთანხმდა უკანონოდ მიესაკუთრებინათ მოქალაქეების პირადი ქონება. ისინი ფირმაში მისულ მოქალაქეებს გარკვეული ფულადი ანაზღაურების შემდეგ, სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაოდ, სასწავლებლად ან სამკურნალოდ გამგზავრებას ჰპირდებოდნენ, დანაპირებს არ ასრულებდნენ, აღებული თანხიდან კი, კლიენტებს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს უბრუნებდნენ. ამ გზით, 1998-2000 წლებში, მათ 28 ადამიანი მოატყუეს და საერთო ჯამში 85.329 ლარი მიითვისეს.

სამართალდამცავებმა ნინო მახარაშვილს, ლელა მჭედლიძეს, ბაქარ ბუაძესა და ნიკოლოზ ნიაზაშვილს თაღლითობის შესაბამისი მუხლი მიუყენეს. ფირმის პრეზიდენტს, თაღლითობასთან ერთად, გადასახადების გადაუხდელობაშიც ადანაშაულებენ. როგორც პროკურატურა აცხადებს, მან სახელმწიფო ბიუჯეტს 155 ათასზე მეტი ლარის ზარალი მიაყენა.

დაზარალებული **ავთანდილ ხიხაძე** (წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებიდან):

„თამუნიაში“ ფირმის პრეზიდენტი ნინო მახარაშვილი გამაცნეს. მან შემომთავაზა – ოქტომბრის თვეში ამერიკაში სამსახურის გარანტიით გაგამგზავრებ, ანაზღაურება თვეში 2.000 ამერიკული დოლარი გექნებაო. მითხრა, რომ ამისათვის წინასწარ 1.800 დოლარი უნდა გადამეხადა. მე ამდენი ფული არ მქონდა, ამიტომაც მახარაშვილს ვუთხარი – ეს თანხა არ მაქვს, მაგრამ რუსთავში ბინას გავყიდი, ოღონდ არ მომატყუოთ, თორემ ცოლ-შვილი ქუჩაში დამრჩება-მეთქი. მახარაშვილმა პასუხად, გამგზავრების სრული გარანტია მომცა. რუსთავში ბინა გავყიდე და 1.800 დოლარი მახარაშვილს ოფისში მივუტანე. ფულის გადაცემას იქაური თანამშრომელი ლელა მჭედლიძე ესწრებოდა, ხელწერილიც მან მომცა. მთელი ორი წლის მანძილზე სისტემატურად დამატარებდა ოფისში და მატყუებდა – ან ფულს დაგიბრუნებ ან ამერიკაში გაგიშვებო. ამ ხნის განმავლობაში, პასპორტის ასაღებად, 100 დოლარი დამატებით კიდევ გადამახდევინა, პასპორტი ერთ თვეში მართლაც გამიკეთა. იმ პერიოდში მახარაშვილს ჩემსავით მოტყუებული მოქალაქეები აკითხავდნენ და ფულის დაბრუნებას მოითხოვდნენ. ის პასუხობდა – ახლა ფული არ მაქვს, ვიმუშავებ და თქვენს ვალს გავისტუმრებო. 2000 წლის სექტემბერში ოფისში ტელევიზიისა და პოლიციის თანამშრომლები მოვიდნენ. მახარაშვილმა გაქცევა სცადა, მაგრამ ხალხმა მას ამის საშუალება არ მისცა...“

დაზარალებული **ზოთა საბორაშვილი**:

„გადავწყვიტე, ამერიკაში ჩემი ორივე შვილი გამეგზავნა. უფროსი, უცხო ენების ფაკულტეტზე სწავლობდა და მინდოდა, რომ სწავლა საზღვარგარეთ გაეგრძელებინა. მივედი ფირმა „თამუნიაში“, სადაც ნინო მახარაშვილს შევხვდი. მან მითხრა – ამ საქმეს გაგიკეთებ, შენ მხოლოდ პასპორტები და 6.000 დოლარი მოიტანეო: როგორც ამიხსნა, ორი ადამიანის გამგზავრებას ეს თანხა სჭირდებოდა. თანხის ნახევარი წინასწარ უნდა მიმეტანა. ასეც მოვიქეცი. მან კი, უკვე ამდენი წელი გავიდა და, დანაპირები არ შეასრულა. როცა უკვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე, ფულის დაბრუნება მოვთხოვე. მან მხოლოდ 1.000 დოლარი დამიბრუნა“.

დაზარალებულთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ფულს ისინი მჭედლიძესა და ნიაზაშვილს უტოვებდნენ. მათი თქმით, ამ პროცესს მახარაშვილიც ესწრებოდა. სამივენი ერთად არწმუნებდნენ, რომ დათქმულ ვადაში საზღვარგარეთ გაამგზავრებდნენ და იქ მათ კარგი პირობები დახვდებოდათ.

დაზარალებულმა ლალი მარკოზაშვილმა ჩვენებაში აღნიშნა, რომ იგი ამერიკაში სამუშაოდ აპირებდა წასვლას. ამისთვის ახლობლისგან ფული ისესხა და ფირმა „თამუნიას“ მიაკითხა. იქ ნინო მახარაშვილი, ადვოკატი ლელა, მისი მეუღლე ბექა, ვინმე ჯაბა და ნიაზაშვილი გაიცნო. მახარაშვილმა მას უთხრა, რომ ისეთი ნაცნობები ჰყავდა, რომლებიც ამერიკის საკონსულოში იქაური თანამშრომლების მოსყიდვის გზით, საგზურებს ელჩთან გასაუბრების გარეშე აკეთებდნენ.

1999 წლის მაისში მარკოზაშვილმა „თამუნიაში“ 2.000 დოლარი მიიტანა, დანარჩენ თანხას კი ფირმას ვიზის მიღების დროს გადასცემდა. როცა დათქმულ დროს მახარაშვილს მიაკითხა, მარკოზაშვილის თქმით, მან თავის მართლება დაიწყო: ამერიკის კონსული იცვლება და მოცდაა საჭიროო. კონსული მართლაც გამოიცვალა. მარკოზაშვილმა მახარაშვილს თანხის დაბრუნება მოსთხოვა, რადგან ფული მევალისთვის უნდა მიეცა. მახარაშვილი დათახმდა, ხელწერილიც კი დაუწერა, რაც ფირმის ბეჭდითაც დაუმოწმა, თუმცა, თანხის მხოლოდ ნაწილი დაუბრუნა.

დაზარალებული **ნარგიზა ნოზაძე** (წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებიდან):

„ნინო მახარაშვილი დამპირდა, რომ ჩემს შვილს – აკაკის სასწავლო ვიზით ამერიკაში, 2.500 დოლარად გაუშვებდა, იქ კი მას, სწავლასთან ერთად, სამსახურითაც დააკმაყოფილებდნენ. 10%-იანი სესხი ავიღე და 1999 წლის ნოემბერში 1.250 დოლარი მახარაშვილს გადავეცი. ფული მან იქვე მყოფ ლელა მჭედლიძეს დაათვლევინა. დაახლოებით 20 დღის შემდეგ, მახარაშვილმა ტელეფონით დამირეკა – ვიზა უკვე მოსულია და დარჩენილი 1.250 დოლარიც მოიტანეო. როცა ოფისში ეს თანხაც მივიტანე, მახარაშვილმა მითხრა: ახალ წელს შვილი ამერიკიდან მოგილოცავს – 28 დეკემბერს გაემგზავრება და მოემზადეთო. ასე არ მოხდა. დრო გადიოდა, მახარაშვილი ყოველდღე გვპირდებოდა, რომ აკაკის ამერიკაში გაუშვებდა, თუმცა ამას არ ასრულებდა. მივხვდით, რომ თაღლითი იყო და გვატყუებდა, ამიტომაც ფულის დაბრუნება მოვთხოვეთ. ამასაც დაგვპირდა – თანხას პროცენტის სარგებლით დაგიბრუნებთო. არც ამას ასრულებდა. როცა მის ოფისში ფულისთვის მივდიოდი, დამცინოდა“.

ნინო მახარაშვილი 2000 წლის 4 სექტემბერს დააკავეს. იგი სამართალდამცავთა ხელში ადრეც მოხვდა, თუმცა გაათვისუფლეს. ამის გამო, დაზარალებულები დღემდე ეჭვის თვალით უყურებენ ამ საქმის გამოძიებას: „ეს იმას ნიშნავს, რომ მას სერიოზული მფარველები ჰყავს“, – აცხადებენ ფირმის კლიენტები და ხელს ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს კადრების უფროსის ზაზა ბურჯანაძისკენ იშვერენ: მათი თქმით, ნინო მახარაშვილი, როცა იგი სამართალდამცავებმა პირველად დააკავეს, სწორედ მან

გაათავისუფლა. პატიმრობიდან დახსნილმა მახარაშვილმა კი, ხალხის მოტყუება ამის შემდეგაც განაგრძო და ახალი კლიენტებისგან საკმაოდ სოლიდური თანხები მიითვისა. ამას, ბურჯანაძესთან ერთად, მახარაშვილის მხარდამჭერნიც კატეგორიულად უარყოფენ.

პროკურატურის მიერ ბრალდებულნი აცხადებენ, რომ თაღლითობის მსხვერპლნი თავად გახდნენ: მათი თქმით, ისინი ჩვეულებრივ, კანონიერ საქმიანობას ეწეოდნენ, ეს კი ჩვენმა სამართალდამცავებმა ვერ აიტანეს და ყველანაირი გზითა და ხერხით, ფირმა გაკოტრებამდე მიიყვანეს, ფირმის თანამშრომლებს თაღლითობა დასწამეს, ხალხი აუჯანყეს, „თამუნიას“ პრეზიდენტი კი ციხეში გაამწესეს. „აბუნტებულ“ ხალხს სათავეში პოლიციის აგენტები – ვითომ დაზარალებულები უდგანან“, – აცხადებენ ისინი. **ქეთევან მახარაშვილი**, ნინო მახარაშვილის და:

„ჩემს დას ყველაფერი სპეციალურად მოუწყვეს. ნინოს თითქმის ათი წლის ფირმა ჰქონდა, მის მიერ მოტყუებული ერთი ადამიანიც არსად დადიოდა. ყველაფერს კანონიერად აკეთებდა, მაგრამ პოლიციას რომ წარამარა ფულს არ უხდიდა, სწორედ ეს ვერ აიტანეს ჩვენი შს სამინისტროს თანამშრომლებმა. იმდენი მოახერხეს, რომ ფირმა „ჩააგდეს“. როგორც გაირკვა, ისინი ამაზე მთელი ორი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. დაზარალებულები – ხუციშვილი და სხვები, პოლიციის აგენტები არიან. ამდენი ხალხი სწორედ ხუციშვილს „აბუნტებინეს“ და ჩემს დას თაღლითობაში ცილი დასწამეს. ნინო რომ თაღლითი ყოფილიყო, მთელი ორი წლის მანძილზე, როცა ფირმა „ჩავარდა“, ჩემს სახლში არ იცხოვრებდა და ჩემი სარჩენი არ იქნებოდა...“

დაზარალებულთა თქმით, ფირმა „თამუნიას“ სერიოზული მფარველები ჰყავს. პროკურატურის მიერ ბრალდებულნი კი აცხადებენ, რომ თაღლითობის მსხვერპლნი თავად გახდნენ: მათი საქმიანობა ჩვენმა სამართალდამცავებმა ვერ აიტანეს და ყველანაირი გზითა და ხერხით, ფირმა გაკოტრებამდე მიიყვანეს.

განსასჯელები წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ცნობენ. მახარაშვილმა უჩვენა, რომ მას არც ერთი მოქალაქე არ მოუტყუებია და მათი ფული არ მიუთვისებია. მისი თქმით, იმ პერიოდში ფირმას უბრალოდ ჩავარდნა ჰქონდა, რამაც ვალდებულებების შესრულების შეფერხება გამოიწვია. მახარაშვილის მტკიცებით, დაბრკოლებები მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით წარმოიშვა. მისივე თქმით, მასთან არ უმუშავია ნიკო ნიაზაშვილს, რომელიც მისი დისშვილის ქმარია და რომელთანაც მას ცუდი ურთიერთობა ჰქონდა.

ჩვენთან საუბრისას ნიკო ნიაზაშვილმა იგივე გაიმეორა, თუმცა აღნიშნა: ჩემი ცოლის დეიდასთან სამსახურში ხშირად დავდიოდი, მე სხვაგან ვმუშაობდი, მაგრამ საქმით დატვირთული მხოლოდ სამ დღეში ერთხელ ვიყავი, დანარჩენ დროს ფირმაში ვატარებდიო.

მახარაშვილის მტკიცებით, მას არც ბუაძესა და მის მეუღლესთან ჰქონია რაიმე შეთანხმება. „პირადად მე არავის თანხა არ მიმითვისებია, ხოლო თუ მჭედლიძემ და ბუაძემ ჩემს ზურგს უკან ვინმე მოატყუეს, მე საქმის კურსში არ ვარ“, – განაცხადა მახარაშვილმა წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულად დაკითხვისას. იგი არც სახელმწიფოსთვის გადასახადების დამალვაში იდანაშაულებს თავს. მისი თქმით, 1997 წელს მან ფირმაზე რიცხული ქონება დაკარგა, რის გამოც, გადასახადი დაედო, ამას ჯარიმებიც მიემატა. ის არ გამორიცხავს, რომ თანხა ბრალდებაში მითითებულ 155.186 ლარზე ასულიყო. რაც შეეხება 28 დაზარალებულს, მახარაშვილის თქმით, მათთვის დასაბრუნებელი თანხების ციფრი პროკურატურის მიერ არის გაბერილი. იგი ადასტურებს, რომ მას კლიენტთა გარკვეული თანხაც მართებს, მაგრამ არა ამდენი.

უფრო ადრე, ნინო მახარაშვილმა გამოძიებას განსხვავებული ჩვენება მისცა. მაშინ სამართალდამცავებს მან განუცხადა, რომ მოქალაქეებს დანაპირები მართლაც ვერ შეუსრულა. „თუმცა ეს ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზებით მოხდა, ვინმეს განგებ მოტყუება მე არასდროს მომინდომებია“ – დასძინა მან. ამავე ჩვენებებში მახარაშვილი აღნიშნავს, რომ ლელა მჭედლიძე ფირმის კომერციული დირექტორი იყო. მას ტურისტისგან ფულისა და საბუთების მიღება, ამასთანავე, მათი ჟურნალში გატარება ევალებოდა. მისი მეუღლე – ბაქარ ბუაძე კი ფირმის ადვოკატი გახლდათ. მანვე დაადასტურა თავისი სიძის – ნიაზაშვილის „თამუნიაში“ მუშაობის ფაქტიც. „თავს დამნაშავედ არ ვცნობ იმაში, რომ ვენდობოდი ჩემს თანამშრომლებს – ლელა მჭედლიძესა და ბაქარ ბუაძეს. ისინი ჩემს ნდობას იყენებდნენ ბოროტად, ჩემი ნებართვის გარეშე ართმევდნენ ფულს ტურისტებს, როგორც ოფისში, ასევე ოჯახში“, – წერს მახარაშვილი ადრინდელ ჩვენებებში.

მჭედლიძის, ბუაძისა და ნიაზაშვილის ადვოკატები ამ უკანასკნელთა დანაშაულს გამორიცხავენ. ისინი ამჟამად პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღმკვეთი ღონისძიება მათ ქვეყნის საზღვრებიდან გაუსვლელობის ხელწერილით შეეცვალათ. დაპატიმრებული მხოლოდ ნინო მახარაშვილი გახლავთ.

წინა სასამართლო სხდომაზე დაზარალებულებმა ისიც აღნიშნეს, რომ განსასჯელთა მხრიდან ზეწოლასა და მუქარას არაერთხელ ჰქონია ადგილი. ისინი აცხადებენ, რომ ფარ-ხმალს მაინც არ დაყრიან და ბოლომდე იბრძოლებენ. დაზარალებულები დაკარგული თანხის დაბრუნებასა და ყველა იმ პირის დასჯას მოითხოვენ, ვინც, მათივე თქმით, ამ ბინძურ თამაშში მონაწილეობდა. შესაბამისად, ალბათ, მფარველთა რანგში მოხსენიებულ პირთა სასამართლოში დაკითხვის საკითხიც დადგება. ■

მარინა ბაბუნაშვილი

„წაბალახების" ნაყოფი ანუ „ყბილოდ, მარია"

ქალების დიდი მოყვარული გახლდათ ბონდო გვრიტიძე. ჭაბუკობის დროიდან, ხან ერთი ქალის სიყვარული აურევდა ჭკუა-გონებას, ხან – მეორის, და რაც მთავარია, ყოველი ახალი სიყვარულის მოსვლისას ღრმად სწამდა, რომ ის გრძნობა ჯერ არგანცდილი, ერთადერთი და, რაღა თქმა უნდა, უკანასკნელიც იქნებოდა. ასე და ამრიგად, ბონდომ ოთხი კანონიერი ცოლი გამოიცვალა და ჯამში 8 შვილი დააგროვა, 48 წლისა რომ მოიყარა, ცოტა შეშინდა: ხუმრობა ხომ არ იყო?! – 2 წელიწადში ნახევარ საუკუნეს მიუკაკუნებდა. გადაწყვიტა, ერთხელაც ეცადა ბედი. მალე გამოჩნდა კიდეც საბედო. ოცდათხუთმეტი წლის, თეთრყირმიზა, სასიამოვნო გარეგნობის თამილას, გათხოვების იმედი თითქმის გადაწურული ჰქონდა და ეს საქმეც ერთ თვეში გაიჩარხა, ერთ წელიწადში კი, თვალხატულა ნინიკო გაუჩნდათ.

– მორჩა, ძმაო, აწი თამილა და მხოლოდ თამილა იქნება ჩემი ბოლო, ყველაზე ძლიერი სიყვარული, – განუცხადა თავის ძმაკაცს ბონდომ, – ამისთანა წყნარი ქალი ცხოვრებაში არ შემხვედრია.

– კიდო კაი, როგორც იქნა, მოხვედი ჭკუაზე, მაგრამ ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო! – თავი დაუკანტურა ბავშვობის მეგობარმა და კარის მეზობელმა ანზორამ.

– ნეტა, შენ არ მასწავლიდე ჭკუას, შე „რიჟა" შენა! – გადაიხარხარა ბონდომ. – ბიჭო, რაც შენ ქალებში დრო გიტარებია, ჩემი როგორ გიკვირს?

– შენ, ძმაო, არიფულად იქცეოდი, ყველასთან ხელი მოაწერე, მე კი ჭკუა მეყო და სერიოზულ ამბავში არასდროს გადამიზრდია საცხა-საცხა „წაბალახება".

ბონდო გაიტრუნა. მართალი იყო ანზორა ბენდუქიძე, ვერაფერში შეედავებოდა...

გავიდა ხანი, ნინიკოც წამოიჩიტა და ბონდოც, ნამდვილი მეოჯახის დადინჯებული ცხოვრებით ცხოვრობდა.

ის დროა, ჩვენში სერიალების ბუმი ახალი დაწყებულია. ტელემაყურებელს უკვე მოქვითინებული ჰქონდა ხუანისა და მონიკას სიყვარული, იზაურასა და მარიანას გულის ამაჩუყებელი ამბები და ახლა უბრალო მკერავი გოგონას – მარიას დრამატულ ცხოვრებას ადევნებდა თვალს გაფაციცებით.

Просто Мария-ს მორიგი სერიის მსვლელობისას, ბონდო გვრიტიძის კართან კატის ჩხავილის მსგავსი ხმა გაისმა, რომელიც არა და არ მინელდა.

ბონდოც კარგა გვარიანად იყო ჩართული სერიალის ორომტრიალში, მაგრამ თამილა არ მოეშვა და ისიც, ზანტად გაემართა კარის გასაღებად. კარში არავინ დახვდა. კნავილი განმეორდა. ძირს, ფეხებთან, ვარდისფერ საბანში, მუთაქასავით გახვეული თოთო ბავშვი უმწეოდ აღებდა პირს... ბონდოს ცივმა ოფლმა დაასხა. ბავშვს დასჩერებოდა და ვერ მოეფიქრებინა, რა გაეკეთებინა. გვიანღა შეამჩნია საბანზე მიმაგრებული ბარათი, რომელშიც ეწერა:

„ამიერიდან ეს ბავშვი თქვენია. ვიცი, რომ არაფერს მოაკლებთ და ისე შეიყვარებთ, როგორც საკუთარ სისხლსა და ხორცს. სახელიც თქვენთვის მომინდვია, – რაც გინდათ, ის დაარქვით".

ახლა კი გულმა რეჩხი უყო ბონდო გვრიტიძეს: ვინ დაუჯერებდა, რომ ეს მჩხავანა არსება მისი არ იყო? ამდენი ცოლისა და შვილის პატრონს ყველა ეჭვით მიაჩერდებოდა. მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, ბონდომ გონების თვალი მოავლო თავის ახლო წარსულს... არა! რაც მართალია, მართალია – თამილას მერე იგი აღარავის გაჰკარებია. მაშ, საიდან ეს პაწაწა, დაუპატიჟებელი სტუმარი! მართლაც, ბედის ირონია იყო!

ამ მწარე ფიქრებში გართულს თამილას ხმა მოესმა: ბონდო, ვინ არისო? სერიალი უკვე დამთავრებულიყო. თამილაც და ნინიკოც გაღებული კარის ზღურბლს მიუახლოვდნენ. ბონდომ ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ ის შეძლო, რომ თითით მიანიშნა ბავშვზე.

თამილამ ჯერ ცალი წარბი ასწია, მერე ქმარს გაუშტერა თვალი. ბონდომ ისევ მუნჯური ენა ირჩია და ხელით ანიშნა – ჩემი არ არისო. ბავშვი კი კვლავ ჩხაოდა, მოპირდაპირე კარიც გაიღო და ზღურბლზე ანზორა გამოჩნდა. თამილამ ჯერ ამრეზით შეხედა ქმარს, მაგრამ ქალის გულმა თავისი ქნა – ბავშვი აიყვანა და საძინებლისკენ წავიდა.

— კაცი კი არა, ლომი ხარ, ძმაო! — ჩასჩურჩულა ანზორამ. — აღარ ბერდები, ბიჭო?

— „რიჟა“, თავი დამანებე! ისე ვარ, დანა რომ დამარტყა, სისხლი არ გამომივა! რას დაავჯერებ ახლა ამ ქალს, ჩემი რომ არ არის?!.

— ე, ბიჭო, ჩემთან დაფიცება რაში გარგია? ხომ ვართ ძმები! მე მაინც მითხარი სიმართლე, „წაიბალახე“ ხომ?

ბონდომ განმგმირავი მზერა ესროლა:

— ნუ გამაგიჟე, ანზორა დარეხვილო, ხომ გეუბნები — მოვეშვი მაგისთანებს მე!

მაინც ვერ დაარწმუნა ანზორა — სულ თავს აკანტურებდა. თამილაც ვერ დაარწმუნა ბოლომდე, მაგრამ რას იზამდა — ჩვილს ხომ არ გადააგდებდა?!

თავი დაიმშვიდა — ალბათ, ღმერთმა ასე ინებაო და სახელიც უცებ შეურჩია: „უბრალოდ, მარიას“ „პატივსაცემად“, მარია დაარქვეს...

ასე გავიდა ერთი წელიწადი და ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგა, მაგრამ ერთ მშვენიერ დილას ანზორამ ბონდოს გასძახა — სასწრაფო საქმე მაქვს და შემოდიო. სამზარეულოში ჩამოსხდნენ. ანზორამ უთხრა:

— ამ დილით, ფოსტალიონმა დაზღვეული წერილი გადმომცა. ჩემი გვარი კი წავიკითხე, მაგრამ მეტი ინგლისური მე არ ვიცი: ინგლისიდან მიგზავნის ვიღაცა. ჰოდა, ჩვენს ილიკოს დავუძახე, სადაცაა მოვა.

ახლა, როცა ბონდოც გვერდით დაიგულა, გაბედა და ხელის კანკალით კონვერტის გახსნა დააპირა, მაგრამ ამ დროს ზარი გაისმა და ილიკოც მოვიდა. დასხდნენ. ილიკომ კონვერტი გამოართვა ანზორას, გაშალა და... ე, ბიჭო, ქართულად წერიაო! — უთხრა მეგობარს.

— მაგას მაინც არა აქვს კითხვის თავი და შენ წაიკითხე! — ნება მისცა ბონდომ.

ილიკომ დაიწყო:

„ჩემო ძვირფასო ანზორ!

იმედია, გამიგებ და არ გამინაწყენდები.

გახსოვს ის ლამაზი და შფოთიანი ერთი კვირა? ბედისწერა იყო ჩვენი შეხვედრა, ალბათ... როცა მივხვდი, რომ ორსულად ვიყავი, გადავწყვიტე, ექიმთან მივსულიყავი, მაგრამ იმან მითხრა, აბორტი დაგვიანებულია და ბავშვი უნდა გააჩინოო... ხომ გახსოვს, ის დღეები სულ გეუბნებოდი, ევროპაში უნდა წავიდე სამუშაოდ-მეთქი. ამ პატარას მე მაინც ვერ გამოვკვებავდი, ჰოდა, ლივერპულიდან ვიზა მომივიდა შორეული ნათესავისგან და მეც წავედი. ახლაც არ შეგაწუხებდი, როგორც ადრე, მაგრამ ბავშვის დამტოვებელი არავინ მყავდა... ძალიან მენატრება და რომ ჩამოვალ, ჩუმად უნდა მიჩვენო ხოლმე. გკოცნი, კარგად მოუარე ჩემს პატარას და როგორმე მომწერე, რა დაარქვი. ისიც მომწერე, სად შეიძლება გამოგიგზავნო ცოტა ფული. შენი ელენე“.

ილიკო გაჩუმდა, ჯერ თვალი ფრთხილად ანზორასკენ გააპარა, მერე ბონდოსკენ. ორივე გარინდულიყო, ოღონდ, ანზორა შეშინებული კურდღელივით დაპატარავებულიყო, ბონდო კი, განრისხებული და ნახტომისთვის გამზადებული ლომივით იბერებოდა. მერე აღრიალდა:

— აი, თურმე ვის ჰგავს მარია ქერა თმით... აი, თურმე ვის უმამაძაღლია და ვის ბრალდებოდა! შენი „წაბალახების“ გულისთვის ძლივს შეკოწიწებული ოჯახი ლამის დამენგრა; მოგკლავ, შენი... კარი აერია იმ შენს ტურფას, შენ კი ჩემი გაჭირვება სიცილადაც არ გყოფნიდა...

ბონდო თავს კონტროლს ველარ უწევდა. ილიკო შუაში ჩადგა. დააწყნარა ორივე: მე თუ მკითხავთ, უკეთესობისკენ შეტრიალდა თქვენი ცხოვრება. მარიას მაინც ველარ შეელევით თქვენ (მოუტრიალდა ბონდოს), შენ კი (ახლა ანზორას მიმართა), აგერ, ცხვირწინ გეყოლება საკუთარი ბავშვი. ინგლისიდან გამოგზავნილ ფულს ორივე გაინაწილებთ... ასე არ სჯობს?!

ორივე ჩაფიქრდა. ჭკუაში დაუჯდათ ილიკოს რჩევა, ასეც მოიქცნენ...

ახლა მარია ექვსი წლისაა. ბონდოც და ანზორაც ისე უყვარს, რომ ორივეს მამიკოს ეძახის. ■



ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა,
თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს.

უილიამ შექსპირი

განგებაა, სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდაც ასი.

შოთა რუსთაველი

ვიდრე გაშლიდე იალქანს
და გახვიდოდე ზღვაში;
ვიდრე შენს შრომას შეუდგე,
ჯერ ღირსეულად ამზადე
სიტყვის და საგნის მარაგი;
საგულდაგულოდ შეიგნე,
რაც მგოსანს მოეთხოვება.
დრო გავა, შენსას გაიტან,
გაგითავისებს დროება.

მარკო ჯიროლამო ვიდა

მოწყენილობა არის სერიოზულობის ნაკლებობა.

ოსკარ უაილდი

ხარბია კაცთა გონება. არც შეჩერება შეუძლია, არც სიმშვიდე, სულ წინ ისწრაფვის.

ფრენსის ბეკონი

იხარე, ვიდრე შუქი ჩაქრება,
მოწყვიტე ვარდი, ვიდრე დაჭკნება!

იოჰან მარტინ უსტერი

კეთილი სახელი ყოველ პატიოსან ადამიანს უნდა ჰქონდეს.

კეთილი სახელი ჩვენთვის სამშობლოს დიდებაა.

ალექსანდრ სუვოროვი

უშიშარი გოგონები — ასეთი შთაბეჭდილებით წამოვედი სტრიპტიზ-ბარის მოცეკვავეებთან საუბრის შემდეგ, რომლებიც, ჩემდა გასაოცრად, თავიანთი დღევანდელი ცხოვრებით ფრიად კმაყოფილნი მომეჩვენნენ: თურმე კარგ ფულსაც შოულობენ, არც არაფრის ეშინიათ და ამ ხელობით საბედოც შეიძლება იპოვოს ქალმა... ისე კი, შესაძლოა, ასეთი შთაბეჭდილება იმის გამო შემექმნა, რომ მსგავს დაწესებულებაში პირველად მოვხვდი. სხვათა შორის, ამის გამო ყველა დეტალი მაინტერესებდა: იხდიან თუ არა გოგონები ბოლომდე? ვინ არიან ბარის ხშირი სტუმრები? მასპინძლის ღიმილი კი ჩემმა გულუბრყვილო შეკითხვამ გამოიწვია: „ღერძი გაქვთ?" (ვგულისხმობდი მილს, რომლის გარშემოც მოცეკვავეები ასრულებენ ამა თუ იმ ნომერს). აღმოჩნდა, რომ ღერძიც ჰქონიათ და საკმაოდ მოხერხებული მოცეკვავეებიც ყოფილან.

„ამ სამსახურმა ლამა სიყვარული მაპოვნინა"

„... როგორ გიტენის უცხო მამაკაცი საცვლებში ფულს"

მარი ჯაფარიძე

— გოგონებო, თქვენ პროფესიონალი მოცეკვავეები ხართ?

ეკა, 17 წლის:

— არა, მე ფოტომოდელი ვარ. ერთ-ერთ სტუდიაში ვმუშაობდი, მაგრამ ანაზღაურების სიმცირის გამო წამოვედი და ახლა აქ ვმუშაობ. ცეკვასაც აქ დავეუფლე.

ნინო, 19 წლის:

— მეორე დღეა, რაც აქ ვმუშაობ. ფაქტობრივად, მოსწავლე ვარ, მაგრამ კარგად გამომდის *(? — ავტ.)*

თეონა, 25 წლის:

— მე უკვე დიდი ხანია ვცეკვავ. ვთვლი, რომ პროფესიონალი ვარ. ადრე ვცეკვავდი „ავტოგრაფში", პეროვსკაიაზე (ახლანდელი ელენე ახვლედიანის ქუჩა), საზღვარგარეთაც მიმუშავია.

— რამ გაიძულათ, რომ ასეთ სამსახურზე დათანხმებულიყავით?

ნინო:

— ანაზღაურებამ. მშობლები მუშაობენ, მაგრამ მე მინდოდა, ჩემი საკუთარი შემოსავალი მქონოდა და ელემენტარული მოთხოვნილებები დამეკმაყოფილებინა. ოჯახის შემოსავალი ამის საშუალებას არ მაძლევდა. აქ კი, გუშინ პირველი დღე ვიმუშავე და 80 ლარი გავაკეთე*(! — ავტ.)*

თეონა:

— მარტოხელა დედა ვარ. ბავშვს უამრავი რამ სჭირდება, დღეს კი ყველაფერი ფულთანაა დაკავშირებული: ცეკვა, მუსიკა, უცხო ენის სწავლა. საიდან უნდა მომეტანა ამდენი ფული? ეს სამსახური კი საშუალებას მაძლევს, ჩემი შვილი უზრუნველყოფილი იყოს. სულაც არ ვთვლი, რომ რაიმე ცუდს ვაკეთებ. ვცეკვავ და ფულს მიხდიან.

— თქვენი ოჯახის წევრებმა თუ იციან, აქ რომ მუშაობთ?

(სამივეს პასუხი ერთნაირი იყო)

— არა. მათ იციან, რომ რესტორანში მიმტანად ვმუშაობ.

— რამდენად ხალისიანია თქვენი ყოველდღიური ცხოვრება?

თეონა:

— მოსაწყენი. დღისით გვძინავს, ღამე კი 12 საათიდან დილის 6 საათამდე ვცეკვავთ. დაღლილ-დაქანცული მივდივარ სახლში, მივეგდები საწოლზე და მძინავს. ყოველთვის არ გეცეკვება და გემხიარულება ადამიანს, მაგრამ რა ვქნა, სხვა გამოსავალი არ არის. გინდა თუ არ გინდა, უნდა იცეკვო, კლიენტებს ულიმო, ეხვანცალო, რომ ფული გაჩუქონ.

— ქართველი კაცები გულუხვები არიან?

— არა უშავთ, აქ ძირითადად, მაინც ფულიანი ხალხი მოდის. უცხოელები უფრო „ჟმოტები" არიან. ყოფილა შემთხვევა, ერთ ღამეში 200 ლარიც გამიკეთებია. ისეც ხდება, რომ შეიძლება დარბაზი სავსე იყოს და ფული ვერ გააკეთო. ყველაზე ცუდი დღეა, თუ 50-60 ლარზე მეტს ვერ ვაკეთებ. კლიენტს თავისებური მიდგომა უნდა. მე უკვე საკმაო გამოცდილება მაქვს, ვიცი, როგორ მოვიქცე, რომ დამასაჩუქრონ. ახალმოსულებსაც ვასწავლი. ერთხელ, ერთ პარლამენტარს (გვარს არ დავასახელებ) ისე მოეწონა ჩემი ცეკვა, რომ სცენაზე გამოვიდა და თავზე დამაყარა ფული. იმ დღეს კარგა გვარიანი შემოსავალი მქონდა. ერთმა ცნობილმა მომღერალმა კი, ხელში ამიყვანა და ჰაერში მატრიალა.

— ქალები თუ მოდიან თქვენს საყურებლად?

— იშვიათად. ერთხელ, მახსოვს, ოთხი კაცი მოვიდა, თან ცოლები ახლდნენ. ჯიბრზე, სწორედ ამ კაცებს „ვეთამაშებოდი", მათ მაგიდასთან ვცეკვავდი, ისინიც ამყვნენ, თან ფულს მიტენიდნენ საცვლებში და ცდილობდნენ, შიშველ ადგილებზე ხელით შემხებოდნენ. ცოლები გადაირივნენ, ძლივს აიძულეს ქმრები, რომ იქიდან წასულიყვნენ.

— კლიენტები პაემანს არ გინიშნავენ?

ნინო:

— ჩვენ აკრძალული გვაქვს მათთან შეხვედრა, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, არავითარი სურვილი არ გამჩენია მათთან ურთიერთობის. შეყვარებული მყავს და მის გარდა არავინ მაინტერესებს. მართალია, მან არ იცის, აქ რომ ვმუშაობ, მაგრამ რომ გავთხოვდები, იმ დღიდან თავს დავანებებ სამსახურს.

— ოჯახშიც რომ ხელმოკლედ ცხოვრობდე, მაშინ?

— მაგას მნიშვნელობა არ ექნება. მაშინ სხვა სამსახურს ვიშოვი, თუნდაც დამლაგებლად ვიმუშავებ, მაგრამ აქ — არავითარ შემთხვევაში.

— არ არის გამორიცხული, რომ შენი შეყვარებული, ან მისი რომელიმე მეგობარი ეწვიოს ამ დაწესებულებას...

— ვაიმე, ღმერთმა დამიფაროს, თავს მოვიკლავ!

თეონა:

— ჩვენ, სცენაზე გამოსვლამდე, ჩუმად ვათვალიერებთ დარბაზს. აგერ, დღეს „მალიშკას“ ყოფილი კავალერი ზის დარბაზში და ისიც, იძულებულია, არ იცეკვოს.

— ნინო, ფულს რომ აგროვებ, რაიმე გარკვეული მიზანი გაქვს, თუ...

— კი. ჯერ შევიძენ ყველაფერს, რაც მაკლია. შემდეგ კი მოვაგროვებ და რომ გავთხოვდები, ოჯახს მოვაწყობ. კიდევ, ჩაფიქრებული მაქვს, რომ გათხოვებისთანავე ქმართან ერთად დიდი ხნით საზღვარგარეთ წავიდე: მინდა, დავავიწყდე იმ ხალხს, ვინც აქ მნახულობს. ხომ შეიძლება, გათხოვების შემდეგ ვინმემ სადმე მნახოს და ჩემი ქმრის ყურამდეც მივიდეს ეს ამბავი?

— შენთვის დღეს მეორე სამუშაო დღეა. როგორი იყო პირველი? ადვილად გაიხადე?

— ძალიან რთული. სირცხვილით ვკვდებოდი, რომ ვიხდიდი, მაგრამ ჩემი თავი ვაიძულე, რომ ეს გამეკეთებინა. სახლში რომ მივედი, გადავწყვიტე, აქ აღარ მოვსულიყავი, მაგრამ აღებული თანხა იმდენად მხიბლავდა, საღამოს მაინც

მოვემზადე და აი, ისევ აქ ვარ.

— სხვა სამსახური რომ გამოჩნდეს, მაგრამ უფრო დაბალი ანაზღაურებით, დათანხმდები?

— არა. ნელ-ნელა მივეჩვევი და მერე ჩემთვისაც ისეთივე ჩვეულებრივი სამსახური იქნება, როგორიც დანარჩენი გოგონებისთვის. აქ ძალიან მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება აქვთ. ხელმძღვანელობაც ძალიან შეგნებული და თბილი ხალხია. გვერდით დამიდგნენ, მამხნევებდნენ და როცა მხარდაჭერას გრძნობ, ყველაფერი უფრო ადვილია.

— დარბაზში ამდენი აღგზნებული და აღელვებული მამაკაცია, თქვენ კი შიშველი, ერთი ბეწო ქვედა საცვლის ამარა, მათ გარემოცვაში ხართ. შიშის გრძნობა არ გეუფლებათ?

თეონა:

— არა. საშიში რა არის? შეურაცხყოფას არავინ გვაყენებს. დიდი-დიდი, ხელი მოგითათუნონ, ან კალთაში ჩაგისვან. ძალას ვერავინ იხმარს. თან დაცვაც გვყავს. თუ ვინმე ზედმეტს გაბედავს, დარბაზიდან გააძევებენ.

(ამ დროს ერთ-ერთმა მოცეკვავემ ოთახში შემოიხედა და დანარჩენებს აუწყა: „დღეს „ბეზ პონტა“ იქნება, შემოსასვლელ ფულს ძლივს იხდიან და ჩვენ ჩაგვიდებენ ფულს?“

— მაინც უნდა ვიცეკვოთ, რაც გამოვა, ის გამოვა. სხვა რა გზაა? — უპასუხეს დანარჩენებმა).

— განსაზღვრული ხელფასი თუ გაქვთ?

— არა, რასაც კლიენტები გვჩუქნიან, ის ჩვენია. დაწესებულება წილში არ გვიზის, სამაგიეროდ, არც ხელფასი გვაქვს. არც არის საჭირო. ყოველდღიურად იმდენი შემოსავალი მაქვს, თვის ბოლოს საკმაოდ სოლიდურ თანხას ვუყრი თავს.

— თქვენს ცხოვრებაში ეს მონაკვეთი რა ფერის ლაქად დარჩება?

ნინო:

— ნაცრისფრად.

თეონა:

— ალბათ ვარდისფრად, რადგან ამ სამსახურმა დიდი სიყვარული მაპოვნინა: ადრე სხვა დაწესებულებაში ვცეკვავდი. იქ მნახა ერთმა პიროვნებამ (დღეს ის ჩემი მეგობარია) და იმდენი „იჩალიჩა“, შეხვედრაზე დამითანხმა. დღემდე ერთად ვართ. ისე მიყვარს, საკუთარ სიცოცხ-

ლეს მირჩევნია.

— როგორ ეგუება, აქ რომ მუშაობ?

— თავიდან პროტესტი გამოთქვა. სახლში დამსვა და მატერიალურად თვითონ მეხმარებოდა. ახლა თავადაც გაუჭირდა. იძულებული გავხდი, ისევ ცეკვა დამეწყო.

— თვითონ თუ მოდის შენი ცეკვის სანახავად?

— არა. მაგის უფლებას არც მივცემ. რა სასიამოვნოა, რომ შენი მეგობარი გიყურებდეს, როგორ გიტენის უცხო მამაკაცი საცვლებში ფულს?

— ახალი წლის ღამეს, 12 საათზე რა სურვილს ჩაუთქვამთ?

— იმდენი ფული მქონდეს, რომ აქ აღარ ვიმუშაო.

ნინო:

— მინდა, ჩემს შეყვარებულთან ერთად ოჯახი შევქმნა, შვილები მყავდეს და ბედნიერად ვიცხოვრო.

მოცეკვავე გოგონებმა არც ჩვენი ფოტოკორესპონდენტი დატოვეს უყურადღებოდ. ნარნარი ტანის რხევით მისი გამოწვევაც სცადეს, მაგრამ „პპარაცი“ ვაჟკაცურად გაუძლო ცდუნებას. ბოლოს და ბოლოს, ის მაინც „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მომენტში იყო“. ■

მაია ჯანჯავა – პატარა, სასაცილო, ხალისიანი გოგონა „ვერის უბნის მელოდიებიდან", ფილმიდან, რომელშიც მან და ია ნინიძემ მართლაც დაუვიწყარი სახეები შექმნეს. ამიტომ, გასაკვირიც არ არის, რომ მას მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე... თავისი ბავშვობა თან სდევს. თუმცა, ამ ფილმის გადაღების შემდეგაც, ფორტუნას მისთვის ზურგი არ შეუქცევია.

ვოკონა „ვერის უბნის მელოდიებიდან"

კადრი ფილმიდან „ვერის უბნის მელოდიები"

ნანა ქიბიმაური

მაია ხელოვანთა წრეში დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. არის ახალი ჯაზური კომპოზიციების ავტორი, ვოკალური ჯაზის საუკეთესო შემსრულებელთა შორის „მის ფესტივალის" პრიზის მფლობელი. გარდა ამისა, ის პოდიუმზეც მუშაობდა. ამზადებდა მოდელებს და თვითონაც მონაწილეობდა მოდების ჩვენებებში, ამ ცოტა ხნის წინ კი, ახალ ამპლუაში მოგვევლინა.

– დღეს ბავშვობა ჩემთვის სიზმარია, რომელიც კვლავ მინდა დამესიზმროს, გამახსენოს თავი, გაცოცხლდეს, როგორც სამყარო, რომელიც ჩემში შეიძლება დღეს მიძინებულიც კია... ჩემ ირგვლივ დიდი სიყვარული სუფევდა. განებივრებული, თავნება ბავშვი ვიყავი, წამითაც ვერ ვჩერდებოდი. რეალური სამყარო ჩემთვის არ არსებობდა, ირეალური კი, შეთხზული პერსონაჟებით იყო შევსებული. მახსოვს, მე და ჩემი ძმა როგორ ვაკვირდებოდით ტელესკოპით ვარსკვლავებს. ვარსკვლავებიდან ჩვენი ინტერესი ახლო მდებარე სახლებზე გადადიოდა. ორი პატარა „ქურდბაცაცა ფილოსოფოსი" სხვის მყუდრო კერაში შევიპარებოდით და ესა თუ ის ოჯახი, ჩვენი დაკვირვების საგანი ხდებოდა... მთელი ჩემი ბავშვობა შემოქმედება იყო – გაუთავებელი კონცერტები ახლობლების წრეში. იმპროვიზაცია მიყვარდა საოცრად: არც ერთი ცეკვა და სიმღერა ნასწავლი არ მქონდა. თუმცა, ჩემი იმპროვიზებული „დადგმები", რომელიც ცეკვით, სიმღერით, გამოგონილი სიტყვებით იყო დატვირთული, საათობით გრძელდებოდა და მსმენელ-მაყურებელი „ბრავოს" ძახილით ახალ-ახალ სანახაობას მოითხოვდა. ჩემი „შემოქმედების" მთავარი თემა სიყვარული იყო, რომელშიც ძლიერი ვნებათაღელვა აისახებოდა.

ხელოვნებისადმი ლტოლვა და სიყვარული ჩემში გენეტიკურად დევს. ბებიაჩემი არაჩვეულებრივი პლასტიკით გამოირჩეოდა. მას ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად, ცნობილი ბალეტმეისტერი პერინი ასწავლიდა, რომელიც მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. სამწუხაროდ, ის ბალერინა ვერ გახდა, ვინაიდან ბოლშევიკებმა ოცდაოთხ წელს მამა დაუხვრიტეს (დიმიტრი ბახუტაშვილი, რომელიც თავის დროზე ვანო სარაჯიშვილს მეცენატობდა). ბებიამ სწავლა ვეღარ გააგრძელა. პაპაჩემი დავით გამრეკელთან ერთად, ვოკალის ცნობილ პედაგოგთან ვრონსკისთან სწავლობდა და როგორც ამბობდნენ, ძალიან ლამაზი ტემბრის ტენორი ჰქონდა, აგრეთვე კარგად ხატავდა.

— თუ გახსოვთ თქვენი პირველი, სერიოზული საჯარო გამოსვლა?

– მაშინ ჯერ კიდევ ოთხი წლის ვიყავი. ქვიშხეთში, მწერალთა დასასვენებელ სახლში გამართულ ერთ-ერთ საღამოზე, ძლივს გავიკვლიე ხალხით გაჭედილ დარბაზში გზა, მივედი ვახუშტი კოტეტიშვილთან და გამოვუცხადე, რომ მინდა „გედების ტბიდან" ვიცეკვო მომაკვდავი გედის ცეკვა. ბატონი ვახუშტი ჯერ გაოგნდა, მერე ხელში ამიტაცა, სცენაზე საცეკვაო ადგილი სასწრაფოდ გამითავისუფლა და მე, მუსიკის გარეშე, სამარისებურ სიჩუმეში, თავდავიწყებით შევასრულე ცეკვა, რომელიც გედის აგონიით მთავრდებოდა. დარბაზში მქუხარე ტაში და სიცილი ისმოდა.

— „ვერის უბნის მელოდიებზე" რას გვეტყვით?

— ცხრა წლის ვიყავი, როდესაც ამ ფილმში თამრო განვასახიერე. ეს იყო ჩემთვის დიდი ფეიერვერკი: სოფიკო ჭიაურელი, ბუბა კიკაბიძე, ალისა ფრეინდლიხი, ლალი მჟავია — აი, ამ ნიჭიერი ადამიანების გარემოცვაში ვიმყოფებოდი, მაგრამ გიორგი შენგელაიამ მაინც განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ჩემს ცნობიერებაში. ვფიქრობ, მე და ია, ცოტა არ იყოს, შეყვარებულებიც კი ვიყავით მასზე. თანაც, სოფიკოზე კი არა, ერთმანეთზე ვეჭვიანობდით: რომელ ჩვენგანს როგორ შეხედა გიორგიმ, ვის მეტად მოეფერა, ვის მეტი ყურადღება დაუთმო... ჩემსა და იას შორის ეს ყველაფერი ემოციური განხილვის საგანი ხდებოდა. რასაც ვხედავდით გადასაღებ მოედანზე, ყველაფერს ექსპრომტად, იქვე გავითამაშებდით ხოლმე: ხან მე ვიყავი გიორგი და ია სოფიკო, ხან — პირიქით. აჩემებული გვყავდა გრიმიორი ლეილა, რომელიც გროტესკულ პერსონაჟად ვაქციეთ. ასეთი იმპროვიზაციები, ოპერისა და მიუზიკლის ელემენტების თანხლებით სრულდებოდა და ეს ბავშვური ეკლექტიკა, მართლაც რომ შთამბეჭდავი ხდებოდა. რაც შეეხება ბუბა კიკაბიძესა და სოფიკო ჭიაურელს, შეიძლება ახლა ხშირად ვერ ვხედავთ ერთმანეთს, მაგრამ ის სითბო, რაც ჩვენ შორის მაშინ ჩაისახა, მთელი ცხოვრება თან გვდევს. ერთხელ, მახსოვს, სწორედ „ვერის უბნის მელოდიების“ გადაღებისას, დამავალეს დამერეკა ბუბა კიკაბიძესთან და შემეტყობინებინა გადაღების დაწყების დრო. დავრეკე. ყურმილი მეუღლემ აიღო. ვუთხარი: უკაცრავად, თუ შეიძლება, მამას სთხოვეთ-მეთქი. ვინ კითხულობსო? — მისი შვილი ვარ, თამრო და თუ შეიძლება, მამას დამალაპარაკეთ-მეთქი... შემდეგ ჰყვებოდნენ, თუ როგორი უსიამოვნება მოხდა ოჯახში ამის გამო და ბევრს იცინოდნენ... სხვათა შორის, გადაღებებზე ვიზუალურად, მე ყოველთვის ბუბას მამსგავსებდნენ და იას — სოფიკოს. ამ ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, ძალიან ბევრი საინტერესო შემოთავაზება მივიღე მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და ინდოეთიდან, მაგრამ იმის გამო, რომ პატარა ვიყავი და დამოუკიდებლად მოგზაურობას ვერ შევძლებდი (დედა იმ დროს დაკავებული იყო), უარის თქმა მომიხდა ისეთ როლებზე, როგორებიც იყო მადმუაზელ ნიტუში, ანა პავლოვა, ნატალია გონჩაროვა და სხვა მრავალი. „ვერის უბნის მელოდიების“ პრეზენტაცია მოსკოვსა და კიევში ჩატარდა. გიორგი შენგელაიამ მე და ია თან წაგვიყვანა. სოფიკოს შეკერილ თამროსა და მაროს კაბებში გამოწყობილები, კინოს სახლის დარბაზში, ამდენი ცნობილი რეჟისორისა და მსახიობის ქებით თავბრუდახვეულები, დავხტოდით და იქაურობას ვიკლებდით. მაშინ, სერგო ფარაჯანოვი კიევში მოღვაწეობდა. მან მე და ია დაგვასაჩუქრა — მე შესანიშნავი ფრანგული ფინჯანი მერგო. ფარაჯანოვი აღფრთოვანებული იყო ფილმითა და მსახიობებით. სწორედ მაშინ თქვა: მე რომ „ომი და მშვიდობა“ გადამეღო, ნატაშა როსტოვას როლში მაია კანკავას გადავიღებდიო, ხოლო რეალურად, მისგან მივიღე შემოთავაზება ანდერსენის ზღაპრის — „პრინცესა მუხუდოს მარცვალზე“ ეკრანულ ვერსიაში პრინცესას როლის განსახიერებაზე. სამწუხაროდ, ფარაჯანოვი მალე დააპატიმრეს და ჩვენი თანამშრომლობა ვერ განხორციელდა.

— ალბათ ბევრი საინტერესო რამ გადაგხდენიათ გადასაღებ მოედანზე...

— ალეკო ჟღენტის ფილმში „ბალადა აფხაზ ჭაბუკზე“ გადაღების დროს, ცხენზე ვიჯექი. ამ ეპიზოდს მთაში იღებდნენ. უეცრად, შორიახლოს გამოჩნდა ჯორცხენა. ჩემი მშვენიერი ინგლისური ბედაური ვნებისგან გადაირია, გაგიჟებული ჯორცხენას გაეკიდა და მეც თან წამიყოლა. ატყდა აყალმაყალი, ჩემს გადასარჩენად სასწრაფოდ შეიქმნა „მობილური ჯგუფი“ და ველოსიპედებითა და ცხენებით გამომეკიდნენ. შეყვარებული ბედაური მიქროდა, მე კი შიშისა და გაოცებისაგან პირდაფჩენილმა, უეცრად ვიგრძენი, რომ ყველა უბედურებასთან ერთად, პირში ბუზი შემიფრინდა. საწყალმა ბზუილი მორთო, რადგან ქარის ძლიერი ნაკადის გამო, სამშვიდობოს ვეღარ გადიოდა. უეცრად, ჯორცხენა ერთ წერტილში გაჩერდა. ვერ გაეგო, მის თავს რა ხდებოდა, რადგან ჩემი მშვენიერი, მაღალფეხება ინგლისური, არისტოკრატიული წარმოშობის რაში, გადარეული, წრეს ისეთი სისწრაფით ურტყამდა, რომ დაბნეული ჯორცხენა წრიდან გამოსვლას ვერ ახერხებდა. მე ჩემი სიტუაციის პოლიფონიურობამ გამაოგნა: მე — შეშინებული, რაში — გადარეული, ბუზი — თავისუფლებისათვის მებრძოლი, ჯორცხენა — გაოგნებული! ალეკო ჟღენტს ეს ეპიზოდი რომ გადაეღო, ალბათ, ფილმს კომედიის შედეგრად აღიარებდნენ...

— გოგონა „ვერის უბნის მელოდიებიდან“, გაიზარდა, ჩაირიცხა თეატრალურ ინსტიტუტში, მაგრამ...

— მაგრამ ინსტიტუტი არ დაამთავრა. მე ჩავირიცხე სამსახიობო ფაკულტეტზე და მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში მოვხვდი. მიუხედავად თუმანიშვილის დიდი ტალანტისა,

კოლექტიურ ხელოვნებას ვერ შევეგუე და მუსიკას დავუბრუნდი. ჩავირიცხე კონსერვატორიაში და დავამთავრე ის, როგორც კლასიკური ვოკალის შემსრულებელმა. დავდიოდი ფილოსოფიის ლექციებზეც და ვხატავდი კიდეც. ჩემი სტუდენტობის წლებიდან ერთ ეპიზოდს მოგიყვებით: მაშინ, ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი და გამოცდაზე კენგურუ უნდა განმესახიერებინა. პარალელურად, ვაკეთებდი ცხოველების ჩანახატებსაც და ამიტომ, ხშირად მიწევდა ზოოპარკში ხეტიალი. ერთ დღეს ჩემი ყურადღება საკმაოდ მოზრდილმა მაიმუნმა მიიპყრო. თვალს არც თვითონ მაცილებდა და რაღაცნაირი, ინტერესით სავსე მზერით მიყურებდა. ერთხელ, უცბად ადგა, სალტო გააკეთა და თითი ჩემკენ გამოიშვირა, თითქოს მითხრა: ჰო, ჰო, შენ გიყურებო. მერე ისევ აძვრა გალიაზე და ახლა თავდაყირა დაკიდებულმა შემომხედა. ჩემში არტისტიზმმა გაიღვიძა და იქვე, მაყურებლის თვალწინ მსგავსი ილეთი მეც გავაკეთე: რა თქმა უნდა, ფეხებით ვერსად დავეკიდე, მაგრამ პლასტიკა და ხმა თითქმის მისი შესაბამისი იყო. მაიმუნი გაოცდა. ასეთი მაიმუნი-ადამიანი მას ალბათ, ცხოვრებაში არ ენახა. ძამპანო დავარქვი... მას შემდეგ თითქმის ყოველდღე ეწყობოდა ჩვენი შოუ. ძამპანოს სალტოები უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა. მისი ხარისხიც საკმაოდ იხვეწებოდა, ჩემსაზე აღარაფერს ვამბობ. ცხოველთა მომვლელები მეუბნებოდნენ – ამ მაიმუნს ნამდვილად შეუყვარდიო. შევხვდებოდით თუ არა ერთმანეთს, მაშინვე დამთვალიერებელთა ყურადღების ცენტრში ვექცეოდით ხოლმე. მე გალიის ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მხარეს გავრბოდი. შეყვარებული ძამპანოც წივილ-კივილით მომსდევდა. კარგა ხანს გრძელდებოდა ჩვენი შოუსანახაობები. მერე გამოცდები დამეწყო და ზოოპარკში ჩასასვლელად აღარ მეცალა, თუმცა, ჩემი ძამპანოს მაიმუნობა ძალიან მენატრებოდა. ერთ დღეს კი, როგორც იქნა, მოვახერხე წასვლა და... გალია ცარიელი დამხვდა. სასწრაფოდ წავედი დირექციაში ამბის გასაგებად. იქაც ჩემთვის უცნობი, ახალდანიშნული პერსონალი დამხვდა. მათ ეს მიამბეს: იმ მაიმუნს ერთი დამთვალიერებელი გოგო შეჰყვარებია თურმე. ჰოდა, ის გოგო სადღაც გამქრალა, მაიმუნი კი, დარდისაგან მოკვდაო... წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი...

— ახლა რაღაც სასიამოვნო, სიურპრიზთან მიახლოებული ამბავი მოგვიყევით. თუნდაც ის, თუ როგორ გახდით „მის ფესტივალი“.

– როდესაც მუსიკის მცოდნე ევგენი მაჭავარიანმა ჩემი და დინი ვირსალაძის დუეტი მოისმინა, მაშინვე გაგვაგზავნა ნოვოსიბირსკში, სადაც მსოფლიო ჯაზ-ფესტივალი ტარდებოდა. მსმენელის წინაშე ოთხი კომპოზიციით და დიუკ ელინგტონის „ატლასის თოჯინით“ წარვდექით. საოცრად ვღელავდი, როდესაც ნატაშა სუტულამ თავისი პროგრამიდან ჯაზური სტანდარტები შეასრულა, იმდენად მომეწონა, რომ სცენაზე გასვლა გადავიფიქრე. მერე დინიმ მითხრა: რომ არ გავიდეთ, ჟენიას რა პასუხი გავცეთო? – და ასე, დამფრთხალი გავედი სცენაზე – სიმღერა დიუკ ელინგტონის კომპოზიციით დავიწყე. თვალებს და ყურებს არ ვუჯერებდი, დარბაზში ისეთი აპლოდისმენტები იყო... ფესტივალის დახურვის დღეს, სანამ გალა კონცერტი დაიწყებოდა, ფესტივალის წამყვანმა მითხრა, სცენაზე უნდა ახვიდეთო. ჯერ სასცენო კოსტიუმშიც არ ვიყავი ჩაცმული, გამიკვირდა, რატომ უნდა ავსულიყავი, არადა, სხვას სიტყვა არავის წამოსცდენია – აი, აქედან იწყება სიურპრიზი! სცენაზე ხუთ ფავორიტთან ერთად აღმოვჩნდი. ერთს, რასაც მივხვდი, მეც ისეთივე თერმოსი და თაიგული მაჩუქეს, როგორიც სპირიჩოულსის ცნობილ ამერიკელ მომღერალს ჯო კარტერს. კულისებში რომ გამოვედი, ხალხი „მის ფესტივალის“ პრიზის მიღებას მილოცავდა და ამ დროს, ჩემმა დაბნეულობამ პიკს მიაღწია. შევედი ფილარმონიის დირექტორთან და ვთხოვე: გამარკვიეთ, მე ვარ გაუგებრობაში შეყვანილი თუ ეს ხალხი-მეთქი? მიპასუხა – ვოკალის საუკეთესო შესრულებისათვის „მის ფესტივალად“ დაგასახელეთო. მამაკაცებში ანალოგიური პრიზი ამერიკელმა ჯო კარტერმა მიიღო.

— თქვენ პოდიუმზეც მოგიწიათ მუშაობა. დღეს აღარ თანამშრომლობთ მოდელიერებთან?

– დღეს აღარ. რამდენიმე წლის წინ კი, ჩემმა მეგობარმა – ხათუნა კინწურაშვილმა გახსნა მოდელების პირველი კერძო სახლი „ირიდა“ და აიყვანა მოდელები, რომლებთანაც პლასტიკის დახვეწაზე მუშაობა, როგორც ქორეოგრაფს, მე დამავალა. „ირიდა“ მაშინ სამართლიანად პოპულარული იყო და კარგ მოდელებსაც ქმნიდა. სამწუხაროდ, ჩემი ხაზი ქორეოგრაფიაში ვერ გავატარე. არადა, ქართული სამოდელო სკოლა მაშინ გარკვეულ რეფორმებს მოითხოვდა – კერძოდ, იმას, რაც საფრანგეთში უკვე დიდი ხნის დაწყებული იყო: უნდა შექმნილიყო ქორეოგრაფიის, პლასტიკისა და თეატრალური ელემენტების სინთეზური სტილი. ეს რთულ პროცესებთან იყო დაკავშირებული და ამისთვის მოუმზადებელნი იყვნენ, როგორც მანეკენები, ასევე საზოგადოება.

— თქვენს ნახატებზე რაღას გვეტყვით?

– მიყვარს თითოეული მათგანი. იმდენი ტილო მაქვს გაჩუქებული, რომ მათ, საგამოფენოდ ძლივს მოვუყარე ერთად თავი. ბავშვობაში რატომღაც უცხვირო ქალებს ვხატავდი. მეგონა, რომ ცხვირი ზედმეტი იყო ადამიანისათვის. მოგვიანებით კი შევქმენი გრაფიკული ნამუშევრები და დღემდე ხატვა არის ჩემთვის დაღლა და განტვირთვა ერთდროულად. საერთოდ, ჩემთვის ხელოვნებაა ის, რასაც ძალიან ლამაზად მიესადაგება ანა კალანდაძის სიტყვები „მე მუდამ შენში ვპოვებდი სადგურს, სულთ დასამკვიდრებს...“ ■

32 წლის ნორვეგიელი მუსიკოსი სვენ ვოგე მშვენიერი ქართველი ქალისა და ქართული სიმღერის სიყვარულმა მართლმადიდებელ ქრისტიანად მოაქცია და საცხოვრებლად საქართველოში დააფუძნა. მისი მეუღლე პოეტი და მხატვარი თაკო ლომიძე გახლავთ. ახალშეუღლებულებს ოჯახში ვესტუმრე. სვენი დაუზარებლად „დატრიალდა“ და გამასპინძლება თავის თავზე აიღო. ამასობაში ქორწილის სურათებსაც დავთვალიერებთო, — მითხრა. სხვათა შორის, სვენი ქართულად საუბრობს და ქართულ ხალხურ სიმღერებსაც შესანიშნავად მღერის. „აი, ამ დროს *(სურათში სვენს ორი ფიალა უჭირავს ხელში)* სვენი მეუბნებოდა: იცი, როგორ მიყვარხარო?!“ — იხსენებს თაკო ქორწილის დღეს... ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ნორვეგიელი სტუდენტი ქართულმა სიმღერამ მოხიბლა და საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტა.

როგორ მოხიბლა ქართველმა პოეტმა norvegieli musikosi...

ნინო ჯავახიშვილი

— თაკო, შენ და სვენი ერთმანეთს როდის შეხვდით?

— რამდენიმე წლის წინ ნორვეგიული ენის შესწავლა გადავწყვიტე და ოსლოს უნივერსიტეტში სპეციალური კურსები გავიარე. ეს იყო 1993-94 წლებში. მაშინ ნაკლებად აინტერესებდათ საქართველოში ნორვეგიული ენა. პროფესიით ფილოლოგი ვარ და ძირითადად ლიტერატურის სფეროში ვმუშაობდი, თუმცა მერე უფრო მეტად, ხელოვნებამ გამიტაცა. ძალიან მიყვარს ნორვეგიელი ფერმწერი ედვარდ მუნკი და მის შემოქმედებაზე თემის დაწერა მინდოდა. მოკლედ, ხშირად ვიყავი ნორვეგიის სტუმარი. სვენიც სწორედ მაშინ გავიცანი (ისიც ოსლოს უნივერსიტეტში სწავლობდა მუსიკის სპეციალობით). უფრო სწორად, თვითონ იყო დაინტერესებული გაეცნო ვინმე ქართველი, რომელსაც ნორვეგიული ენაც ეცოდინებოდა და თანაც დააკვალიანებდა, თუ ვისთვის უნდა მიემართა საქართველოში, ქართული ხალხური სიმღერის შესასწავლად რომ ჩამოსულიყო. თავიდან ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, სიყვარული მერე მოვიდა, უფრო მოგვიანებით...

— სვენ, შეიძლება ითქვას, რომ სიმღერის სიყვარულმა შეგახვედრა თაკოს, მაგრამ მაინცდამაინც ქართული სიმღერით რატომ დაინტერესდი?

— ნორვეგიაში ანსამბლ „ლი-კაპოლის“ წევრი ვიყავი. ერთხელ ერთ-ერთ მუსიკალურ მაღაზიაში სრულიად შემთხვევით, ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებული სიმღერები მოვისმინე და ძალიან მომეწონა. როდესაც მუსიკას უსმენ, ის ან გულით მოგწონს და ან გონებით. ქართული ხალხური სიმღერები კი გულშიც ჩამწვდა და გონებაშიც გამიელვა აზრმა: მაინც რას მღერიან ან როგორ მღერიან ასე გულისმიერად-მეთქი?! მოკლედ, ძალიან დავინტერესდი და მალევე დისერტაციისთვის თემაც შევარჩიე: კომპოზიციური და იმპროვიზაციული პრინციპები კახურ და გურულ სიმღერებში და საქართველოში ჩამოსვლაც გადავწყვიტე, რათა აქ მემუშავა, თან სიმღერებსაც უკეთესად შევისწავლიდი. 1996 წელს მეგობრების დახმარებით შევძელი საქართველოში ჩამოსვლა. ჩემი პირველი მასწავლებელი ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი იყო. გურული სიმღერების დიდოსტატ ოთარ ბერძენიშვილისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. ერთხელ, ბატონ ოთარს გურიაში „ლაშარის“ ბიჭებთან ერთად მოულოდნელად დავადექი თავს. ძალიან გაუხარდა ჩვენი სტუმრობა. თურმე, მერე უთქვამს: ბევრი ქართველი ვერ მღერის ისე კარგად ქართულ ხალხურ სიმღერებს, როგორც ჩვენი ნორვეგიელი სიძეო. არ შემიძლია, მადლობა არ გადავუხადო ცნობილ მომღერალს ბატონ ანზორ ერქომაიშვილსაც და კონსერვატორიის პროფესორს კუკური ჭოხონელიძესაც, რომელიც ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელია. დისერტაცია კი 1998 წლის გაზაფხულზე ოსლოში დავიცავი.

თაკო:

— დისერტაციის დაცვაზე სვენს რომელიმე სიმღერაც უნდა შეესრულებინა. ამიტომ აკუსტიკისთვის ძველი აკერის ეკლესია შეარჩია. საქართველოდან კი სპეციალურად ჩაიყვანა გიორგი უშიკიშვილი და „ლაშარის“ წევრი ბექა სებისკვერაძე. სხვათა შორის, დისერტაციამდე გიორგისა და ბექას ოსლოს აეროპორტშიც მოუწიათ სიმღერა. როდესაც ჩაფრინდნენ, აეროპორტში (მე თვითონ უკვე ნორვეგიაში გახლდით) ბექას პასპორტთან დაკავშირებით პრობლემა შეექმნა. გინდა თუ არა, ყალბიაო და ქალაქში აღარ უშვებდნენ. ამასობაში რამდენიმე საათი გავიდა. ბექა და გიორგი ამაოდ უმტკიცებდნენ: მომღერლები ვართ და

„ამიერიდან ქართულ სიმღერებს ერთად ვიმღერებთ ხოლმე“

გაგვიშვითო. ბოლოს, უთხრეს ნორვეგიელებმა: თუ მართლა ასეა, მაშინ იმღერეთო... ბიჭებს ერიდებოდათ – როგორია, შუა აეროპორტში უცებ სიმღერას რომ დაიწყებ! არადა, სხვა გზა აღარ იყო. სვენი, მე და ტრიოს ბიჭები ვაგულიანებდით: რა მოხდა, თქვენც ადექით და „მრავალჟამიერი“ შემოსძახეთ-თქო. ბოლოს, ისევ ნორვეგიელებმა იმარჯვეს და სიმღერა დაიწყეს. გიორგი და ბექაც აჰყვნენ. მთელი აეროპორტი სულგანაბული უსმენდა სიმღერას. ბიჭები ეშხში შევიდნენ და „მრავალჟამიერს“ „წინწყაროც“ მოაყოლეს. ხალხი კი ისევ გაუნძრევლად იდგა... ეს საოცრება იყო... რა თქმა უნდა, ყველაფერი მაშინვე მოგვარდა. დისერტაციის დაცვაზე სვენმა თავდაპირველად საქართველოს უძველესი კულტურის, ხალხის და სიმღერის შესახებ ისაუბრა. შემდეგ კი ტრიოსთან *(სვენმა ნორვეგიელებისგან ჩამოაყალიბა ტრიო „გიორგი“. – ავტ.)* და ქართველ ბიჭებთან ერთად „ოროველა“ და „შენ ხარ ვენახი“ იმღერა.

— სვენ, საუბარში თაკომ ტრიო „გიორგი“ ახსენა. იქნებ ორიოდე სიტყვით გვითხრა, როგორ შეიქმნა ეს ტრიო?

– ტრიო 1997 წელს ჩამოვაყალიბე. მე მეორე ხმას ვმღერი, ივერ ვოგე (რომელმაც სხვათა შორის, საქართველოში, წყნეთში გადაიხადა ქორწილი, თუმცა ნორვეგიელ ქალზე იქორწინა) ბანს მაძლევს, ტრიოს მესამე წევრს პეტერ სიმონსენს კი შესანიშნავი პირველი ხმა აქვს. პეტერი ოსლოს ოპერის გუნდის მომღერალი იყო. სამივეს უზომოდ გვიყვარს საქართველო. ახლახან პეტერი საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა და თურმე წამოსვლამდე თავისიანები აფრთხილებდნენ: ჭკუით მოიქეცი, ქართველი ქალების სილამაზემ შენც არ გაცდუნოსო...

— როგორც შენ, არა? ეს ხომ შენთვის პირველი ქორწინება იყო... სვენ, მოდი ისევ თქვენი სიყვარულისა და შეუღლების ამბავს დავუბრუნდეთ. მაინც რით მოგხიბლათ თაკომ?

– რა ვიცი, ბევრი რამით მოვიხიბლე. ყველაზე მეტად კი ის მომეწონა, რომ თაკო დამოუკიდებელი, მიზანდასახული, ამავე დროს, ძალიან კეთილი და ლოიალურია ადამიანებთან ურთიერთობისას.

— და ლამაზიც, არა?

– *(იცინის)* კი, საერთოდ, ქართველები ძალიან ლამაზი და თბილი ხალხი ხართ.

თაკო:

– თავიდან, როგორც გითხარით, ძალიან ვმეგობრობდით. ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ ოდესმე ერთმანეთი შეგვიყვარდებოდა. სვენის გაცნობიდან რამდენიმე წლის შემდეგ მეუღლეს გავშორდი. სვენი მერე უკვე სხვა თვალით მიყურებდა და უფრო მეტად ცდილობდა ჩემთან დაახლოებას. ვერ გეტყვით, ზუსტად როდის ან როგორ მოვიდა სიყვარული. იმდენად გვესმოდა ერთმანეთის და იმდენად კარგად ვუგებდით ერთმანეთს, რომ მისგან სიყვარულის გამჟღავნება და წინადადების შემოთავაზება აღარც გამკვირვებია. ბევრი რამ გვაქვს საერთო... სვენმა თავიდანვე იცოდა, რომ სხვა ქვეყანაში ცხოვრება გამიჭირდებოდა, რომ არ მინდოდა, ჯვარდაუწერელი ოჯახი მქონოდა – ის ხომ პროტესტანტი იყო. ამიტომაც მიატოვა სამშობლო, უახლოესი მეგობრები, ნათესავები და მართლმადიდებელიც გახდა. სვენმა უამრავი რამ დათმო ჩემ გამო. აბა, ამხელა სიყვარულს ხელს როგორ ვკრავდი?!

— სვენის მშობლები როგორ შეეგუვნენ, მათი ერთადერთი ვაჟიშვილი მართლმადიდებელი რომ გახდა და ცოლად უცხოტომელი ქალი რომ მოიყვანა?

– სხვათა შორის, სვენის მშობლებისგან არანაირი წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია. მთავარია, შენ გხედავდეთ ბედნიერს და სადაც გინდა და როგორც გინდა, ისე იყავიო, – ასე უთხრეს. ჩემი მშობლებიც გაგებით შეხვდნენ ამ ამბავს. დედაჩემსა და სვენს ისე უყვართ ერთმანეთი, რომ მეტი არ შეიძლება... ერთხელ სვენს გავეხუმრე: ჩაცივებული შამპანური უფრო გიყვარს თუ ჩაცივებული სიდედრი-მეთქი? ჯერ ვერ მიხვდა და გაუკვირდა: ჩაცივებული სიდედრი როგორიღაააო? როცა ავუხსენი, კარგად იცინა და მითხრა: მარტო ქართველ კაცებს კი არა, ბევრ ნორვეგიელსაც ჩაცივებული სიდედრი უფრო უყვარს, მაგრამ მე შამპანური მირჩევნიაო...

— იქნებ, 16 სექტემბერი — სვენის ნათლობისა და თქვენი ჯვრისწერის დღეც გაიხსენოთ?

სვენი:

– „შევდგომილვარ ქრისტესა“ – სამჯერ გავიმეორე და არაგვისა და მტკვრის შესართავთან მდინარეში შევცურე. მამა დავითმა მომნათლა. ნათლიები კი ოთარ ბერძენიშვილი, გიორგი უშიკიშვილი და ჩვენი მეგობარი, აკაკი ბარქაია იყვნენ. ნათლობის სახელი – სვიმონია. ჯვრისწერის რიტუალიც ძალიან მომეწონა და სვეტიცხოველიც. მამა დავითმა დაგვწერა ჯვარიც. მოძღვრის გალობასთან ერთად ქართველების და ნორვეგიელების სიმღერებიც ისმოდა სვეტიცხოველში. ქორწილის სუფრას კი ოთარ ბერძენიშვილი თამადობდა. ნორვეგიაშიც გვქონდა ქორწილი. ისე, ძალიან დიდი განსხვავებაა ქართულ და ნორვეგიულ სუფრის ტრადიციებს შორის. ჩვენთან ქორწილში მხოლოდ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ეპატიჟებიან. სუფრასთან სადღეგრძელოების თქმა არ იციან (არც თამადა არსებობს), სტუმრებს აქვთ წინასწარ დაწერილი ტექსტები, ანუ „შპარგალკები“, რომლებსაც შემდეგ კითხულობენ. „შპარგალკების“ შედგენისას კი ძალიან ნერვიულობენ ხოლმე, ყველას უნდა, რომ სიტყვაში კარგად გამოვიდეს. ამიტომ ნორვეგიული სუფრა ძალიან ოფიციალურია. რაც ქართველები გავიცანი, ჩვენებური ტრადიცია აღარ მომწონს და „უშპარგალკოდ“ ვამბობ ხოლმე სადღეგრძელოებს. იქაურები კი გაკვირვებულები მეკითხებიან: როგორ ახერხებ ამასო? მიყვარს ბავშვების, მშვიდობის და სამშობლოს სადღეგრძელოს თქმა.

თაკო:

– შარშან, 16 სექტემბერს მოვაწერეთ ხელი, ქორწილი წელს ჯერ ნორვეგიაში გვქონდა (22 ივნისს), მერე საქართველოში – 16 სექტემბერს. ქორწილი ეთნოგრაფიულ მუზეუმში გადავიხადეთ. სვენმა თვითონ შეარჩია ეთნოგრაფიული მუზეუმი:

აქ ქართული გარემოაო... ისე, სვენი ცოტა წაიქართველებს კიდეც. ძალიან უყვარს ყველაფერი ქართული, ჩოხა-ახალუხიც მოსწონს. 17 მაისი ნორვეგიელთა ნაციონალური დღეა. ამ დღეს ყველა ნორვეგიელი ნაციონალურ ტანსაცმელს იცვამს და დროშებით გამოდის ქუჩაში. სვენი, ივერი და პეტერი კი ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილნი დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში. ყველა გაოცებული ეკითხებოდა: კი, მაგრამ ნორვეგიის რომელი მხარის დამახასიათებელი ტანსაცმელი გაცვიათო?!

— სვენ, ქორწილის სურათებში გრძელი თმა გაქვს. „კუდიც“ იმიტომ ხომ არ მოიჭერი, რომ კიდევ უფრო „გაქართველებულიყავი“?

— *(იცინის)* აბა რა, აქაურ კაცებს „კუდები“ არა აქვთ, თანაც მინდოდა, რომ რაიმე შემეცვალა ჩემს გარეგნობაში. თაკომაც მომიწონა „ახალი თავი“: ასე უფრო გიხდებაო...

— თაკო, ქართულ სამზარეულოს როგორ შეეგუა სვენი?

— შეეგუა, რომელია! ყველაფერი მოსწონს. ხინკალსა და ხაჭაპურს კი თვითონაც აკეთებს.

სვენი:

— „ოსტრის“ გაკეთებაც ვიცი! აქაური საჭმელებიც მომწონს და ღვინოც, მაგრამ ბევრს არ ვსვამ — უბრალოდ მთვრალი კაცი არ მიყვარს, თორემ, როცა აუცილებლობა მოითხოვს, ყანწითაც ვსვამ და ვთვრები კიდეც...

— თაკო, როგორი ქმარია სვენი?

— იდეალური! საოჯახო საქმეებშიც კი მეხმარება. მისი ოცნებაა, ისე მოაწყოს ცხოვრება, რომ ხატვისა და წერის საშუალება ყოველთვის მქონდეს. სვენი ფანტასტიკური მამაკაცია. სიურპრიზებითაც ძალიან მანებივრებს. ამ ზაფხულს ნორვეგიაში ჩავედი და იცით, როგორი სახლი დამახვედრა? თითქმის ყველა კუთხე-კუნჭული სულ ვარდებით, ყვავილებითა და ნაირ-ნაირი შოკოლადით იყო სავსე...

— თაკო, შოთიკო (თაკოს პირველი ქორწინებიდან 10 წლის ვაჟი ჰყავს) როგორ შეეწყო სვენს?

— შოთიკო გიჟდება სვენზე, ისე უყვარს! სულ იმას კითხულობს — როდის მოვა სვენი? სად არის? როდის დაამთავრებს სამუშაოს? სვენსაც საკუთარი შვილივით უყვარს შოთიკო, მეგობრობენ ერთმანეთთან. საქორწინო კაბა შოთიკომ შემირჩია. მაღაზიაში რომ შევედით და შინდისფერი კაბა მოვიზომე, მაშინვე მითხრა — დედიკო, ეს ყველაზე მეტად გიხდება და ეს ვიყიდოთო.

— როგორც ვიცი, ნორვეგიაში საცხოვრებლად წასვლას არ აპირებთ. ამჟამად რას საქმიანობთ შენ და სვენი, როგორ აეწყო თქვენი ოჯახური ცხოვრება?

— მე ფრანგულ-ქართულ კოლეჯში ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი. სვენმა კი ახლახან დაიწყო მუშაობა კომპანიაში, რომელსაც გემებით სხვადასხვა ქვეყანაში გადააქვს ტვირთი. თუმცა ქართული ხალხური სიმღერა კვლავაც არსებითი და მნიშვნელოვანია მისთვის. სვენმა და გიორგი უშიკიშვილმა არქივიდან უკვე 250-ზე მეტი სიმღერა ამოიღეს და ძველი ჩანაწერებიდან ახალი ვარიანტებიც კი გააკეთეს. სვენს ნორვეგიაშიც ჰქონდა რამდენიმე კონცერტი. იქაური მსმენელი მართლაც ძალიან მოიხიბლა ქართული სიმღერებით — „წინწყაროს“ რომ მღეროდნენ, ლამის მთელი დარბაზი ფეხზე იდგა...

— თაკო, საუბრის დასასრულს იქნებ თქვენი საქორწინო მოგზაურობაც გაიხსენოთ?

— თაფლობის თვე ჩრდილოეთ ნორვეგიაში ანგელოზების კუნძულზე გავატარეთ. იქ ზაფხულში მზე არ ჩადის, მხოლოდ ჰორიზონტზე „ჯდება“. ამიტომაც, დღესავით ნათელი ღამეები იცის. მე და სვენი უბრალო ქოხში ვცხოვრობდით, ბუნების მშვენიერებით ვტკბებოდით და უზომოდ ბედნიერები ვიყავით...

■

ტრიო „გიორგი“ (მარცხნიდან): სვენ ვოგე, ივერ ვოგე და პეტერ სიმონსენი

ტესტი ერუდიციაზე

1. რას ნიშნავს არაგულად სიტყვა „ამირეჯიბი“?

ა) დიდ ადამიანს;
ბ) მთავარ მრჩეველს;
გ) ხელოვნების მოყვარულს.

2. ვინ ასრულებს პერსონაჟ ვალიკოს როლს მხ/ფ-ში „რაჭა ჩემი სიყვარული“?

ა) ბესო ხიდაშელი;
ბ) გურამ ლორთქიფანიძე;
გ) ზურაბ ქაფიანიძე.

3. „მე ლექსებსაც გამოვაქვეყნებდი, გალაკტიონი რომ არ ყოფილიყო, მაგრამ ჩემი თანამედროვე იყო და ლექსი რა ნამუსით უნდა გამოვაქვეყნებინა!“ — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

ა) ოტია იოსელიანს;
ბ) კონსტანტინე გამსახურდიას;
გ) ნოდარ დუმბაძეს.

4. სად დაიწყო მოღვაწეობა სალვადორ დალიმ?

ა) ესპანეთში;
ბ) საფრანგეთში;
გ) პორტუგალიაში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

გია თომაძე (შუაში) საოპერაციოში

ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ჩნდება პრესაში მასალები თირკმლებით ვაჭრობის შესახებ. ინკოგნიტოდ რჩებიან ის ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა გზას ეძებენ, საკუთარი თირკმლის გაყიდვა რომ შეძლონ, აღებული თანხით კი ოჯახი შიმშილისაგან იხსნან. ტრანსპლანტოლოგებს ყოველდღე უწევთ ასეთ ადამიანთა „მოგერიება“, ხალხში ვრცელდება ხმები, რომ ვიღაცამ გაყიდა თირკმელი... ვიღაც იყიდის თირკმელს... კანონი ყველა ქვეყანაში ირღვევა. კანონი ირღვევა მაშინაც, როცა ის ძალიან მკაცრია. ორგანოებით ვაჭრობა მსოფლიო პრობლემაა... რადგან პრობლემა არსებობს, საჭიროა მასზე დაუფარავად, გულახდილად საუბარიც. ქართველი ტრანსპლანტოლოგები სიამოვნებით დაგვთანხმდნენ თანამშრომლობაზე.

ადამიანები მოითხოვენ, დართონ მათ ნება, გაყიდონ თირკმელი

ლელა ჭანკოტაძე

განვითარებულ ქვეყნებში სადღეისოდ ადამიანის ორგანოების, ორგანოთა ნაწილებისა და ქსოვილების გადანერგვა სამედიცინო დახმარების სტანდარტად არის მიჩნეული. იზრდება იმ პაციენტების რაოდენობა, რომლებიც ტრანსპლანტაციის შედეგად გადაურჩნენ სიკვდილს, ან მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდათ დაავადების მიმდინარეობა, გაუუმჯობესდათ სიცოცხლის ხარისხი.

საქართველოში წარმატებით მიმდინარეობს თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაციები. პირველად თირკმლის გადანერგვა გაკეთდა 1977 წელს. ქირურგიის ინსტიტუტში, მოსკოვიდან ჩამოვიდა პროფესორი ვალერი ივანიჩ შუმაკოვი. მან ქართველ ექიმებთან ერთად (გიგლა იოსელიანი, ჩიორა კანდელაკი, ლაურ მანაგაძე) გააკეთა ექვსი ოპერაცია გვამური დონორით. თირკმლები ჩამოტანილი იქნა მოსკოვიდან. ამის შემდეგ საქართველოში თირკმლის გადანერგვა გვამური დონორით აღარ გაკეთებულა. 1977 წლიდან 1995 წლამდე, 18 წლის განმავლობაში თირკმლის ტრანსპლანტაციის არც ერთი ოპერაცია არ გაკეთებულა. ამის მიზეზი იყო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ძლიერი მედიკამენტების – იმუნოდეპრესანტებისა და დონორის არქონა. ეს სამი პრობლემა გახდა ხელშემშლელი მიზეზი ადამიანის ორგანოების, ორგანოთა ნაწილებისა და ქსოვილების გადანერგვისათვის.

1995 წელს საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოვიდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ელგუჯა ღონღაძე**, *რათა დაემტკიცებინა, რომ ჩვენს პირობებშიც შეიძლებოდა ოპერაციების წარმატებით ჩატარება. მან ჩამოიყვანა საფრანგეთის ქალაქ ნანტიდან ურولოგი და ნევროლოგი. მათ ურولოგიის ინსტიტუტში ერთობლივად ჩაატარეს ოთხი ოპერაცია ცოცხალი, ნათესაური დონორის გამოყენებით. ბატონ ელგუჯას ქირურგიის ინსტიტუტში შევხვდით და ვცადეთ იმ პრობლემებში გარკვევა, რაც ქართველ ტრანსპლანტოლოგებს ხვდებათ მუშაობის პროცესში.*

ელგუჯა ღონღაძე

— ბატონო ელგუჯა, დაუმოკიდებლად, როდის გააკეთეთ თირკმლის გადანერგვა და თუ იყო ეს ოპერაცია წარმატებული?

– დამოუკიდებლად, უცხოელების დახმარების გარეშე თირკმლის გადანერგვა გავაკეთეთ 1996 წლის 25 სექტემბერს. პირველი ოპერაცია დავამთხვიე ჩემი შვილის დაბადების დღეს. ოპერაცია გაკეთდა ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მამამ მისცა შვილს თირკმელი. ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში სულ შვიდი-რვა ოპერაცია

ვალერი შუმაკოვი

გავაკეთეთ. განყოფილების გამგემ ოთარ რუსაძემ და საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა თენგიზ ბაქრაძემ ძალიან შემიწყვეს ხელი. მთელი სამედიცინო პერსონალი დამიდგა გვერდით. ამ ოპერაციებში მონაწილეობდა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ბაადურ მოსიძე. ის იღებდა თირკმელს თავისი ბრიგადით ერთ საოპერაციოში, ხოლო მეორე საოპერაციოში მე ვახდენდი გადანერგვას. შემდეგ ბატონმა ბაადურ მოსიძემ შემომთავაზა მასთან გადასვლა. 1997 წლის ბოლოს გადმოვედი სამუშაოდ ქირურგიის ინსტიტუტში. დამნიშნეს განყოფილების გამგედ.

— ბატონო ელგუჯა, თქვენ მიერ გაკეთებული ყველა ოპერაცია წარმატებით ჩატარდა?

— ჩემი მონაწილეობით სულ გაკეთდა ჩვიდმეტი ოპერაცია. ჩვიდმეტიდან ხუთი პაციენტი გარდაიცვალა. ზოგი სეფსისით დაიღუპა, ზოგი ვირუსული გართულებებით. გართულებები ამ ოპერაციებს ყოველთვის ახლავს თან, რადგან ეს არის რთული ოპერაციები და დაკავშირებულია ძალიან დიდ რისკთან.

— რისკს სწევს ის, ვინც აძლევს თირკმელს (დონორი), თუ ის, ვისაც უნერგავენ ამ თირკმელს (რეციპიენტი)?

— ვინც ინერგავს თირკმელს, იმისთვის არის დიდი რისკი, რადგან რეციპიენტი იმყოფება დიალიზზე ანუ ხელოვნური თირკმლის აპარატზე. მას არც ერთი თირკმელი არ უმუშავებს და დროთა განმავლობაში ურემიული ინტოქსიკაციით ავადმყოფები იღუპებიან. რაც შეეხება დონორს, მას აქვს სიცოცხლის გარანტია, მაგრამ არა აქვს იმის გარანტია, რომ მის მიერ გაღებული თირკმელი სხვა ადამიანში იცოცხლებს და მისი სიკეთე ფუჭად არ ჩაივლის. ოპერაციის შემდეგ თირკმელგადანერგილ პაციენტს 100 პროცენტიანი გარანტია არა აქვს, რომ იცოცხლებს. შეიძლება ოპერაცია ტექნიკურად უმაღლეს დონეზე გააკეთო, მაგრამ პოსტოპერაციულ პერიოდში ნებისმიერმა გართულებამ შესაძლოა, მძიმე შედეგი გამოიწვიოს. ამ ადამიანებს ხომ ისედაც დარღვეული აქვთ ყველა ორგანოს ფუნქციონირება. ჩვენ კი მათ კიდევ იმუნოდეპრესანტებს ვაძლევთ, რომ არ მოხდეს თირკმლის მოცილება.

— რამდენ წელს ცოცხლობს ტრანსპლანტაციის შემდეგ ადამიანი?

— მოსკოვის ტრანსპლანტაციის ცენტრის მონაცემებით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თირკმელგადანერგილი პაციენტებისა, არის 30 წელი. ჯერ ჩვენ მსგავსი დასკვნის გაკეთება არ შეგვიძლია, რადგან ჩვენ ათვლას ვიწყებთ 1995 წლიდან. ჯერ მხოლოდ ექვსი წელია გასული.

— არანაირი გართულება არა აქვს ოპერაციის შემდეგ დონორს?

— დონორი არის პრაქტიკულად ჯანმრთელი. მას წინასწარ ვუტარებთ გამოკვლევას და რომ იტყვიან, ფეხის ფრჩხილიდან თმის ღერამდე ვიკვლევთ.

— გიორგი ჭელიძე, ჩვენი თანამემამულე ათი წლის განმავლობაში იდგა რიგში და ელოდა დონორს. მან გერმანიაში გაიკეთა ოპერაცია. საქართველოში რატომ ვერ შეძლო მან თირკმლის გადანერგვა?

— ჩვენთან მწვავედ დგას დონორის პრობლემა, რადგან ოპერაციები კეთდება მხოლოდ ცოცხალი ნათესაური დონორით. საერთოდ, ტრანსპლანტაცია შეიძლება მოხდეს ორნაირად: გვამური დონორით და ცოცხალი ნათესაური დონორით. ოპერაციების 90 პროცენტი საზღვარგარეთ კეთდება გვამური დონორით. ადამიანი, ვთქვათ, მოჰყვა ავტოავარიაში და მოათავსეს რეანიმაციის განყოფილებაში. ექსპერტები როცა დაამტკიცებენ, რომ ტვინი მკვდარია, ამ შემთხვევაში პატრონებს ეუბნებიან, რომ მათი ავადმყოფი უკვე პოტენციური დონორია. ამის შემდეგ, თუ პატრონი დათანხმდა, პაციენტი ხდება დონორი. ჩვენთან გვამური თირკმლის გადანერგვა ჯერ არ გაკეთებულა. მიუხედავად იმისა, რომ კანონით გვამური დონორით ოპერაციის გაკეთება დასაშვებია, ჩვენი მენტალიტეტი ამას ვერ უშვებს. ქართველ კაცს ვერ დაარწმუნებ იმაში, რომ თუ გული აპარატზე მუშაობს, ტვინი მკვდარია. ის მოითხოვს რომ ბოლომდე იბრძოლოს ექიმმა. ჩვენთან არის დონორთა ვიწრო წრე.

I რიგის გენეტიკური ნათესავები: დედმამა, და-ძმა.

II რიგის გენეტიკური ნათესავები: მამიდა, დეიდა, ბიძა, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები.

— იოლად თანხმდებიან ნათესავები დონორობას?

— სხვათა შორის, არა. არის შემთხვევები, როცა მოდიან, ამბობენ, ნათესავები ვართო, სინამდვილეში არ არიან ნათესავები. ამიტომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში მუშაობს ეთიკური კომისია, რომელიც ადგენს, აღნიშნული პიროვნება ნათესავია თუ არა.

— არიან ალბათ, ისეთი პაციენტები, რომლებსაც ასეთი უახლოესი ადამიანები არა ჰყავთ?

— ისინი უნდა დარჩნენ დიალიზზე. ასეა კანონით. საზღვარგარეთაც იგივე კანონი მოქმედებს, სამწუხაროდ, ჩვენ ყოველთვის უცვლელად გადმოგვაქვს ყველაფერი, არ ვითვალისწინებთ ჩვენს ზნესა და ხასიათს. კანონი უნდა მოარგო შენს მენტალიტეტს. საზღვარგარეთაც ვიწროა გენეტიკურ ნათესავთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ, მისცენ საკუთარი სხეულის ესა თუ ის ორგანო სხვას. მაგრამ იქ კარგად მუშაობს გვამური დონორის მექანიზმი, ჩვენთან კი — არა.

— ალბათ, ნებისმიერ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი, უანგაროდ მისცეს სხვას თავისი სხეულის რომელიმე ორგანო, თუ გავითვალისწინებთ, როგორი მეგობრობა ვიცით ქართველებმა, როგორი სიყვარული. ასეთ ადამიანთა ინტერესებს კანონი არ ითვალისწინებს?

— მოდიან ადამიანები, მეუბნებიან — ჩემი ბავშვობის მეგობარი იღუპება, მინდა მივცე თირკმელიო, მაგრამ კანონი მათ უარს ეუბნება. ძალიან ახლო მეგობრობა აქვთ ხშირად სიძეს და ცოლისძმას. საქართველოში ისინი ფაქტობრივად ძმებივით არიან. მაგრამ ცოლისძმას უფლება არა აქვს, რომ სიძეს მისცეს თირკმელი. მეუღლეები, თუ სამი წელიწადი არ ცხოვრობენ ერთად, ერთმანეთს თირკმელს ვერ მისცემენ.

— თუ არის შემთხვევა, როცა რამდენიმე ნათესავი ერთდროულად აცხადებს თანხმობას, თირკმელი მისცეს ავადმყოფ ნათესავს?

— არა. ასარჩევად ჯერ საქმე არ გვქონია, თუ რომელიმე ნათესავი თანხმობას განაცხადებს, მაშინ ანალიზი კეთდება იმუნოლოგიური ტესტირების ლაბორატორიაში. გვაქვს შემთხვევები, როცა ანალიზის პასუხი უნდა გადავამოწმოთ. როცა I რიგის გენეტიკური ნათესავები აძლევენ თირკმელს, ანალიზს გადამოწმება არ სჭირდება. თუ II რიგის გენეტიკური ნათესავია დონორი, მაშინ ანალიზს პირადად მე საფრანგეთში ვაგზავნი გადასამოწმებლად.

— დონორის სქესს ან ასაკს თუ აქვს მნიშვნელობა?

— სქესს არა აქვს მნიშვნელობა. უბრალოდ, ქალები უფრო იოლად იტანენ ამ ოპერაციებს, ამასთან, დიალიზზე მყოფი მამაკაცი უფრო მეტი გვყავს. რაც შეეხება ასაკს, სასურველია, რომ ადამიანმა 65 წლის შემდეგ აღარ ამოიღოს თირკმელი. გვქონდა შემთხვევა, როცა 65 წლის მამამ 16 წლის შვილს მისცა თირკმელი. ორივენი თავს კარგად გრძნობენ.

— რა ჯდება თირკმლის გადანერგვა და რამდენი საათი მიმდინარეობს ოპერაცია?

— ოპერაცია 5-6 საათი მიმდინარეობს. იდეალური პირობები, ისეთი, როგორიც საზღვარგარეთ არის, ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ მაინც ვართმევთ საქმეს თავს და ოპერაციებს მაღალ პროფესიულ დონეზე ვაკეთებთ. წელიწადში ათ ოპერაციას სახელმწიფო აფინანსებს. ათზე მეტი ოპერაცია არც კეთდება. ჩვენ რომ გვამური დონორის პრაქტიკა გვქონდეს, ეს რიცხვი, რა თქმა უნდა, გაიზრდებოდა. ამჟამად საქართველოში 180-დან 200-მდე დიალიზზე მყოფი პაციენტი გვყავს — აქედან, 50% საჭიროებს გადანერგვას.

ელგუჯა ღონღაძის მადლიერი ვიქნები მთელი ცხოვრებაო, — გამიმხილა ***ვაჟა ძინძიბაძემ****. მან 40 წლის ასაკში გაიკეთა თირკმლის გადანერგვა. თირკმელი მას სიმამრმა მისცა.*

— ჩემი დღეები დათვლილი იყო, — იხსენებს მადლიერი პაციენტი, — აღარავის ეგონა, თუ ვიცოცხლებდი. დიალიზზე ვიყავი და ვეგუებოდი იმ აზრს, რომ 3-4 წელიწადში ჩემი ოჯახი ჩემ გარეშე იცხოვრებდა. მშველელად სიმამრი მომევლინა. ის ახალციხის რაიონის სოფელ აწყურში ცხოვრობს. გრიშა ტაბატაძეს ყველა იცნობს, როგორც მშრომელ, გამრჯე და ვაჟკაც კაცს. უყოყმანოდ მომცა თავისი თირკმელი. ანალიზი საფრანგეთში გაგზავნეს გადასამოწმებლად. ოპერაცია ექვსი საათი მიმდინარეობდა. როგორც თავად ელგუჯა ექიმი გვეუბნებოდა, საოცრად კარგი და სწრაფი შედეგი გამოიღო ოპერაციამ. სამი კვირის შემდეგ საკუთარი ფეხით შევედი სადარბაზოში და ავედი კიბეზე. მე რომ გავიკეთე ოპერაცია, მაშინ გაიკეთა ჩემი ასაკის კაცმა. მას სიდედრმა მისცა თირკმელი. სამწუხაროდ, ის გარდაიცვალა.

ვაჟა ძინძიბაძე საქართველოში ერთადერთი პაციენტია, ვისაც სიმამრმა ანუ ცოლის ნათესავმა მისცა თირკმელი. საქართველოს კანონმა ადამიანის ორგანოების, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების აღებისა და გამოყენების შესახებ შეამცირა გენეტიკურ ნათესავთა წრე. დღეს უკვე სიდედრსა და სიმამრს ან დედამთილ-მამამთილს უფლება აღარა აქვთ, გასწიონ დონორობა. ძალიან მცირეა პოტენციურ დონორთა არეალი. ამიტომაცაა, რომ საქართველოში თირკმელგადანერგილი მხოლოდ 35 ადამიანი ცხოვრობს, რომელთაგან უმეტესობას საქართველოში გაუკეთდა ოპერაცია. არიან ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც საზღვარგარეთ უკვე ათეული წლებია დგანან გვამური დონორის რიგში. პოტენციურ დონორთა არეალის შემცირება კანონში მოხდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩვენთან თირკმლის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები არ დაფიქსირებულიყო. შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის პერიოდში მოსალოდნელია, შორეულმა ნათესავებმაც კი გარკვეული თანხა მოითხოვონ დონორობის სანაცვლოდ. მაგრამ აუცილებელია იმ ადამიანთა ინტერესების გათვალისწინება, ვისაც არ ჰყავს მშობლები ან და-ძმა. ან თუ ჰყავს, მათი თირკმელი არ გამოდგება გადასანერგად. ამიტომაც აპირებს საქართველოს ტრანსპლანტატოლოგთა ასოციაცია, ინიციატივით შევიდეს პარლამენტის წინაშე, რათა გაიზარდოს გენეტიკურ ნათესავთა არეალი და დაემატოს ივივე გენეტიკური ნათესავები მეულლის მხრიდან.

I კლინიკურ საავადმყოფოში, ზოგადქირურგიულ კლინიკაში მდებარეობს საინფორმაციო ბანკი. ბანკის ხელმძღვანელია ანა დევნოსაძე. საინფორმაციო ბანკში რეგისტრირდება მონაცემები ორგანოგადანერგილ პაციენტთა, დონორთა და დონორობის მსურველთა შესახებ. სამწუხაროდ, საინფორმაციო ბანკში თითქმის ყოველდღე მიდიან ადამიანები და მოითხოვენ, დართონ მათ ნება, გაყიდონ თირკმელი. ეს, რა თქმა უნდა, აღმაშფოთებელი ფაქტია და იმ მძიმე და უკიდურესად მწვავე სოციალური მდგომარეობის შედეგია, რაც ჩვენს ქვეყანაშია გამეფებული. გერმანიაში, ინგლისში, შვეიცარიაში უკვე მიმდინარეობს საუბარი იმაზე, რომ დონორად გამოყენებული იქნას სრულიად უცხო ადამიანი: მაგ: მეგობარი ქალი, მეგობარი მამაკაცი ან უბრალოდ მეგობარი. მთელ მსოფლიოში ადამიანები კანონის გვერდის ავლით ახერხებენ საკუთარი ორგანოების გაყიდვას ან ყიდვას. ეს არის ფაქტი და მთელ მსოფლიოში ადამიანის სხეულის ნაწილებით, ორგანოებით ან ქსოვილებით ვაჭრობა უმწვავესი პრობლემაა. ადამიანის ორგანოთა ტრეფიკინგზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ვაჟა ძინძიბაძე

ჟურნალ „გზის“ მომდევნო ნომერში წაიკითხავთ, თუ როგორ ცდილობენ ქართველები საკუთარი ორგანოების გაყიდვას მოსკოვში, თურქეთსა და ყაზახეთში. ხოლო კანონზე ადამიანის ორგანოების, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების აღებისა და გამოყენების შესახებ გვესაუბრება საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელი პროფესორი ***გია თომაძე****.*



გია თომაძე

— ბატონო გია, თავად თქვენ თუ გაგიკეთებიათ თირკმლის გადანერგვის ოპერაცია?

— საქართველოში მე თირკმლის გადანერგვა არ გამიკეთებია. 1988-89 წლებში ვმუშაობდი ამერიკაში, მინესოტის შტატში. თირკმლისა და კუჭუკანა ჯირკვლის გადანერგვა გავაკეთე მინესოტის უნივერსიტეტის ქირურგიულ კლინიკაში. თბილისში რომ ჩამოვედი, იმდენი ორგანიზაციული საკითხი იყო მოსაგვარებელი, რომ პრაქტიკული მოღვაწეობისთვის აღარც მეცალა. არანაირი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობდა. არ გვქონდა მედიკამენტები. საჭირო იყო მათი შეძენა. ამ პაციენტებს ხომ სპეციალური მკურნალობა სჭირდებათ იმუნოდეპრესანტებით. ასეთ პაციენტებს სჭირდებათ იმუნოდეპრესანტები, რომელიც იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას, რაც აუცილებელია, რათა ორგანიზმმა არ მოიცილოს გადანერგილი თირკმელი, რამეთუ, როგორ კარგადაც არ უნდა შეარჩიო დონორი და რეციპიენტი, გადანერგილი ორგანო მაინც უცხოა და მიმდინარეობს ბრძოლა ორგანიზმსა და გადანერგილ თირკმელს შორის. უკვე მეოთხე წელია, რაც სახელმწიფომ ბიუჯეტიდან გამოგვიყო თანხა, საჭირო მედიკამენტების შესაძენად, რადგან ზოგიერთი მედიკამენტის ერთი ამპულა 50 დოლარიდან 100 დოლარამდე ღირს. ჩვენს ავადმყოფებს, რა თქმა უნდა, ასეთი ძვირად ღირებული წამლების შეძენის საშუალება არა აქვთ.

— ბატონო გია, საინფორმაციო ბანკში თუ გაქვთ ინფორმაცია დონორების შესახებ? დამეთანხმებით ალბათ — აზრი არა აქვს საინფორმაციო ბანკის არსებობას, თუ ამ ბანკში ალრიცხვაზე არ იქნებიან დონორები.

— ამ ბანკში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია განაცხადოს თანხმობა დონორობაზე, ოცი წლის შემდეგ. ჩემი გარდაცვალების შემდეგ მე გავხდები დონორი. ბევრი ჩემი კოლეგაა დონორი. მათ ანონიმურობა გარანტირებული აქვთ. მათი დასახელება არ შეიძლება, მათივე უსაფრთხოების გამო. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მოვიდეს და განაცხადოს: „მე მინდა ვიყო დონორი ჩემი გარდაცვალების შემდეგ“, „ან მე არ მინდა ვიყო დონორი ჩემი გარდაცვალების შემდეგ“. თანხმობის შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილე-

ბას გარდაცვლილის ოჯახი იღებს. უარი თუ აქვს გაცხადებული ადამიანს, ოჯახი ვერ შეცვლის მის სურვილს.

— ალბათ, ძნელია იმის დაჯერება, რომ შენი ახლობლის ტვინი უკვე მოკვდა. მისი გული კი მუშაობს აპარატზე, მაგრამ ის უკვე მკვდარია. მუშაობს რაიმე სამსახური, რომელიც პატრონს ეტყვის, დათანხმდეს გვამის დონორობაზე?

— როცა ტვინი კვდება, ადამიანი უკვე აპარატზე შეერთებული გვამია. თუ აპარატს გამორთავ, გულიც გაჩერდება. ჩვენთან ჯერ ექიმებიც არ არიან მზად იმისათვის, რომ გარდაცვლილის ახლობლებს ჰკითხონ აზრი გვამურ დონორობასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, გარდაცვლილის ახლობლები ჩვენთან ისე გამოხატავენ აგრესიას, რომ ზოგი კარს გვიმტვრევს და ზოგი ფანჯრებს. შეიძლება, ვერც გაასწრო ცოცხალმა. მთელ მსოფლიოში მუშაობენ ფსიქოლოგები გარდაცვლილთა ახლობლებთან. აუცილებელია, მათი გამოცდილება ჩვენც გავითვალისწინოთ.

— დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს დონორობაზე გარდაცვალების შემდეგ? რამდენი დონორის მონაცემია თქვენთან საინფორმაციო ბანკში?

— რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანი ცოტაა. ჯერ არ არის ფსიქოლოგიურად საზოგადოება მზად ამისთვის. თვლიან, რომ თუ დონორია, ეს სახიფათოა, რადგან შეიძლება, ვიღაცამ მოკლას და გამოიყენოს მისი ორგანო. ეს არ არის სწორი მიდგომა. საინფორმაციო ბანკში მხოლოდ საპასპორტო მონაცემები დევს. არ არის დაფიქსირებული და არც ვიცით სავარაუდო დონორის სისხლის ჯგუფი ან იმუნოლოგიური პარამეტრები.

— შეიძლება, რომ ადამიანი, რომელმაც სიცოცხლეშივე განაცხადა თანხმობა დონორობაზე, სიკვდილის შემდეგ ვერ გახდეს დონორი?

— ორგანოთა შენახვა არ ხდება. ამიტომ შეიძლება მოხდეს ისე, რომ კონკრეტული დონორი გამოჩნდეს, მაგრამ არ მოიძებნოს მისი შესაბამისი რეციპიენტი. ამის გამო არსებობს ორგანოთა გაცვლა, ანუ ინტერნაციონალური გაცვლა. არსებობს სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც უკავშირდებიან მსოფლიოს. მაგალითად, „ევროტრანსპლანტი“ — ეს არის ინტერნაციონალური ფონდი. მასში გაერთიანებულია ხუთი ქვეყანა. ძალზე ოპერატიულად მუშაობენ. თუ გამოჩნდა დონორი და მათ ქვეყანაში არ არის შესაბამისი რეციპიენტი, ინფორმაციას აგზავნიან სხვა ქვეყანაში. ეს ყველაფერი იდება ხელშეკრულებაში. ჩვენთან, რადგან აქტიურად არ ამუშავებულა გვამური დონორის პროგრამა, უფრო სწორად, არც ერთი ოპერაცია არ გაგვიკეთებია გვამური დონორით, ვერ დავდებთ ხელშეკრულებას ვერც ერთ ქვეყანასთან ან ფონდთან. გვამის დონორის თირკმელი საქართველოში გადანერგილი არ ყოფილა. დონორობა არის ადამიანის ალტრუისტული სურვილი, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მისივე ორგანოები, ნაცვლად დალპობისა, გადაინერგოს სხვის ორგანიზმში. ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს, როგორც დონორი, ასევე რეციპიენტი.

— ბატონო გია, დიალიზზე მყოფ პაციენტს აქვს შანსი, რომ 4-5 წელი იცოცხლოს. ხოლო თირკმლის გადანერგვის დროს, შესაძლებელია დაიღუპოს და 4-5 წელიც ვეღარ იცოცხლოს, ან იცოცხლოს ძალიან დიდხანს. ამ არჩევანს როგორ აკეთებს პაციენტი?

— დღეს საქართველოში ორასამდე ადამიანია დიალიზზე. მათგან 60 პროცენტი ექვემდებარება თირკმლის გადანერგვას, თუ ჰყავს ნათესავი დონორი ან თუ გამოჩნდება გვამური დონორი. შეუდარებლად უკეთესი ცხოვრების ხარისხი ექნებათ მათ თირკმლის გადანერგვის შემთხვევაში. დიალიზზე, ანუ ხელოვნურ თირკმელზე მყოფნი ქალაქიდან ვერ გადიან, იმიტომ, რომ დღეგამოშვებით დიალიზის აპარატზე არიან შეერთებულები ოთხი საათის განმავლობაში და იტარებენ სისხლის გაწმენდას. ორგანოგადანერგილი პაციენტები მშვენივრად ცხოვრობენ. ზოგიერთი სპორტსმენია და აქტიურ ცხოვრებასაც ეწევა.

ტრანსპლანტაცია ერთადერთი დარგია, რომელიც მოსახლეობის დახმარების გარეშე არ განვითარდება. აუცილებელია, მოსახლეობა განეწყოს ალტრუისტულად და გააცნობიეროს, რომ კარგია, თუ მისი დალუპული ახლობლის რომელიმე ორგანო სხვა ადამიანს სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს. ყველა ქვეყანაში, რომელშიც ორგანოთა გადანერგვა ხორციელდება, მზარდია სხვაობა მოთხოვნასა და რეალურად არსებულ დონორთა რაოდენობას შორის. ყველა ცდილობს, გამოინახოს გზები დონორთა რაოდენობის გასაზრდელად. არის შემთხვევა, როცა დიალიზზე მყოფ პაციენტს დედა აძლევს თირკმელს, მაგრამ არ ესადაგება მას დედის თირკმელი. შეიძლება იყოს ერთი ან ორი ასეთი შემთხვევა. დედის თირკმლები შვილებს არ ადგებოდეთ, მაგრამ გაცვლის შემთხვევაში ანუ ჯვარედინად, შესაძლებელია, ორივე რეციპიენტი დაკმაყოფილდეს. ეს გზა მორალურადაც გამართლებულია და ამგვარი ჯვარედინი გადანერგვები უკვე მიმდინარეობს საზღვარგარეთის ქვეყნებში, მაგრამ საქართველოში ამგვარი გაცვლა წინააღმდეგობაში მოდის კანონთან. რადგან თირკმლები იცვლება, რეციპიენტს თირკმელს აძლევს არაგენეტიკური ნათესავი. პარლამენტის წინაშე ინიციატივით შედის საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაცია, რათა დაშვებულ იქნეს არაგენეტიკური ნათესავის გამოყენება დონორად, თუ ის მონაწილეობს დონორთა გაცვლის პროგრამაში, ეს იქნება კიდევ ერთი საშუალება დონორთა რიცხვის გასაზარდელად.

კანონით ორგანოთა დონორობის რეკლამირება აკრძალულია, კანონი კრძალავს ყველანაირ ზემოქმედებას ცოცხალ დონორზე (თავი 18); ტრანსპლანტაციის ბანკებს ეკრძალებათ აიღონ ორგანოები, ორგანოთა ნაწილები, ქსოვილები სამედიცინო დაწესებულებებიდან — ტრანსპლანტაციის რეგიონული საკოორდინაციო ბიუროების (თავი 9) ნებართვის გარეშე; მიიღონ ორგანოები სხვა ქვეყნებიდან ორგანოების, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების გამანაწილებელი ცენტრის ნებართვის გარეშე.

საქართველოში თირკმლის გადანერგვის ოპერაციები კეთდება ქირურგიის ინსტიტუტში (ელგუჯა ღონღაძე) და უროლოგიის ინსტიტუტში (ლაურ მანაგაძე). სახელმწიფო აფინანსებს წელიწადში ათ ოპერაციას. ეს რაოდენობა ნაწილდება ორივე საავადმყოფოზე. თუ მეთერთმეტე პაციენტი გამოჩნდა, მან უნდა ფული გადაიხადოს.

ქირურგიის ინსტიტუტში ელოდებიან ქირურგ-პროფესორ იან მაისუკის ჩამოსვლას. ის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია. მუშაობს მოსკოვის ტრანსპლანტაციის ინსტიტუტში თირკმლისა და ღვიძლის გადანერგვის განყოფილების გამგედ. მისი გამოცდილება, ცხადია, დიდია, რადგან წელიწადში რამდენიმე ასეულ ოპერაციას აკეთებს. ჩვენთან კი წელს მხოლოდ ხუთი ოპერაციაა გაკეთებული, რაც სწორედ იმ პრობლემების შედეგია, რაც ქართველ ტრანსპლანტოლოგებს მუშაობის პროცესში ხვდებათ. ■

თამუნა კაპანაძე — ჰემოდიალიზის დროს.

მოგზაურობა ციკლში ან

აგერ უკვე სამი წელიწადია, რაც მსოფლიოში უნიკალური გამოფენა – THE ART OF MOTORCYCLE („მოტოციკლის ხელოვნება") მოგზაურობს. მისი ექსპონატები არენდით, სხვადასხვა მუზეუმიდან და კერძო კოლექციებიდან არის აღებული, საგამოფენო მოედნებს კი, საუკეთესო დიზაინერები აფორმებენ. გამოფენებთან ერთად, ავტორბოლებიც ტარდება, რომელშიც ჰოლივუდის ვარსკვლავები მონაწილეობენ. ეს წამოწყება სოლომონ გუგენჰეიმის ფონდის დირექტორს – ტომას კრენცს ეკუთვნის, რომელიც მოტოციკლის დიდი თაყვანისმცემელია.

133 წლის წინ მსოფლიოში არც მოტოციკლი არსებობდა და არც მისთვის განკუთვნილი ძრავა. 1868 წელს ფრანგმა მიშომ გამოიგონა და დააპატენტა ორთქლის ძრავა, რომელსაც ველოსიპედს არგებდა. 1884 წელს ძმებმა ჰილდენბრანდ და ალოიზ ვოლფმიულერებმა დააპატენტეს შიგაწვის ორცილინდრიანი ძრავა, დაამაგრეს ის ჩარჩოზე, რომელიც ველოსიპედისას ჰგავდა და, ფაქტობრივად, ასე გაჩნდა პირველი მოტოციკლი.

გუგენჰეიმის ფონდის დირექტორი, ტომას კრენცი ამტკიცებს, რომ მთელი XX საუკუნე, როგორც სარკეში, ისეა არეკლილი მოტოციკლის განვითარებაში. საგამოფენოდ მან 130 საუკეთესო მოდელს მოუყარა თავი. მსოფლიოს არც ერთ მუზეუმს არ მოეპოვება ესოდენ მდიდრული კოლექცია. ანტიკვარული მოტოციკლები ისეთი ფუფუნებაა, რომელსაც ამ ტრანსპორტის მოყვარულებიც კი სრულყოფილად ვერ აფასებენ: მათი ოცნების მწვერვალს თანამედროვე „ჰარლეი-დევიდსონი" წარმოადგენს, არადა, ყველაზე მეტად ფასობს (და ყველაზე ძვირიც ღირს) 20-50 და მეტი წლოვანების მოდელები, რომელიც დღესაც საუცხოოდ დადის.

მოძრავ გამოფენას დასაბამი მიეცა 1998 წელს და BMW-ს პირველი მოტოციკლის გამოშვების 75 წლისთავს მიეძღვნა. ეს მოდელი – R 32, რომელიც მაქს ფრიშმა შექმნა, არა მარტო კონსტრუქციის თვალსაზრისით იყო რევოლუციური, არამედ ძალზედ ლამაზი და ელეგანტური იყო, რაც იმ დროს ასევე წარმოადგენდა სიახლეს: თავდაპირველად, მოტოციკლის გარეგნობის ესთეტიკურობაზე არავინ ფიქრობდა – მთავარი, მისი ტექნიკური სრულყოფილება იყო.

1950-იანი წლების შუა პერიოდამდე მოტოციკლის დიზაინის სფეროში აღიარებული ლიდერები იტალიელები იყვნენ. ბოლო 5 წელია, დიზაინერთა ამერიკული ასოციაციის ჯილდოები ძირითადად, „ბე-ემ-ვე"-ს მოტოციკლების შემქმნელებს გადაეცემათ, რაც შემთხვევითი არ არის: ეს კომპანია წელიწადში ერთ ახალ მოდელს მაინც აწარმოებს. სხვათა შორის, ტომას კრენციც „ბე-ემ-ვე"-ს მოტოციკლით დადის. და თუ სხვა ოჯახებში თაობიდან თაობას ძვირფასეულობა ან შვეიცარიული საათები გადაეცემა, კრენცის ოჯახში მემკვიდრეობით მოტოციკლებს გადასცემენ.

შარშან გამოფენა რუსეთში, სანქტ-პეტერბურგიდან ნოვგოროდამდე მოეწყო და მასში ჰოლივუდის ვარსკვლავი დენის ჰოპერი, მსახიობი და მოდელი ლორენ ჰეტონი, მსახიობი ლორენს ფიშბორნი (ჩვენთვის ბლოკბასტერ „მატრიცით" ცნობილი) და თვით ტომას კრენცი მონაწილეობდნენ. წლეულს გუგენჰეიმის მოტოკლუბის წევრებმა აშშ-ში – ლოს-ანჯელესიდან ლას-ვეგასამდე იმოგზაურეს. კომპანია BMW NORTH AMERICA-ს მიერ გადმოცემულ 30 მოტოციკლზე ამხედრებული რბოლის მონაწილენი 3 ჯგუფად დაიყვნენ და წინასწარ დაგეგმილი მარშრუტებით გაემგზავრნენ დანიშნულების ადგილამდე. ერთ-ერთი მარშრუტი წყნარი ოკეანის სანაპიროსა და ქალაქებს – ოკსნარდსა და ბეიკერსფილდს შორის მდებარე ნავთობის ველებზე გადიოდა.



DAIMLER EINSPUR
1885, გერმანია



OPEL MOTOCLUB SS 500
1929, გერმანია

სახელმწიფო აფრიკაში	ბია	როგორიც ..., ისეთი ბერიო	პირი, რომელიც იურიდიული აქტების დამოწმებას ახდენს	მონათესავეთან დაკავშირებული წვეულება	ექიმის განსაცმ
ესპოლოკომში	ეპიოტი	ბაჩოსი	ნოთარიუსი	ხუსა	
„ბაკერა და ..."	... შანელი	მაძღრის ანტიპოდი	ლენინის მეუღლე ...ოკო	რაიმეს სახელური	აღამიანი, რომელსაც მხედველობა არა აქვს	ყვავის ბარტყი

ბოლოდ საუკუნე

HARLEY-DAVIDSON MODEL E. 1936. აშშ

რბოლის მონაწილეებმა გაიარეს სეკვოიას ნაციონალური პარკი, სადაც მსოფლიოში ყველაზე დიდი ხეები იზრდება, გადალახეს უღელტეხილი, ჩავიდნენ სიკვდილის ველზე (სადაც ტემპერატურა დღისით 50 გრადუსს აღწევს), დაბოლოს, ნევადის უდაბნოს მიაღწიეს.

მთავარი მიზანი – მოტოციკლების გამოფენა ლას-ვეგასში მოეწყო. როგორც ექსპოზიციაზე აღინიშნა, ის რამდენიმე მიზანს ისახავს: ჯერ ერთი, მოტოციკლი მართლაც ხელოვნების ნიმუშს უახლოვდება, მეორე – ის იმდენად სახიფათო არ არის, როგორც ობივატელებს ჰგონიათ, და მესამე – დღეს მოტოციკლით არა ტყავებში გამოწყობილი ბაიკერები, არამედ ჩვეულებრივი, რესპექტაბელური ადამიანებიც დადიან. მათთვის ეს ჰობია, რომელიც დიდად უწყობს ხელს სტრესის მოხსნას, ყოველდღიური დაძაბულობისგან განმუხტვას, ბოლოს და ბოლოს, საშუალებას აძლევს ადამიანს, რომანტიკულ გმირად წარმოიდგინოს თავი... სისხლში ადრენალინის შემცველობის გასაზრდელად, სულაც არ არის აუცილებელი, პარაშუტით გადმოხტეთ თვითმფრინავიდან – მოტოციკლით 2-3 საათიანი მოგზაურობით მძაფრ შეგრძნებათა მთელ სპექტრს იგემებთ...



SUZUKI HAYABUSA 1999. იაპონია



MAJESTIC 350. 1930. საფრანგეთი

~~ჭირი ოქა, ლხინი...~~	~~მოკრძალება, მორიდება~~	~~ცუარი~~	~~კოლუმბის მიერ შემოტანილი მცენარე~~	~~ხმადაბალი ელერადობა მუსიკაში~~	~~სახელმწიფო აფრიკაში~~	~~კომპოზიტორი ... მაჭავარიანი~~	
~~ლაკის მუცლის ოდან ანქვეშ გამოვარდნა~~		მექანიკის ნაწილი სხეულთა მოძრაობის შესახებ	~~შბო~~	~~მსახიობი ჟერარ ...~~	მიწის მაგნეტიზმით გამოწვეულია მაგნიტური ...	~~პლეტური ნაწარმოები~~	

ქალის მოტაცება ფშავში წინათაც «მოდაში» ყოფილა...

სალომე შოშიტაშვილი

— ხატი იყოს თავდები, რომ ეს ქალ-ვაჟი ერთურთს არ გავყაროთო — იტყოდნენ და ხატში პატარა ქალ-ვაჟსაც ნიშნავდნენ.

— ხატის ყმის ქალ-ვაჟის შეულლება დაუშვებელია...

— მშობლები ქალ-ვაჟის სიყვარულს ანგარიშს არ უწევდნენ.

— ფშავლებს მარწყვივით ფერიანი ქალები მოსწონთ...

— ქალის მოტაცება ფშავში ხშირი იყო...

— ხატისთვის თავშეწირული ქალი უქმარშვილოდ ბერდებოდა.

ისევ ფშავში ვართ და წაწლობა-სწორფრობიდან („გზა“, №49) გათხოვება-გარიგების ტრადიციებზე „გადავდივართ“...

წინათ აკვანში დანიშვნაც სცოდნიათ, რასაც ფშავში „ბუცლად დაქორწინებას“ ეძახდნენ. თუ მშობლებს ერთმანეთის სიყვარული ჰქონდათ, თავიანთ შვილებს ხატში დანიშნავდნენ და შემდეგ დააქორწინებდნენ კიდეც.

ახალდაქორწინებულთა მილოცვა. ირაკლი ოჩიაურის ჭედურობა

ფშავში მარწყვივით ფერიანი ქალები მოსწონდათ, მაგრამ იგი ამავე დროს მარჯვეც უნდა ყოფილიყო. ამიტომ სარძლოს შერჩევაში მშობლები აქტიურობდნენ. ვაჟი ქალის ტანადობასა და გრძელ თმას გამოეკიდება და ვაითუ ხელში ზარმაცი და „უხელთური“ რძალი შეგვრჩესო. და როცა ლამაზ და საქმიან საპატარძლოს გამოძებნიდნენ, მერე იწყებოდა შუამავლის გაგზავნის ცერემონიალი.

დიახ, ცერემონიალი, რადგანაც, ერთხელ და ორჯერ მისვლით საქმე ვერ გაკეთდებოდა. თუ ქალის პატრონი მაშინვე დათანხმდებოდა, ეს თემში სირცხვილად ითვლებოდა და საცოდავი მაჭანკალი შეიძლება ორი წელიც კი ეტარებინათ საპატარძლოს კარზე. ამ ორ წელიწადში ზოგჯერ სხვა მთხოვნელიც გამოჩნდებოდა და არცთუ ისე იშვიათად, ისიც აგზავნიდა მაჭანკალს.

ამ უთავბოლო მისვლა-მოსვლით გაბეზრებული ახალგაზრდები კი გამოსავალს გაპარვაში პოულობდნენ...

ჩვენი სტუმარია ცნობილი ეთნოლოგი, ქალბატონი **მზია მაკალათია**.

— გაპარვა ანუ ქალის მოტაცება ფშავში ძალზედ გავრცელებული ყოფილა.

— ანუ, როგორც დღეს ამბობენ, „მოდაში“ ყოფილა, არა?

— თუმცა კი, ამას ისტორიული გამართლება ჰქონდა. წარსულში ვაჟს საცოლე უნდა შეესყიდა და როცა სასიძო ღარიბი იყო, სხვა გზა არ ჰქონდა — ქალი უნდა მოეტაცა.

— და ეს მოტაცება ქალის სურვილის საწინააღმდეგოდ ხდებოდა?

— უმეტესწილად, არა! თუმცა კი ყოფილა შემთხვევები, როცა მართლა იტაცებდნენ. გატაცებულს მდევარი დაედევნებოდა და ეს ამბავი არცთუ ისე იშვიათად, ჩხუბისა და უსიამოვნების საბაბი ხდებოდა, ხშირად საქმე მკვლელობამდეც მიდიოდა...

— რა შემთხვევაში შეიძლებოდა მდევრის „დაშოშმინება“?

— მდევარი მართლაც სისასტიკით გამოირჩეოდა, შევარდებოდნენ სიძის სახლში და ყველაფერს ამტვრევდნენ, საქონელსაც გაიყვანდნენ თურმე და ყელს გამოსჭრიდნენ. მაგრამ საკმარისი იყო, ოჯახის პატრონი მდევარს ლაშარის ხარცხვრით მიჰგებებოდა, რომ მაშინვე ფარხმალს დაყრიდნენ და... მაშინვე შერიგებაზე იწყებოდა მოლაპარაკება.

— რა ითვლებოდა შერიგების ნიშნად?

— მდევარი ლაშარის ხარს საპატარძლოს აჩუქებდა, ცხვარს იქვე დაკლავდნენ და მიირთმევდნენ. ხოლო თუ ვერ მორიგდებოდნენ, ცხვარიც მდევრისა იყო და ხარიც.

— „საბოლოო შერიგება“ როდის ხდებოდა?

— გამტაცებელს ქალის მშობლებისთვის ერთი წლის მანძილზე „პატივი“ უნდა მიერთმია. პატივის რაოდენობას (უფრო ხშირად, ფულსა და საქონელს) ქალის მშობლები ადგენდნენ, რომლებიც გატაცებულ ქალს თავის ტანსაცმელსა და სამკაულსაც კი არ უგზავნიდნენ მანამ, სანამ სიძე „საპატიო ჯარიმას“ არ გადაიხდიდა.

— ბოლოს კი, როგორც ზღაპრებშია, ყველაფერი კარგად მთავრდებოდა, არა?

— ფშავში ქალის მოტაცება ერთ-ერთი და, მე ვიტყოდი, მოხერხებული საშუალება იყო საიმისოდ, რომ ქალი თავის მოწონებულ ვაჟზე გათხოვილიყო...

მაგრამ ისეც მომხდარა, რომ ყველაფერი კეთილად არ დამთავრებულა. თუ ქალს ორი მთხოვნელი გამოუჩნდებოდა, წესით, იმაზე უნდა გათხოვილიყო, ვინც ამ ორიდან დაასწრებდა სიყვარულის საჯაროდ გამოცხადებას. თუ ქალს ეს ვაჟი არ მოსწონდა და უარს იტყოდა, სამუდამოდ გაუთხოვარი რჩებოდა.

ყოფილა შემთხვევები, როცა ქალი თავისი სურვილისამებრ, ჩაისვამდა თურმე თავს „კვეთილში“. ეს იმ შემთხვევაში, თუ წაწალს ვერ შეელეოდა, ან მშობლები ძალით ათხოვებდნენ... წავიდოდა ასეთი ქალი ხატში, დადებდა იქ ქალწულად დარჩენის აღთქმას და ამის შემდეგ მას ხელს ვერავინ ახლებდა...

ხატისთვის თავშეწირული ქალი უქმარშვილოდ ბერდებოდა დედ-მამის ოჯახში. ამ თავშეწირვას თვით ხევისბერებიც ვერ გააუქმებდნენ თურმე.

P.S. იმას, თუ როგორი იყო ტრადიციული ქორწილი ფშავში, ამას ჩვენს მომდევნო წერილში შეიტყობთ... ■

ელენე სალარიძე

ერთ ქალად მისი სამკაულები ღირდაო...

სამკაულები საგანძურისაკენ ამკრეფენ...

ამ ფოტოსურათიდან მშვენიერი ქართველი ქალი შემოგვყურებს, ძველქართული ჩიხტიკოპითა და მომშვილდული წარბებით. იგი ქართლელი დიაკვნის მეულლე ყოფილა, ერთ ქალად, მისი ბრიალა თვალები ღირდა, ერთ ქალად კიდევ, მისი სამკაულებიო, — დღესაც ამბობენ გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში ხანში შესულები, რომელთაც ლამაზი ვერიკო (ასე ვეძახდითო) ახსოვთ.

... ლამაზი ვერიკოს თავს რა აღარ დატრიალებულა. სამკაულები ომის დროს, ხორბალში გადაუცვლია, თავადაც ახალგაზრდა წასულა ამ ქვეყნიდან... ფოტოზე ძვირფასი ყელსაბამი უკეთია, ოქროს ჯაჭვზე მძიმე ოქროსივე კულონით... ასეთ კულონებს თბილისელი ოქრომჭედლები ამზადებდნენ თურმე გასული საუკუნის დასაწყისში.

ქართველი ქალი ძნელი წარმოსადგენია სამკაულის გარეშე. ჩვენს საგანძურშიც გამორჩეული ადგილი უკავია მრავალფეროვან სამკაულს, რომლის შესახებაც ვესაუბრებით პროფესორ ***იულონ გაგოშიძეს****.*

— ბატონო იულონ, როდის და როგორ „შეიმკო“ პირველად ქალი სამკაულით?

— ამას ვერავინ იტყვის. მაგრამ პირველი სამკაული ის იყო, რასაც ბუნება მზამზარეულად აძლევდა ადამიანს. თუნდაც მცენარეთა რტოები და ნაირფერი ყვავილების გვირგვინები. პალეოლითის ხანაში ადამიანმა პირველად გახვრიტა და ყელზე ჩამოიკიდა ცხოველთა კბილები, ნიჟარები... ძვ.წ.აღ-ის IV-II ათასწლეულიდან კი, დაეუფლა თუ არა ლითონს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულიც ჩნდება.

— საბოლოოდ დასრულებული სახე როდის მიიღო ოქრომჭედლობამ?

— ბრინჯაოს ხანაში. თანაც სამკაულს ორმაგი დანიშნულება ჰქონდა — მხატვრულ-ესთეტიკური და ნიშნადი. ადამიანის გალამაზების გარდა სამკაულს ავგაროზის ფუნქცია ეკისრებოდა.

— ქართულ საგანძურში ძალიან დიდი რაოდენობით არის მდიდრული და განსაცვიფრებელი სამკაულები...

— დიახ, ეს ითქმის ვანის ნაქალაქარის, ახალგორის, არმაზისხევის, თრიალეთის, ზღუდერის, ურეკის, დმანისის განძზე. თითოეული ნივთი გამორჩეული და განუმეორებელია. უფრო მეტიც, ძნელდება კიდეც მათ შორის საუკეთესოს დასახელება.

— იქნებ ზღუდერის კამეაზე გეთქვათ რამე...

— ეს მართლაც ღვთაებრივი სამკაულია. თითქმის 100 გრამიან ოქროს დახვეწილ ყელსაბამზე ჰაეროვანი კამეა ორფენიან ქვაშია ამოკვეთილი. თეთრ ფენაში ნიმფა ნერეიდას სხეული თითქმის მრგვალი სკულპტურაა, დელფინიც იმავე თეთრ ფენაშია გამოკვეთილი, მაგრამ უფრო დაბალი რელიეფით, ისე, რომ მასში მუქი ფონი გამოსჭვივის, ამიტომაც დელფინი მოცისფროა. ეს II საუკუნის ნაკეთობაა და იმ პერიოდის ქართული ხელოვნების ძლიერ სკოლაზე მიუთითებს.

— ბატონო იულონ, ჩვენი ვანელი მკითხველები გვთხოვენ დაწვრილებით მოვუთხროთ ვანის საგანძურის ერთ-ერთ გულსაკიდზე, რომელიც ბრონწეულებით არის შემკული...

— ეს პექტორალია — ადრეანტიკური ქართული ოქრომჭედლობისთვის უცხო სტილით ნაკეთები გულსაკიდი. ძვ.წ.აღ-ის V საუკუნის ნაკეთობაა — ოქროს, სარდიონისა და ფერადი მინის საინტერესო სინთეზი. ოქროს თხელ ფირფიტაზე (რომლის სიგრძე 61 მმ-ია, საერთო წონა 78 გ) ოქროსვე ტიხრებითაა გამოყვანილი ნახატი. ტიხრებით შედგენილ ბუდეებში ფერადი თვლებია ჩასმული. ოქროს ძეწკვებზე ოქროს ბრონწეულებია შეკიდული. ბრონწეული ძველ ირანში ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლებოდა და ნაყოფიერების ქალღმერთის ანაჰიტას ერთ-ერთი ატრიბუტი იყო. ფირფიტაზე ფერადი ფრინველები და ფასკუნჯებია გამოსახული...

— „გზის“ მკითხველმა ამ ყელსაბამის შავ-თეთრი ფოტო უკვე იხილა...

— დამერწმუნეთ, ვერც მაღალ დონეზე შესრულებული ფერადი ფოტო გადმოსცემს იმ ეფექტს, რაც ამ სამკაულების უშუალო ხილვისას ჩნდება. ამიტომ ისღა დამრჩენია, თქვენი ვანელი მკითხველები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოვიწვიოთ ვანის განძის სანახავად...

— დავუბრუნდეთ ისევ ქართველი ქალის სამკაულს...

— ძველი ქართული ოქრომჭედლობის შინაგანი ძარღვი, შეიძლება ითქვას, რომ ათეული საუკუნეების მანძილზე არ გაწყვეტილა. ქართველი წარჩინებული ქალის გარნიტურს ანტიკური ხანის შემდეგ ცვლილება თითქმის არ განუცდია. ეს განსაკუთრებით ითქმის XIX საუკუნის ყელსაბამ ჯვრებზე, რომელიც ლალითა და ზურმუხტითაა შემკული. მარგალიტის საკიდებიც თითქოს ადრეულ შუა საუკუნეებში გვაბრუნებს.

— რას იტყოდით ეკატერინე ჭავჭავაძის სამკაულებზე, რომელიც ხელოვნების მუზეუმში ინახება?

— ამ სამკაულებში (დიადემა, სამაჯურები, საყურეები, გულსაკიდი) იგრძნობა ერთი მხრივ, ირანული და მეორე მხრივ, ევროპული კულტურის გავლენა. ისინი XIX საუკუნის პირველ ნახევარშია დამზადებული ადგილობრივი ხელოსნების მიერ. ფირუზის სიჭარბე ირანული ტრადიციების გავლენაზე მეტყველებს, ხოლო მოხატული მინანქარი ქართულ ოქრომჭედლობაში რუსეთიდან გავრცელდა. ■

ზღუდერის ოქროს ყელსაბამი კამეით



ეკატერინე ჭავჭავაძის დიადემა

იენ ტორპი

«ტორპედო» მწვანე კონტინენტიდან

დოსიე:

დაბადების თარიღი: 1982 წლის 13 ოქტომბერი

დაბადების ადგილი: ქ. სიდნეი

სიმაღლე: 195 სმ

წონა: 92 კგ

ცხოვრობს: ვოიაჯერ პოინტში (ახალი სამხრეთ უელსი, ავსტრალია)

ავსტრალიის ნაკრებში: 1997 წლიდან

ოლიმპიადის მასპინძლები ყოველთვის განსაკუთრებულად წარმოაჩენენ ხოლმე თავიანთ ფავორიტ სპორტსმენებს, რომლებიც გარდა დიდი სპორტული მიღწევებისა, გულშემატკივრების მხრიდან მათდამი დიდი სიყვარულითა და სიმპათიითაც გამოირჩევიან. გასულ წელს, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ასეთ კერპებად ავსტრალიელი სპორტსმენები — მოცურავე იენ ტორპი და მორბენალი კეტი ფრიმენი — მოგვევლინნენ. მასპინძლებმა ოლიმპიური ცეცხლის ანთების პატივი სწორედ „მწვანე კონტინენტის“ აბორიგენ მორბენალ გოგოს მიანდეს. სპორტის მოყვარულებს (და არა მარტო მათ) არასოდეს დაავიწყდებათ სცენა, როდესაც კეტი ფრიმენის მიერ ცეცხლმოკიდებული უზარმაზარი დისკო, წყლის მრავალფრად მბრწყინავი ნაკადითა და ერთგვარი „კოსმოსური ეფექტით“ მაღლა აღიმართა. ავსტრალიელებისთვის ეს ოლიმპიადა აგრეთვე იმით იყო დაუვიწყარი, რომ მათმა კიდევ ერთმა რჩეულმა, იენ ტორპმა გულშემატკივართა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ცურვის სხვადასხვა დისციპლინაში სამი ოქროს მედალი მოიპოვა. მას შემდეგ ტორპი „მწვანე კონტინენტზე“ ერთ-ერთ უპოპულარულეს ადამიანად იქცა. დღეს, ავსტრალიაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე, საზოგადოების ყველა ფენაში ლაპარაკობენ ფენომენალური შესაძლებლობებით დაჯილდოებულ ახალგაზრდა მოცურავეზე, მშობლები ახალდაბადებულებს მის სახელს არქმევენ, ქუჩაში გაჩერებული ნებისმიერი უმცროსკლასელი კი სრულ ინფორმაციას მოგაწვდით იენის სპორტული მიღწევებისა და პირადი ცხოვრების შესახებ.

დიდტერფა ვუნდერკინდი

იენ ტორპის მშობლებს სპორტთან კავშირი არ ჰქონიათ. მამამისი კენი — მებაღეა, ხოლო დედა — მარგარეტი, რომელიც წარმოშობით ლიბიელია, სკოლის მასწავლებლად მუშაობს. სხვათა შორის, იენ ტორპმა წინაპრებისგან ხუთი სხვადასხვა ეროვნების ადამიანის სისხლი „მიიღო“.

ბავშვობაში იენი თავისი თანატოლებისგან არაფრით გამოირჩეოდა. მას ჰყავდა მეგობრები. მშობლებთან ერთად დასასვენებლად ქალაქგარეთ დადიოდა, თამაშობდა კრიკეტს, რაგბისა და ფეხბურთს. კენი ტორპს დიდი სურვილი ჰქონია, რომ მისი ვაჟიშვილი კრიკეტს გაჰყოლოდა, თუმცა სუსტი კოორდინაციის გამო, სპორტის ამ სახეობაში იენს დიდი წარმატებებისთვის არ მიულწევია. ჯერ კიდევ პატარა იყო იენი, როდესაც მისი უფროსი და, კრისტინა უკვე კარგ შედეგებს აღწევდა ცურვაში და ხშირად შეჯიბრებებზეც დადიოდა. მშობლებს არ შეეძლოთ, რომ ქალიშვილს ტურნირებზე ყოველთვის თან ხლებოდნენ. რათა კრისტინას სხვადასხვა ქალაქში ყოფნისას, თავი მარტოდ და უცხოდ არ ეგრძნო, „მცველგამცილებლად“ პატარა იენი მიუჩინეს. მთელი ორი წლის განმავლობაში იენ ტორპი კრისტინას დასდევდა ვარჯიშებზე, ქომაგობდა შეჯიბრებებზე. როდესაც იენი რვა წლის გახდა, თავადაც გაუჩნდა ცურვის სურვილი,

თუმცა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ქლორიანი წყლის მიმართ ალერგია ჰქონდა. ამის გამო, ტორპი ცხვირზე სპეციალურ მომჭერს იყენებდა და ცურვისას თავს მაღლა სწევდა, რათა წყალთან ნაკლები შეხება ჰქონოდა. მალე ამან იენ ტორპს წყალში მოძრაობის უჩვეულო ტექნიკა გამოუმუშავა. მაშინ ტორპს მწვრთნელები აიძულებდნენ, რომ იგი ერთნაირი სერიოზულობით მოჰკიდებოდა ცურვის ყველა სტილის შესწავლას, რის გამოც, ჯერ კიდევ ბავშვობაში, მომავალი ჩემპიონი შესანიშნავად ფლობდა კროლის, ბატერფლაის, ბრასისა და ზურგზე ცურვის ტექნიკას.

თავისი პირველი მედალი იენ ტორპმა 9 წლის ასაკში მოიგო. მანამდე, ვიდრე უფროს მოცურავეთა ჯგუფში მოხვდებოდა, იენს უკვე მოგებული ჰქონდა არაერთი საბავშვო ტურნირი და დამყარებული ჰქონდა მრავალი რეკორდი. 14 წლის იენი ავსტრალიის მოცურავეთა ნაკრებში შეიყვანეს, ორი წლის შემდეგ კი, მან წყნარი ოკეანის თამაშებზე, ყველა დისტანციაზე რეკორდი დაამყარა. ცოტა ხნის შემდეგ ტორპმა კვლავ ყველა გააკვირვა, როდესაც კუალალუმპურში (მალაიზია) ჩატარებულ თანამეგობრობის ქვეყნების თამაშებზე ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა. ჯერ კიდევ მაშინ ცურვის სპეციალისტები და ჟურნალისტები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ იენ ტორპი ლეგენდარული ამერიკელი მოცურავის, მარკ სპიტცის შედეგებს იმეორებდა. „მე ეს არ მაშინებს, თუმცა მაღიზიანებს, – ამბობდა იენ ტორპი, – ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს არავინ მისმენს. მე, უბრალოდ, ვეთაყვანები ამ მოცურავეს და მისი მიღწევები წარმოუდგენლად მეჩვენება, თუმცა მაშინ სულ სხვა დრო იყო“.

1998 წელს იენ ტორპი ახალგაზრდებს შორის „წლის ავსტრალიელად“ დაასახელეს. „ის მტკიცე, ჭკვიანი, თავმოყვარეა და საოცრად ზუსტად შეუძლია თავისი აზრების ფორმულირება“, – წერდნენ იენის შესახებ, რომელსაც უკვე მაშინ ავსტრალიელები ეროვნულ გმირად მიიჩნევდნენ. 2000 წლის სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, მოცურავეთა შორის უმთავრეს ფავორიტად, რა თქმა უნდა, იენ ტორპს მიიჩნევდნენ და ავსტრალიელები მისგან დიდ გამარჯვებებს ელოდნენ. ტორპს მათი იმედები არ გაუცრუებია და ავსტრალიის მოცურავეთა ნაკრებს 3 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოუტანა. სწორედ ამ ფენომენალური გამარჯვებების შემდეგ, იენს ავსტრალიელებმა „ტორპედო“ უწოდეს. „მე ვარ ადამიანი, რომელსაც ძნელია, მეტოქეობა გაუწიო. უშუალოდ ცურვის დროს, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, რას შვრებიან სხვები საწვრთნელ შეკრებებსა თუ შეჯიბრებებზე. ყოველთვის აბსოლუტურად კონცენტრირებული ვარ საკუთარი ამოცანის შესასრულებლად“, – პასუხობს ხოლმე „ტორპედო“ იმ ჟურნალისტებსა და თაყვანისმცემლებს, რომლებსაც აინტერესებთ, თუ რას ფიქრობს იგი იმ მომენტში, როდესაც საცურაო აუზში ახალ რეკორდს ამყარებს.

რამდენიმე თვის წინ, იენ ტორპმა კიდევ ერთხელ განაცვიფრა სპორტული სამყარო თავისი მიღწევებით. იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე „ტორპედომ“ ექვსი ოქროს მედალი მოიპოვა. „ვეცადე, ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამომევლინა. ვფიქრობ, ეს ყველამ უნდა გააკეთოს, მიუხედავად იმისა, თუ რა დონეზე იმყოფება. მე არ მაინტერესებდა, როგორ ცურავდნენ სხვები, საკუთარ თავზე ვიყავი კონცენტრირებული. საერთოდ, კონკურენტებს არასოდეს ვაკვირდები. მხოლოდ ვცდილობ, როგორც შემიძლია, ისე გავცურო. და თუ ამას შევძლებ, დაკავებულ ადგილს დიდ მნიშვნელობას აღარ ვანიჭებ“, – განაცხადა ჩემპიონატზე ფენომენალურად გამოსვლის შემდეგ ტორპმა, რომლისთვისაც თავისი მრავალრიცხოვანი ჯილდოებიდან, ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი, სერ დონალდ ბრედმანის პრიზია. ამ პრიზს ავსტრალიაში ხალხისთვის ყველაზე პატივსაცემ სპორტსმენს ანიჭებენ.

როდესაც იენ ტორპი სპორტული მწვერვალების დაპყრობას შეუდგა, ცურვის სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა დაიწყეს იმის კვლევა, თუ რის საშუალებით აღწევდა ავსტრალიელი თინეიჯერი ასეთ დაუჯერებელ გამარჯვებებს. მათი აზრით, მოწინააღმდეგეებზე უდიდეს უპირატესობას „ტორპედოს“ მისი ათლეტური აგებულება ანიჭებს. ვისაც იენის ცურვა უნახავს, ერთხმად აღიარებს, რომ ავსტრალიელი ათლეტი სპორტის ამ სახეობისთვის არის დაბადებული და წყალშიც მართლაც ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი. იენი ფლობს ცურვის ყველასგან განსხვავებულ, ფილიგრანულ ტექნიკას, ხოლო გიგანტური ზომის ტერფებსა (ამბობენ, რომ 43 სმ სიგრძის ტერფი აქვს) და ხელის მტევნებს წყალში ფარფლებივით იყენებს. „ბედნიერად ვგრძნობ თავს ისეთი, როგორიც ვარ და საკუთარ გარეგნობაში არაფრის შეცვლას არ ვისურვებდი“, – ამაყად პასუხობს „ტორპედო“ მათ, ვისაც აინტერესებს, თუ რა აზრის არის ავსტრალიელი ჩემპიონი თავისი გარეგნობის, კერძოდ კი, უზარმაზარი ტერფის თაობაზე. იენს თავისი შეხედულება აქვს ქიმიური სტიმულატორების მიმართაც და მიაჩნია, რომ დიდ სპორტში მათი გამოყენების გარეშეც შესაძლებელია მწვერვალების დაპყრობა. „ცურვა, ცურვა და ცურვა – ეს არის ჩემი საქმე, – ამბობს ტორპი, – როგორც კი აუზს გადავცურავ და მის კედელს შევეხები, წამმზომს ვუყურებ. თუ ვხედავ, რომ რეკორდი დავამყარე, ძალიან მიხარია. „ქიმია“ კი, საერთოდ არ მჭირდება“. ერთხელ იენ ტორპმა თავს უფლება მისცა, რომ ცურვის საერთაშორისო ფედერაცია სწორედ დოპინგისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო გაეკრიტიკებინა. „სჯობს, შენ იცურაო, დანარჩენს ჩვენ მოვუვლით“, – არ დაუგვიანა პასუხი ფედერაციის ხელმძღვანელობამ „სუპერვარსკვლავის სტატუსით გათამამებულ“ ავსტრალიელ მოცურავეს.

მიუხედავად თავბრუდამხვევი წარმატებებისა, ტორპის ყოველდღიური ცხოვრება თითქმის არ შეცვლილა. ავსტრალიელი ჩემპიონი ისევე, როგორც წლების წინ, დღესაც დილის ოთხ საათსა და თხუთმეტ წუთზე დგება. პირველი ვარჯიში 5-დან 7 საათამდე აქვს. „კვირაში ექვს დღეს ვვარჯიშობ, სულ – დაახლოებით 35 საათს. 25 საათი აუზში მიწევს ვარჯიში, დანარჩენი კი, მის გარეთ. კვირაში სულ 60-90 კილომეტრს ვცურავ“, – ამბობს იენი.

ორი მეგობარი

თანამედროვეობის ორ დიდ მოცურავეს – ავსტრალიელ იენ ტორპსა და ჰოლანდიელ პიტერ ვან დენ ჰუგენბანდს, – ერთმანეთთან საცურაო აუზში უკომპრომისო მეტოქეობა, ხოლო აუზს მიღმა – უდიდესი მეგობრობა აკავშირებთ. დღეს იენი და პიტერი მოცურავეთა წრეებში ყველაზე დიდ კონკურენტებად ითვლებიან, თუმცა, სპორტული ჟურნალისტები ხშირად აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ცურვის ორ დიდოსტატს შორის ყოველი შეჯიბრების შემდეგ, უფრო და უფრო მტკიცდება მეგობრობა. „ჩვენ უბრალოდ, კარგი მეგობრები ვართ, – ამბობს ჰუგენბანდი, – მართალია, ერთმანეთის კონკურენტები ვართ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მეგობრობა არ შეგვიძლია. იენი ძალიან კარგი ბიჭია. პირველად, ერთმანეთს მაშინ გამოველაპარაკეთ, როდესაც აუზში ვვარჯიშობდით. შეჯიბრების დროს რომ ვცურავთ, რა თქმა უნდა, მეგობრობაზე ფიქრის დრო აღარ გვრჩება, მაგრამ როდესაც ეს ყველაფერი მთავრდება, ერთმანეთისთვის

ვიცლით და ვსაუბრობთ ყველაფერ იმაზე, რაზეც ნორმალური ადამიანები ლაპარაკობენ – გოგონებზე, მანქანებზე... სურვილი მაქვს, რომ იენთან უფრო მეტი ვილაპარაკო, მაგრამ ორ ქვეყანას შორის დროის სხვაობის გამო, ეს არ გამოდის: როდესაც მე ვვარჯიშობ, მას სძინავს. შესანიშნავია, როდესაც დიდ შეჯიბრებებზე მეგობარს ხვდები და მასთან ერთად ერთობი, თუმცა, ეს სულაც არ ახდენს გავლენას ჩვენ შორის კონკურენციაზე. ჩვენ ორივეს გვიყვარს გამარჯვება".

მართალია, იენი და პიტერი ხშირად ვერ ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ მათ მუდმივი კონტაქტი აქვთ e-mail-ის საშუალებით. ალბათ ორ ჩემპიონს შორის დიდი მეგობრობის შედეგია ის, რომ ავსტრალიაში ჰუგენბანდი დიდი პოპულარობით სარგებლობს და მას მოსახლეობა ყოველთვის თბილად ხვდება. ერთ-ერთი შეჯიბრების დროს კი, ჰოლანდიელ მოცურავესთან წელს ზემოთ გახდილი ავსტრალიელი ქალბატონი მიჭრილა და მისთვის ბიუსტჰალტერზე ავტოგრაფის გაკეთება უთხოვია. რა თქმა უნდა, ჰოლანდიელისადმი ასეთ დიდ ყურადღებას „მწვანე კონტინენტის" მოსახლეობა იმის გამო იჩენს, რომ იგი იენ ტორპის ღირსეული მოწინააღმდეგე და ამავე დროს, გულითადი მეგობარია.

11 სექტემბრის ტერაქტს შემთხვევით გადაურჩა

იმ დღეს სახელოვანი მოცურავე ნიუ-იორკში შვებულებას ატარებდა. იენი საპატიო სტუმრად იყო მიწვეული ჯორჯო არმანის მოდების ჩვენებაზე. ავსტრალიელი ჩემპიონი ნიუ-იორკში 10 სექტემბერს, ღამით, თავისი მენეჯერის მეუღლესთან, მიშელ ფლესკესთან ერთად ჩაფრენილა. იენი დილით ადრე ამდგარა და სასეირნოდ ქუჩაში გასულა. „როდესაც დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში გადაადგილდები, დროის სხვადასხვა სარტყლის გამო, არცთუ ისე სასიამოვნო გუნებაზე ხარ. გასეირნება გადავწყვიტე, – ამბობს „ტორპედო", – სასტუმროდან ცენტრალური პარკისკენ წავედი. შემდეგ მსოფლიო სავაჭრო ცენტრთან ვსეირნობდი. დაახლოებით 8 საათი და 15 წუთი იქნებოდა... ნახევარი საათით ადრე, იმ ავად სახსენებელ მოვლენამდე. სეირნობის შემდეგ, სასტუმროში დავბრუნდი და მიშელს ველოდებოდი, თან ტელევიზორის არხებს ვრთავდი. სწორედ მაშინ, ტელეეკრანზე დავინახე ცეცხლში გახვეული მსოფლიო სავაჭრო ცენტრი. რომ მნდომებოდა, შემეძლო, ქუჩაში ჩავსულიყავი და ყველაფერი საკუთარი თვალით მენახა, მაგრამ რაღაც დაუჯერებელი მეჩვენებოდა ყველაფერი: ვერ წარმომედგინა, რომ ეს შესანიშნავი ორი შენობა იწვოდა. მაშინვე სახლში დავრეკე, მშობლებს ვუთხარი, რომ მე საფრთხე არ მელოდა და შეეძლოთ, ყველაზე საშინელი კადრები ეხილათ ნიუ-იორკიდან. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ თავიდან ცათამბჯენში ასვლას ვაპირებდით... თუმცა, სხვადასხვა გარემოების გამო, გაგვიმართლა".

იენ ტორპსა და მისი მენეჯერის მეუღლეს დაგეგმილი ჰქონიათ აგრეთვე ცათამბჯენების პირდაპირ მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში დაბინავება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, ვერც ეს მოუხერხებიათ და შემდეგ, მანჰეტენის შუა ნაწილში მდებარე სასტუმროში შეჩერებულან. „ტრაგედიის შემდეგ, ნიუ-იორკი სრულიად შეიცვალა. ეს უკვე სულ სხვა ქალაქი იყო, – ამბობს იენი, – ეს ძალიან შემაძრწუნებლად მოქმედებდა, ხალხი მეხანძრეებს ეფერებოდა. მათ სახეზე დიდი ტრაგედია იყო აღბეჭდილი. ასეთ სიტუაციაში იწყებ იმაზე ფიქრს, თუ რა არის ცხოვრებაში მთავარი და რა – არა. შეიძლება, ბევრი რამის მიმართ შეგეცვალოს შეხედულება. მე საკუთარ თავს შეკითხვებს ვუსვამდი და ჩემთვის ზოგიერთი რამ გამოვარკვიე. არ შემიძლია, თავი ბედნიერად ჩავთვალო იმის გამო, რომ ყველაფერი ასე მოხდა. მე უბრალოდ გამიმართლა. რაც მოხდა, იმან ჩემზე დიდად იმოქმედა, ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ ადამიანზე... თუ ვინმე ამ ტრაგედიის მიმართ გულგრილი დარჩა, მაშინ მას ნამდვილად რაღაც პრობლემები აქვს ფსიქიკასთან დაკავშირებით".

მიუხედავად იმისა, რომ იენმა თავისი თვალით იხილა ის საშინელება, რაც ამერიკელ ხალხს სექტემბერში დაატყდა თავს, მან მაინც გადაწყვიტა, შეიძინოს სახლი იმ ახალ ცათამბჯენში, რომელიც რამდენიმე თვის წინ, ტერორისტების მიერ აფეთქებული ძველი შენობების ადგილზე აიგება. ახალი ცათამბჯენის მშენებლობა მომავალი წლის ივლისში დაიწყება და უკვე 2006 წლისთვის დამთავრდება. „ტერორიზმის არსი, ხალხის დატერორებაში მდგომარეობს. მე კი, არ მსურს რომ დატერორებული ვიყო. მე ვაგრძელებ ცხოვრებას და ყველაფერს გავაკეთებ ისე, როგორც მსურს", – განაცხადა ტორპმა, რომელმაც ცოტა ხნის წინ ახალი ცათამბჯენების მშენებლობასთან დაკავშირებით, კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხელშეკრულების თანახმად, „ტორპედო" ცათამბჯენების ერთგვარი სახე იქნება.

ტორპის ფავორიტი გოგონები და გატაცებები

იენ ტორპის ერთ-ერთი დიდი გატაცება მუსიკაა. ამჟამად, მისი საყვარელი ჯგუფი RED HOT CHILI PEPPERS-ია, თუმცა ამბობს, რომ ასაკის მატებასთან ერთად, გემოვნებაც ეცვლება. მომღერლებიდან კი, იენს ყველაზე მეტად, თავისი თანამემამულე კაილი მინოუგი მოსწონს. „მე კაილის დიდი ფანი ვარ! სინამდვილეში, მისი კლიპები რაღაც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მუსიკა... მაგრამ ოჰ!.. ამ მხრივ მე ნებისმიერ სხვა ავსტრალიელ მამაკაცს ვგავარ", – ამბობს „ტორპედო", რომელსაც მიმდინარე წელს, ჩოგბურთის ვარსკვლავ მარტინა ჰინგისთან ერთადაც ხშირად აფიქსირებდნენ ფოტორეპორტიორები. ჟურნალისტები კი წერდნენ, რომ მას შემდეგ, რაც სიდნეიში გამართულ ADIDAS INTERNATIONAL-ის ტურნირზე გამარჯვებულ მარტინას იენმა პრიზი გადასცა, სპორტის ორი ვარსკვლავი ერთმანეთის მიმართ სიმპათიებს ვერ მალავდა. „როდესაც გოგონებს მისაბაძად ჰყავთ ისეთი სახე, როგორიც მარტინა ჰინგისია, ეს ძალიან კარგია. ჩოგბურთში დღეს ქალთა შეჯიბრებები უფრო საინტერესოა, ვიდრე მამაკაცებისა", – ამბობს ტორპი, რომელიც თბილ სიტყვებს არც ანა კურნიკოვას მიმართ იშურებს: „ჰო,

მომწონს. ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ. ის ძალიან მეგობრული ადამიანია“.

მსოფლიოს საუკეთესო მოცურავეს ზვიგენების ეშინია. „მე ვნახე ფილმი „ღრმა ცისფერი ზღვა“ და ამის შემდეგ, წყალში ჩასვლა აღარ მსურდა! მეორე დილით, ვიდრე სავარჯიშოდ აუზში ჩავიდოდი, კარგად შევათვალიერე, რომ შიგ ზვიგენები არ ყოფილიყვნენ...“ – ამბობს ავსტრალიელი ჩემპიონი, რომელსაც თავისი საცურაო კომბინეზონის გამო, „შავ ზვიგენსაც“ უწოდებენ. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ სიტყვების მთქმელი ადამიანის ბავშვობის ოცნება, ოკეანეში, ზვიგენების გარემოცვაში ცურვა ყოფილა. ერთხელ მან ოცნება აიხდინა: ტორპი 2 საათით ჩაუშვეს სიდნეის ოკეანარიუმის ერთ-ერთ აკვარიუმში, სადაც ოლიმპიური ჩემპიონი ზვიგენებისა და ტროპიკული თევზების გარემოცვაში დაცურავდა.

იენ ტორპი მრავალ სარეკლამო პროექტში მონაწილეობს, რისი საშუალებითაც, მისი შემოსავალი დღითი დღე იზრდება, ეს კი, სპორტსმენს საშუალებას აძლევს, ძვირფასი საჩუქრებიც უსახსოვროს თავისი ოჯახის წევრებს. „ყველაზე ექსტრავაგანტური საჩუქარი, ის ბეჭედი იყო, რომელიც დედაჩემს მივართვი. პატარა რომ ვიყავი, მას შევპირდი, რომ საფირონითა და ბრილიანტებით მოოჭვილ ბეჭედს ვაჩუქებდი. ეს დანაპირები 1998 წელს შევუსრულე“, – ამბობს იენ ტორპი, რომელსაც ყველაზე მეტად, თავისუფალი დროის ოჯახთან ერთად გატარება და დედის მიერ მომზადებული კერძების მირთმევა უყვარს.

ტორპი ქველმოქმედებითაც არის დაკავებული და ხშირად მონაწილეობს ინვალიდი ბავშვების დასახმარებლად მოწყობილ აქციებში. თავისუფალ დროს კინოში და დისკოთეკაზე წასვლაც უყვარს, თუმცა, დიდად არ სიამოვნებს ის ფაქტი, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცნობენ. იენის ახლობლები ამბობენ, რომ ოლიმპიური ჩემპიონის ოთახი დღესაც ისევე არეული და დაულაგებელია, როგორც ეს მისი ბავშვობისას იყო.

როდემდე დარჩება „ტორპედო“ დიდ სპორტში? – ბევრს აინტერესებს პასუხი ამ კითხვაზე. თავად იენი ცურვას 2008 წლამდე აპირებს და იმედოვნებს, რომ საცურაო აუზს დაუმარცხებელი დატოვებს. „არაჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცია, – ამბობს იენის შესახებ მისი მენეჯერი დევიდ ფლესკესი, – ის ხშირად მაკვირვებს. მისი პოტენციალი, როგორც ადამიანისა და როგორც სპორტსმენისა, უსაზღვროა. მას შეეძლო მიეტოვებინა ცურვა, მაგრამ ცხოვრებაში წარმატებებს მაინც მიაღწევდა. იგი ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური, დაფიქრებული, მრავალმხრივი ინტერესის მქონე ადამიანია, რომელსაც მე ოდესმე შევხვედრივარ“. ■

დონ კინგი ჰოსპიტალში მოხვდა

პროფესიული კრივის სამყაროში ყველაზე ცნობილი პრომოუთერი, დონ კინგი ერთი კურიოზული შემთხვევის გამო, ჰოსპიტალში მოხვდა. ლენოქს-რაჰმანის ორთაბრძოლასთან დაკავშირებული დეტალების დაზუსტების შემდეგ, დონ კინგი რამდენიმე მეგობართან ერთად ლოს-ანჯელესიდან ლას-ვეგასში მიფრინავდა. თვითმფრინავი „საჰაერო ორმოში“ ჩავარდა, კინგი ინერციით შეხტა და თავი ჭერს მიარტყა, შემდეგ კვლავ სავარძელში ჩაენარცხა და... ერთი სიტყვით, პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი სალონის ჭერსა და სავარძელს შორის დახტუნავდა მანამ, სანამ თვითმფრინავი „საჰაერო ორმოების“ ზონიდან გამოვიდოდა. ამ ფრიად უსიამოვნო აკრობატული ნომრის მიზეზი, თავად დონ კინგის დაუდევრობა ყოფილა: როგორც თავად აღნიშნა, ის საკუთარ თვითმფრინავში თავს ისევე გრძნობდა, როგორც... საკუთარ სასტუმროში, ამიტომ უსაფრთხოების ქამარი არ შეუკრავს. იგივე გაუმეორებიათ მის მეგობრებს, რომელთაგან მხოლოდ ერთმა დაუჯერა პილოტს და ამის წყალობით, დიდად არ შეწუხებულა თვითმფრინავის „ჯანჯღარით“. ჰოსპიტალში მოხვედრილმა დონ კინგმა კი, დეტალური გამოკვლევა ჩაიტარა და დაადგინა, რომ სხეულის სერიოზული დაზიანებები არ მიუღია. ■

ლენოქს ლუისმა ლეონარდო დი კაპრიოს საქორწინო გეგმები ჩაუშალა

კრივის მსოფლიო საბჭოსა და კრივის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიათა თანახმად, პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა, ლენოქს ლუისმა 27 წლის კინოვარსკვლავს საქორწინო გეგმები ჩაუფუშა. ლეოს განზრახვას – დაქორწინებულიყო 20 წლის ბრაზილიელ სუპერმოდელ ჟიზელ ბანშენზე, – სწორედ ლენოქს ლუისსა და ჰასიმ რაჰმანს შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის გამართულმა ბოლო შეხვედრამ დაუსვა წერტილი, როდესაც ბრიტანელმა მოკრივემ მოწინააღმდეგე მეოთხე რაუნდში დაამარცხა. საქმე ის გახლავთ, რომ დი კაპრიომ საცოლის კამპანიაში ყოფნას, მძიმეწონისან მოკრივეთა შეხვედრაზე მეგობრებთან ერთად დასწრება ამჯობინა და ამით, დიდად გაანაწყენა ჟიზელი, რომელიც თავის რჩეულთან რომანტიკული უქმეების გატარებას მოუთმენლად ელოდა. როდესაც დი კაპრიოს ბრაზილიელი სუპერმოდელისთვის ლას-ვეგასში კრივის შეხვედრაზე დასასწრებად თავისი გამგზავრების ამბავი უცნობებია, ბანშენს 125 ათას გირვანქა სტერლინგად ღირებული ბეჭედი თითიდან მოუხსნია და საქმროსთვის დაუბრუნებია. როგორც ჟიზელის ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა განაცხადა, ამ ინციდენტის შემდეგ ბრაზილიელ სუპერმოდელს ლეონარდოსთან ურთიერთობის გაწყვეტა საბოლოოდ გადაუწყვეტია. აღსანიშნავია, რომ დი კაპრიოსა და ბანშენს კინოსა და მოდის სამყაროში ყველაზე ბრწყინვალე წყვილად მოიხსენიებენ. ლეონარდოს, რომელსაც სხვა ცნობილ მოდელებთან – კეიტ მოსთან და კრისჩენ ზანგთან ინტიმური ურთიერთობის გამო, „მოდელთა სპეციალისტიც“ კი შეარქვეს, თურმე ყოველთვის ეშინოდა ჟიზელის დაკარგვისა. ჟიზელის თაყვანისმცემელი ბრაზილიელი მილიარდერი ჟოან პაოლო დინიზიც ყოფილა. როდესაც დი კაპრიოს ყვითელი პრესის ფურცლებზე ბანშენი და დინიზი ერთად უნახავს, მაშინვე მილანში გადაფრენილა და ბრაზილიელი ლამაზმანისათვის (რომელიც იქ მოდის კვირეულზე იმყოფებოდა) ხელი უთხოვია. ჟიზელს კი, რომელზეც მთელი მსოფლიოს მამაკაცები ოცნებობენ, უარი არ უთქვამს. ბოლო პრესკონფერენციაზე ბანშენმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით არავისზე დაქორწინებას არ აპირებს. „მე ჯერ 20 წლის ვარ და ყველაფერი წინ მაქვს“, – დააკონკრეტა ბანშენმა. ■

ოსტაპ ბენდერისგან განსხვავებით, ნამდვილად გამიმართლა

ოო... ბრაზილიო, ბრაზილიო!..

აკაკი გეგენავა

მე ერთი მოგზაურობაზე შეყვარებული კაცი ვარ. თანაც, ამერიკის შეერთებულ შტატებში მომიწია ყოფნა და რა მომასვენებდა, სანამ მთელ ქვეყანას არ შემოვივლიდი. იკითხავთ, რატომო და ახლავე მოგახსენებთ: ამერიკაში მთავარია სურვილი, თორემ ამ სურვილის განახორციელებლად იმდენი გზა და საშუალება არსებობს, თითები ნამდვილად არ მეყოფა ჩამოსათვლელად.

ჰოდა, იმ კომპანიაში, სადაც ვმუშაობდი, ჩემი ყურადღება ბრაზილიელმა ჟუნიომ მიიქცია – ორმოციოდე წლის მხიარულმა და დაუზარელმა კაცმა. ჟუნიო ლოტოს კოჭივით იყო – დაბალი და ჩამრგვალებული, მაგრამ საოცრად მკვირცხლი. რაც არ უნდა მძიმე სამუშაო დაევალებინათ, ყველაფერს ხალისით აკეთებდა. რომ იტყვიან, ცხოვრება უყვარდა და ეს განწყობა სხვებზეც გადაჰქონდა.

როცა ვკითხავდი, თუ საიდან ჰქონდა ამდენი ენერგია, ყოველთვის ერთსა და იმავეს მიპასუხებდა ხოლმე:

– ოოო... სენიორ აკაკუს, ბრაზილიო, ბრაზილიო!..

და ამის შემდეგ ბრაზილიაზე ლაპარაკს რომ დაიწყებდა, ვეღარ გააჩერებდი. მეც იმდენ ხანს ვუსმინე, რომ გადავწყვიტე, ბრაზილიაში მასთან ერთად წავსულიყავი, თუმცა კი რაც თავი მახსოვს, იქ წასვლა ყოველთვის მინდოდა. როდესაც ჟუნიოს ამის შესახებ ვუთხარი, გაეხარდა კიდეც, მაგრამ მთხოვა, ცოტას კიდევ წავიმუშავებ (ფული სჭირდებოდა) და მერე გავემგზავროთო.

... ასე და ამგვარად, მე და ჟუნიომ იანვარში რიო-დე-ჟანეიროსკენ ავიღეთ გეზი...

ცოტა რამ ქვეყნის წარსულიდან

ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა 22 შტატს აერთიანებს. ქვეყანას მართავს პრეზიდენტი, რომელსაც 6 წლით ირჩევენ. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ნაციონალური კონგრესია. დედაქალაქსაც ბრაზილია ჰქვია. 160 მილიონიანი მოსახლეობის 95%-ს ბრაზილიელები შეადგენენ. რაც შეეხება ბრაზილიელის ეროვნებას, იგი სამი ძირითადი რასის ხანგრძლივი ურთიერთშერწყმის შედეგად წარმოიქმნა: ბრაზილია პორტუგალიის კოლონია იყო და იქ ევროპიდან ჩადიოდნენ თეთრკანიანები, აფრიკიდან მონებად ჩაჰყავდათ ზანგები, ხოლო ადგილზე მათ ხვდებოდნენ მკვიდრი ინდიელები.

ასიმილაციის პროცესი თავიდანვე აქტიურად დაიწყო, ვინაიდან კოლონიზატორები უმთავრესად მამაკაცები იყვნენ და ძალაუნებურად, კავშირს ამყარებდნენ ინდიელ და ზანგ ქალებთან... ასე წარმოიქმნა ეთნიკური ნარევი – მულატები (თეთრებისა და ზანგების ნაჯვარი), მეტისები (თეთრებისა და ინდიელების) და საბოები (ზანგებისა და ინდიელების). ეს მრავალფეროვანი მოსახლეობა პორტუგალიურად ლაპარაკობს, რომელიც მათთვის სახელმწიფო ენაა და აფრიკული წარმოშობისა და ინდიელთა დიალექტებისგან გადმოსული სიტყვებით არის გამდიდრებული.

... 1808 წელს მიღებული კანონის თანახმად, ქვეყანაში ნებისმიერ უცხოელს შეეძლო ჩასვლა და მიწის ნაკვეთის შეძენა. ამით შესაძლებელი გახდა თავისუფალი ტერიტორიების ათვისება, ევროპელთა მოზიდვა, შავ და ფერადკანიან მოსახლეობასთან, შედარებით ბალანსში თეთრკანიანების მოყვანა.

თეთრკანიან ემიგრანტებში ტრადიციულად ბევრია გერმანელი, უნგრელი, პოლონელი და იტალიელი. XX საუკუნის დასაწყისში მათ დაემატნენ ჩინელები და იაპონელები.

ბრაზილიას ხშირად, ახალგაზრდების ქვეყანას ეძახიან. და მართლაც, მოსახლეობის ნახევარზე მეტი 20 წლის ასაკისაა, 50 წელს გადაცილებულნი 10%-ს შეადგენენ. „მიზეზი“ – შობადობის მაღალი მაჩვენებელია (ევროპაში 1000 კაცზე 12 ახალშობილი მოდის, ბრაზილიაში კი – 35!).

ფართობით ბრაზილია ყველაზე დიდია ქვეყანაა სამხრეთ ამერიკაში. მისი მოსახლეობის 80% ქალაქებში ცხოვრობს. უზარმაზარი ტერიტორია ხშირი ტყის მასივებს უკავია. მდინარე ამაზონის სანაპიროს კი „მსოფლიოს ფილტვებს“ უწოდებენ. აქ დაახლოებით 4000 სახეობის მცენარე იზრდება (ყოველი მეოთხე ხე მსოფლიოში ბრა-

ზილიაშია). მრავალფეროვანია ცხოველთა სამყაროც... ათასგვარი ეგზოტიკური მწერი თუ შხამიანი გველი არაერთ ტურისტს იზიდავს. კლიმატიც მოგზაურობისთვის ზედგამოჭრილია – მთელი წლის განმავლობაში 24-28 გრადუსი სითბოა. ცხოვრებაც საკმაოდ იაფია და ამიტომაც, ყოველწლიურად მატულობს ბრაზილიაში ჩასული ტურისტების რაოდენობა. ქვეყნის უდიდესი ქალაქებია რიო-დე-ჟანეირო, სან-პაულუ და ბრაზილია. მე რიო-დე-ჟანეიროს სტუმარი გახლდით...

მე და ჩემი „რესპონდენტი"...

ჟუნიოს ასე თუ ისე ვიცნობდი, მაგრამ ხუთსაათიანი ფრენისას კიდევ უფრო ახლოს გავიცანი. უამრავი კითხვა დავუსვი, მაგრამ ჟუნიომ ყველაფერს გმირულად გაუძლო – მშვიდად მპასუხობდა და ღიმილსაც არ იშურებდა.

– ჟუნიო, ბრაზილიელი კი ხარ, მაგრამ, წარმოშობით ვინ ხარ? – ეს ისეთი ინტერესით ვიკითხე, ჩემი „რესპონდენტი" ღრმად ჩავაფიქრე და პასუხის გასაცემად საკმაო დროც დასჭირდა.

– როგორ აგიხსნა, აკაკუს? დედა პუერტო-რიკოელი მყავს, მამა – პარაგვაიელი, ერთი ბაბუა ნიკარაგუელია, მეორე – უნგრელი. მე კი რიოში გავიზარდე და... ბრაზილიელი ვარ, რა! ჩემი შვილებიც ბრაზილიელები არიან, თუმცა, დედა არგენტინელი ჰყავთ...

ვუსმენდი და ტვინი და სათვალავი ერთდროულად ამერია, თუმცა კი „აღფრთოვანება" ვერ დავფარე და ვუთხარი:

– ბედნიერ კაცი ხარ, ჟუნიო! ასეთი ნათესავების პატრონმა, მსოფლიო შეგიძლია მოიარო...

– შემიძლია, მაგრამ რად გინდა! ფული თუ არ გაქვს, ვერსადაც ვერ წახვალ...

– სამსახურის მეტი რა არის, იმუშავე და გექნება!..

– ბრაზილიაში მცირე ხელფასებია, ამიტომაც დავდივარ ყოველწლიურად ამერიკაში: რასაც იქ ორ თვეში ვშოულობ, ბრაზილიაში იმდენს მთელ წელიწადშიც ვერ ავიღებ. ერთი მხრივ, თითქოს კარგია, – ფულს ვაკეთებ, მაგრამ ოჯახს დიდი ხნით ვშორდები. მთელი ცხოვრება გზაში ვარ, ბოშას დავემსგავსე...

ჟუნიო მშვენიერ ორსართულიან, ბაღით გარშემორტყმულ სახლში ცხოვრობდა – ცოლ-შვილთან ერთად (სამი მასავით ჩამრგვალებული და მხიარული ბიჭუნა ჰყავდა). ამავე სახლში მისი მოხუცი მშობლებიც ცხოვრობდნენ და სამი ძმა, თავ-თავიანთ ცოლ-შვილთან ერთად. ასე რომ, მათთან კაცი არ მოიწყენდა.

... როგორც კი ტაქსით ჭიშკარს მივუახლოვდით, ქუჩაში მოთამაშე ბავშვებმა ჟუნიო შენიშნეს და ისეთი ყიჟინა ატყდა, ორიოდე წუთში ჩვენ გარშემო 50-მდე ადამიანმა მოიყარა თავი. ასე რომ, ერთბაშად გახმაურებულ ბრაზილიურ „სერიალში" აღმოვჩნდი.

ჟუნიო გმირივით იდგა და კმაყოფილებისგან ცქმუტავდა. მე ვიღას ვახსოვდი, ისე ხმაურიანად კოცნიდნენ ერთმანეთს, კილომეტრში გაიგონებდით. ახლა კი უკვე უხერხულად ვგრძნობდი თავს. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი ხანში შესული მამაკაცი მომიახლოვდა (ჟუნიოს მამა) და შინ შემიპატიჟა, აქ კი ნამდვილი დღესასწაული მომიწყვეს...

ათი დღე დავყავი ჟუნიოს სახლში და პირველი ოთხი დღე მას მხოლოდ საუზმის დროს ვხვდებოდი, როცა მთელი ოჯახი ერთად იყრიდა თავს. მოვიდოდა, ერთ ფინჯან ყავას დალევდა, ბოდიშს მოიხდიდა, თავის არგენტინელ ვნებიან მეუღლეს მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდა და საძინებლისკენ „იღებდა გეზს". ცოტა ხანში „პატარძალიც" გაქრებოდა და თან მაზლების ღიმილს გაიყოლებდა... ჟუნიოს საქციელს მისი ძმები თავისებურად მიხსნიდნენ – ცოლი რომ გყავს, ფული და სიყვარული არ უნდა მოანატროო... ჩვენს რძალს ფული ნამდვილად არ აკლია, სიყვარულის „დანაკლისს" კი, რომელსაც მთელი წელიწადი განიცდიდა, ქმარი ასე უნაზღაურებსო...

ჯონტრასტების ქალაქი

ბევრ ქვეყანაში მომიწია ყოფნა და ამდენად, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრაზილიელები საოცარი ოპტიმისტები არიან. რაც უნდა ღატაკი (თუმცა კი, ასეთი იშვიათია) და პრობლემებით გადატვირთული კაცი შეგხვდეს, სასოწარკვეთილებას ვერ შეამჩნევ – სიცოცხლე უყვართ და ხალისიანად გამოიყურებიან. სიარულიც კი განსხვავებული აქვთ – თითქოს ცეკვავენ. აქ ყველა ღიღინებს. ავტომანქანებზე, ჩვეულებრივი სიგნალის ნაცვლად, სხვადასხვა მელოდია აქვთ დამონტაჟებული. კუკარაჩასა და ლამბადას ჰანგები ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმის. ეს მუსიკალური იმპულსი ჩემზეც გადმოვიდა: მთელი დღეები სულ „ცეკვა-თამაშით" და ღიღინით ვათვალიერებდი ქალაქს. თავიდან ჟუნიოს ძმები და შვილე-

ბი დამყვებოდნენ, ბოლოს კი „სიყვარულის ლაბირინთიდან“ გამოღწეულმა ჟუნიომაც მოიცალა ჩემთვის.

რიოში (ასე უწოდებენ ბრაზილიელები რიო-დე-ჟანეიროს) 15 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. 1960 წლამდე რიო ქვეყნის დედაქალაქი იყო, დღეს კი იგი უდიდესი სამრეწველო და საპორტო ცენტრია. ქალაქში ყველაფერი ერთმანეთშია არეული და გასაოცარი კონტრასტი იქმნება. მაზუთით „გამშვენიერებულ“ საცხოვრებელ კვარტალებს შორის გაკრიალებული ბაღები შეიძლება შეგხვდეს. ულტრათანამედროვე შენობათა გვერდით ჩვენებური „ბარაკებიც“ მშვიდად დგანან. „როლს-როისებისა“ და ლიმუზინების ზღვაში საბჭოთა „მოსკვიჩი“ და „ზაპოროჟეციც“ დავლანდე. კითხვაზე, თუ საიდან მოხვდა ეს მანქანები აქ, ვერავინ მიპასუხა. უბრალოდ, ამ კითხვით რიოში მგონი ჩემს მეტი არავინ დაინტერესებულა. ქუჩები შავი და თეთრი აგურით არის მოკირწყლული — შავი და თეთრკანიანი მოსახლეობის მშვიდობიანი თანაარსებობის სიმბოლოდ.

რიოში, როგორც უკვე გითხარით, ცხოვრობენ თეთრკანიანები, ზანგები, მულატები და ღმერთმა იცის, კიდევ ვინ... ატმოსფეროც ინტერნაციონალური და მე ვიტყოდი, კეთილშობილურია.

... რიოში ძალიან ადვილად შეიძლება დაიკარგო. თუ იქაური არა ხარ, ქალაქში ორიენტირება გაგიჭირდება, მაგრამ თუ დაიკარგე, პრობლემა არ შეგექმნება — საკმარისია, ნებისმიერ გამვლელს ჰკითხო მისამართი და სანამ არ „დაგაბინავებს“, არ მოგეშვება. მახსოვს, ერთხელ მარტო დავსეირნობდი ქალაქში და როცა შინ დაბრუნება დავაპირე, გზა ამერია — ქუჩების თავსა და ბოლოს ვერ მივაგენი. ერთ მამაკაცს ვთხოვე დახმარება. სამწუხაროდ, მან გზა ვერ მიმასწავლა, მაგრამ არ მივუტოვებივარ — სხვა გამვლელს მიმართა დასახმარებლად, იმანაც არ იცოდა. შეიქმნა კომიკური სიტუაცია. ყველა გამვლელს აჩერებდნენ და მისამართს ეკითხებოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ერთი ქალბატონი, რომელმაც გასაჭირისგან გვიხსნა. იმ ქალბატონის გარდა, ჟუნიოს სახლთან კიდევ სამმა ბრაზილიელმა მიმაცილა...

რიოში ყველა კუთხიდან შეგიძლიათ დაინახოთ მაცხოვრის უზარმაზარი ქანდაკება, რომელიც ქალაქის ყველაზე მაღალ მთაზე — კორკოვადოზე დგას! იესო ქრისტეს ფართოდ გაშლილი ხელები მთელ ქალაქს იცავს და მფარველობს. მთაზე ტრამვაი ადის. ბოლო გაჩერებიდან ორასიოდე მეტრი ფეხით არის ასასვლელი. მწვერვალზე ასული ტურისტები (და ადგილობრივებიც) დაღლას არ უჩივიან. ენერგიის დახარჯვად ნამდვილად ღირს კორკოვადოდან 15 მილიონიანი ქალაქისთვის თვალის გადავლება. ოკეანის სანაპიროზე, კლდეებით გარშემორტყმულ სრუტეში „მოთავსებული“ ქალაქის პეიზაჟი საოცრად ლამაზი და მიმზიდველია. გამორიცხულია, ასეთ ქალაქში ცხოვრობდე და ცუდ გუნებაზე იყო... ვინ იცის, იქნებ, ამიტომაც არის, რომ რიოში ასე მსუბუქად და მხიარულად უყურებენ ცხოვრებას.

ჟინალამ ბრაზილიელი გავხდი...

ჟუნიოს სახლში ისეთი განცხრომით ვატარებდი დღეებს, თბილისში ოჯახი რომ არ მყოლოდა, ალბათ ბრაზილიაში დავრჩებოდი საცხოვრებლად...

როგორც კი ჟუნიოს ქუჩას მივუახლოვდებოდი, დიდ პოლიტიკურ მოღვაწესავით ან ჰოლივუდის ვარსკვლავივით, საერთო ყურადღების ცენტრში ვექცეოდი. კაცი თუ ქალი (და ბავშვებიც კი) თავს ვალდებულად თვლიდა, ჩემთან მოსულიყო და ხელი ჩამოერთმია. ზოგი კიდევ მოდიოდა და ბანანს, ანანასს ან რაიმე ხილს მჩრიდა ხელში. ერთხელ შინ ბანანების მთელი გროვა მივიტანე. დავითვალე და ორმოცდაათზე მეტი აღმოჩნდა...

— რა ხდება, ჟუნიო, ასე რატომ მხვდებიან? — გაოცება ვერ დავმალე.

— უხარიათ. ამ უბანში იშვიათად მოდიან უცხოელები... თანაც რუსი მხოლოდ ტელევიზორში თუ უნახავთ...

— მერე, მე რომ რუსი არა ვარ!..

— რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ხარ?! მთავარია, ჩემი სტუმარი ხარ... — გამოსავალი მოძებნა ჩემმა მასპინძელმა და სავახშმოდ მიმიპატიჟა.

ტრადიციულად, ბრაზილიური ოჯახები მრავალრიცხოვანია. ჟუნიოსთან, 12-15 ადამიანი იკრიბებოდა სასაუზმოდ. თითქოს ძნელი უნდა ყოფილიყო ამხელა ოჯახის გამოკვება, მაგრამ რიოში საკვები პროდუქტი ძალიან იაფია — განსაკუთრებით ხილი, რომელიც წელიწადში სამჯერაც კი მოდის. კაფეში თუ რესტორანში კერძების

უმეტესობაც ხილისგან არის დამზადებული. ჩვეულებრივი ამბავია ხილის კატლეტი, შემწვარი ბანანი და თხილის ფაფა... ბრაზილია ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ქვეყანაა მსოფლიოში.

გაგიჟებას გიჯობს, ქალი გაიცნო...

რიოში მართლაც შესანიშნავი პლაჟებია, თითქმის 40 კილომეტრზე გადაჭიმული. ქვიშა ყვითელი და ხავერდივით მსუბუქია. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი საპორტოა, წყალი ანკარაა და ისეთი გამჭვირვალე, რომ ფსკერის დანახვაც კი შეიძლება. სპორტული მოედნებიც მრავლად არის – აქ განსაკუთრებით, ფრენბურთის თამაში უყვართ. არის ერთი ყიჟინა და ემოციების გადმოფრქვევა.

პლაჟები მუდამ ხალხით არის სავსე. შეიძლება, ისიც იფიქროთ, ამ ხალხს სხვა საქმე არა აქვსო... რიოელებს პლაჟის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. აქ ნამდვილი, ბუნებრივი „პოდიუმია“ – ოღონდ მარტო მანეკენებისთვის კი არა, ყველასთვის. გოგონები წელს ზემოთ შიშვლები დადიან. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, როცა უამრავმა გრძელფეხება, ბრინჯაოსფერმა ლამაზმანმა ნამდვილი „გამოცდა“ მომიწყო შიშველი მკერდის „დემონსტრირებით“...

– რა გჭირს, აკაკუს, რა თვალებს აცეცებ? – მრავალმნიშვნელოვნად მკითხა ჟუნიომ.

– სად მომიყვანე, ჟუნიო, გინდა, რომ გავგიჟდე?.. წავიდეთ ახლავე აქედან!.. – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოვთქვი და ჩაცმა დავიწყე.

– გაგიჟებას გიჯობს, ქალი გაიცნო და საქმეს მიხედო... არ გაინტერესებს, როგორები არიან ბრაზილიელი ანგელოზები?

– კი მაგრამ, ვინ ამოვარჩიო, ან როგორ ამოვარჩიო? – ყველა ერთმანეთზე უკეთესია... – ახლა კი მართლაც ფეტვივით დავიბენი.

– ეე, ბიჭო, ვერ გაიგე, რომ ბურთი და მოედანი შენს ხელთაა. ბრაზილიაში ნამდვილ მამაკაცს დიდი ფასი აქვს. თუ ქალის არჩევა გაგიჭირდეს, შენც აღექი და ვინც კი მოგეწონება, შეგიძლია პაემანი ყველას დაუნიშნო (ოღონდ დრო არ აგერიოს, რამდენიმე ერთდროულად არ დაიბარო, თორემ შენც გაგწეწავენ და ერთმანეთსაც!)... შენი „ბრაზილიური პრობლემაც“ გადაიჭრება და შენს ქალაქშიც მდიდარი შთაბეჭდილებებით დახუნძლული დაბრუნდები! გაიგე? აღარ შემაწუხო, მიხედე შენს საქმეს!.. – ეს მითხრა, გვერდზე მიმავალ ქერა ლამაზმანს „აეკიდა“ და საღამომდე აღარც გამოჩენილა...

ერთი სიტყვით, რომანტიკული ფლირტი რიოს პლაჟზე ჩვეულებრივი მოვლენაა...

... იმ დღის შემდეგ პლაჟი ჩემი „დღის რეჟიმის“ აუცილებელი ატრიბუტი გახდა... დროდადრო ჟუნიოს სიტყვები მახსენდებოდა: „მინდა მოვკვდე პლაჟზე. იმიტომ, რომ პლაჟი მილიონერსა და მათხოვარს თანასწორ მდგომარეობაში აყენებს. იმიტომ, რომ დედამიწაზე არ მეგულება ადგილი, სადაც ადამიანი ასეთი თავისუფალი და ბედნიერია...“

რიოს მინი-კარნავალები... პრეზერვატივებით

რიო-დე-ჟანეიროს საყოველთაოდ ცნობილი კარნავალი საგანგებო თემაა. ეს გრანდიოზული ზეიმი ოთხი დღე გრძელდება, მაგრამ ქალაქი მთელი ორი კვირა არ იძინებს. ზოგ უბანში ზეიმი მთელ თვესაც კი გრძელდება. მაგრამ ვინც კარნავალს არ დასწრებია, მას უფლებაც არა აქვს მის შესახებ დაწეროს ორ-სამ წინადადებაზე მეტი (მე ამ მხრივ ყველა წესი დავიცავი).

სამაგიეროდ, რიოში მოხვედრილი ადამიანი ვერაფრით ასცდება „მინი-კარნავალებს“, რომელიც აქ ძალიან ხშირად იმართება. ფაქტობრივად, ეს საცეკვაო მოედნებია, სადაც უამრავი ახალგაზრდა იკრიბება. უამრავ სასმელს სვამენ (რა თქმა უნდა, ალკოჰოლურსაც), პოლიციაც იქვე, ტრიალებს, მაგრამ ძირითადად უსაქმურად დაყიალობენ. დარწმუნებული ვარ, მათაც დიდი სურვილი აქვთ, დილამდე იცეკვონ, მაგრამ „მუნდირის ღირსება“ ამის საშუალებას არ აძლევთ.

ბრაზილიელებმა რაც იციან და რაც ყველაზე კარგად გამოსდით, ეს ცეკვაა. ცეკვავენ ენერგიულად, დიდხანს და თავდავიწყებით. განსაკუთრებით ქალები გამოირჩევიან, ნახევრად შიშვლები – სავსე მკერდითა და მკვრივი დუნდულების თავბრუდამხვევი რიტმული მოძრაობით მამაკაცებს თავგზას ურევენ...

ეს ამბავი ყველაზე კარგად გადამყიდველებმა იციან (რომლებიც რიოშიც მრავლად აღმოვაჩინე) და ასეთი საღამოების დროს უამრავ ნაირ-ნაირ პრეზერვატივს ასაღებენ...

ტყუილად როდი ოცნებობდა ოსტაპ ბენდერი რიოში მოგზაურობაზე. მისგან განსხვავებით, მე ნამდვილად გამიმართლა...

2000 წელი

ქალი, რომელმაც უამრავ გოგონას ოცნება წაართვა

ჯენიფერ ენისტონი კვირაში 750 ათას დოლარს შოულობს, ლამაზია და მილიონობით ქალი შურით შესცქერის – ის ხომ ბრედ პიტის ცოლია. როგორ შეძლო ენისტონმა მსოფლიოს მილიონობით ტელემაყურებლის სიყვარულის დამსახურება და როგორ ახერხებს ამ წარმატების შენარჩუნებას?!

მას ბევრი თავისი თანატოლი გოგონას მსგავსი სასტარტო პირობები ჰქონდა და ამიტომაც, ყველას შეუძლია ჰქონდეს იმის იმედი, რომ ენისტონის მსგავსად, ბედი მასაც დაასაჩუქრებს კონკიას მსგავსი ცხოვრებისეული სიუჟეტით.

ჯენიფერის დედა მოდელი იყო, მამა კი მოქმედი მსახიობი. ბაბუამისს საკმაოდ ჟღერადი გვარი ჰქონდა – ანასტასაკისი. წინაპრების სამშობლოში – საბერძნეთში გოგონამ ცხოვრების პირველი წელი გაატარა, შემდეგ ის ამერიკაში მოხვდა და იმ ქვეყნისთვის უფრო შესაფერისი გვარი – ენისტონი აირჩია. როცა გოგონა 9 წლის იყო, მშობლები ერთმანეთს გაეყარნენ. ჯენიფერისთვის ეს მძიმე დარტყმა აღმოჩნდა. ის შეგნებულად ცუდად იქცეოდა იმ იმედით, რომ მშობლებს სკოლაში გამოიძახებდნენ და იქ ისინი შერიგდებოდნენ... რამდენიმე წელიწადში მამამისი შორს გაემგზავრა და შვილთან ურთიერთობა თითქმის შეწყვიტა. მარტო დარჩენილმა დედამ კი, მთელი ყურადღება ქალიშვილის აღზრდაზე გადაიტანა და ეს ძირითადად, იმაში გამოიხატებოდა, რომ დედის დაჟინებული რჩევით, გოგონა სახლიდან გასვლის წინ, თვალში საცემ, ვულგარულ მაკიაჟს იკეთებდა. ჯენიფერის დედა მანეკენი იყო და შვილს „სახის მოწესრიგებას“ ასწავლიდა: „შენნაირი პატარა თვალების პატრონმა მკვეთრად უნდა შეიღებოს თვალი, ტუჩებზე პომადა სქლად წაისვას, რომ ცხვირიდან ყურადღება სახის სხვა ნაწილებზე გადაიტანოს“. მოკლედ, ჯენიფერი იმ დროს საკმაოდ დაკომპლექსებული გოგონა იყო. „მიმაჩნდა – იხსენებს ენისტონი, – რომ კოსმეტიკის გარეშე კარგად არ გამოვიყურებოდი“. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დაარწმუნეს ჯენიფერი თაყვანისმცემლებმა, რომ ასეთი მაკიაჟის გაკეთება საჭირო არ იყო. „როცა სკოლის დროინდელ ფოტოებს ვათვალიერებ, მიკვირს, ქუჩაში ასე როგორ მიშვებდნენ: მე ხომ საშინლად გამოვიყურებოდი“.

ჯენიფერმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა თავისი ბედი კარგად წარემართა, ასეთი ადამიანების ცქერა კი ყოველთვის სასიამოვნოა. ჯენიფერი ბავშვობიდან დადიოდა დრამატულ წრეზე, ხოლო 14 წლის ასაკში მსახიობის ოსტატობის დასაუფლებლად ნიუ-იორკის სკოლაში ჩაბარა. სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორც დამწყებ მსახიობს შეეფერებოდა, ოფიციანტად დაიწყო მუშაობა. მისი სამსახიობო კარიერა იმ დროს მეორეხარისხოვან პიესებში შესრულებული მცირე როლებით შემოიფარგლებოდა. იმ დროს ჯენიფერი სქელი, მოუქნელი იყო და მოგვიანებით გავრცელებული, მოარული ხმების თანახმად, სამსახურიდან იმისთვის დაითხოვეს, რომ სასაუზმეში ოფიციანტად მუშაობისას, შემთხვევით ყველიანი და ხახვიანი დიდი ბუტერბროდი ჩაუგდო კლიენტს კალთაში...

ნიუ-იორკში ამგვარად გატარებული რამდენიმე წლის შემდეგ, ჯენიფერი ლოს-ანჯელესში გადავიდა საცხოვრებლად. იქ მან ერთ-ერთი აგენტი დაარწმუნა, რომ მისი სამსახიობო კარიერით დაინტერესებულიყო. აგენტი ერთი პირობით დათანხმდა – ჯენიფერს წონაში დაახლოებით 14 კილოგრამი უნდა დაეკლო. „იმ მომენტამდე, – იხსენებს ენისტონი, – ვერც ვიეჭვებდი, ასეთი მსუქანი თუ ვიყავი. მას შემდეგ ზიზღის გრძნობა მეუფლება, როცა ადამიანებს წონის მიხედვით აფასებენ“. ასე იყო თუ ისე, ჯენიფერმა ეს შანსი გამოიყენა, შიმშილობის ფასად, სასურველ პარამეტრებში ჩაჯდა და ჯილდოდ, ნაკლებად პოპულარულ სერიალებში და არცთუ ისე მაღალი კლასის საშინელებათა ფილმ „ლაპრეკონში“ მიიღო როლები.

1994 წელს ტელეკომპანია NBC-ს ახალი სერიალისთვის – „მეგობრები“ მსახიობების შერჩევა დაიწყო. სერიალის იდეა ძალიან მარტივი

იყო: ერთნაირი რაოდენობის გოგონები და ვაჟები ძალიან კარგი მეგობრები არიან, უთავბოლოდ კამათობენ, რიგდებიან, ერთმანეთი უყვარდებათ და ერთმანეთს შორდებიან. ჯენიფერი სინჯების შემდეგ, ჭკვიანი გოგონას — მონიკას როლზე აიყვანეს, მაგრამ მან შეძლო პროდიუსერების დარწმუნება, რომ მისთვის თავქარიანი, ოდნავ ბრიყვი, თუმცა მომხიბლავი რეიჩელის როლი მიეცათ. 1994 წლის 5 სექტემბერს ეთერში პირველი სერია გავიდა და იქიდან მოყოლებული, სერიალი დღემდე ეკრანებთან 26 მილიონ მაყურებელს უყრის თავს. სერიალში მონაწილეობდნენ ჯულია რობერტსი, ჟან-კლოდ ვან დამი, რობინ უილიამსი და ჰელენ ჰანტი. „მეგობრები“ საკულტო კომედიური სერიალი გახდა და უამრავი სატელევიზიო პრემია მოიპოვა — მათ შორის „ემი“ და „ოქროს გლობუსი“. „მეგობრების“ მსახიობების ჰონორარები თითოეული სერიისთვის 35 ათასი დოლარით დაიწყო, შემდეგ 100 ათასი გახდა და ბოლოს, 750 ათას დოლარს მიაღწია. გოგო-ბიჭები ყველასთვის საყვარელი გმირები გახდნენ, მათ მსგავს მეგობრებზე ყველა წესიერი ამერიკელი ახალგაზრდა ოცნებობდა. საპარიკმახეროები წალეკეს ჯენიფერის მსგავსი ვარცხნილობის მსურველმა გოგონებმა, ხოლო მისი წონის დაკლებისა თუ მცირეოდენი მომატების საკითხი საყოველთაო განხილვის თემა ხდებოდა. მას შემდეგ ჯენიფერს ორი სასაუბრო თემა ეზიზღება: რამდენს იწონის და რატომ აქვს ასეთი ლამაზი თმა.

ამჟამად ყველა შესაძლო კითხვას, კიდევ რამდენიმე დაემატა: ვისგან არის ორსულად რეიჩელი? და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თავისი გმირის მსგავსად, ჯენიფერიც მზად არის, ქვეყნიერებას პატარა პიტი მოუვლინოს? მათ, ვინც საქმის კურსში არ არის, შევახსენებთ, რომ შარშანდელი წლის სენსაციად კინოს სამყაროს ორი აღიარებული სექსსიმბოლოს — ჯენიფერ ენისტონისა და ბრედ პიტის ქორწინების მდიდრული ცერემონია იქცა. ქორწილი და სახელგანთქმული მასპინძლებისა და არანაკლებ სახელგანთქმული სტუმრების მომაბეზრებელი პაპარაცებისგან დაცვა ერთი მილიონი დოლარი დაჯდა. ზღაპრულ ცერემონიას მხოლოდ გვინეტ პელტროუ და ჯენიფერის დედა არ ესწრებოდნენ.

გვინეტ პელტროუმ ვერაფრით აპატია თავის ყოფილ შეყვარებულს ბრედ პიტს ის, რომ მასთან განშორების შემდეგ, თავის დახრჩობის ნაცვლად, ცოლი მოიყვანა.

გვინეტმა და ბრედმა ერთმანეთი ფილმ „შვიდის“ გადაღების დროს გაიცნეს. გვინეტის გმირი ფილმში თავს კარგავს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რეალურ ცხოვრებაში კი, პელტროუმ თავი „დაკარგა“ და უგონოდ შეუყვარდა ბრედ პიტი. ეს რომანი ორ წელიწადში დასრულდა. მიუხედავად პრესაში გვინეტის განცხადებისა, რომ ჯენიფერი პიტის გულში მის ადგილს ვერაფრით დაიკავებდა, ენისტონმა ეს მაინც შეძლო.

რაც შეეხება დედას, ჯენიფერს მასთან საკმაოდ დაძაბული ურთ-



სერიალ „მეგობრების“ პერსონაჟები



მამასთან, სერიალ „ჩვენი ცხოვრების ღღეებ-ის“ პერსონაჟთან, ჯონ ენისტონთან ერთად

იერთობა აქვს. ბოლო ოთხი წლის მანძილზე ისინი არ ელაპარაკებიან ერთმანეთს (დედა რეგულარულად ანთხევს ბოღმას ჯენიფერზე პრესაში და არ აქვს სურვილი, გაიცნოს თავისი შვილის ქმარი). „ეს ჩემი მუდმივი ტკივილია, — ამბობს ჯენიფერი, — მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ოდესმე ჩვენ ერთმანეთს წყენას ვაპატიებთ“.

მიუხედავად ყველაფრისა, ჯენიფერსა და პიტს უზომოდ უყვართ ერთმანეთი და ბევერლი-ჰილზზე, თავიანთ მდიდრულ სახლში განმარტოება ყველაფერს ურჩევნიათ. ბრედი გამოტყდა, რომ ძალიან მოსწონს სამაგალითო მეოჯახისა და ერთგული ქმრის როლი, ამის გამო, მან წვეულებებზე სიარულიც მიატოვა და საქმისგან თავისუფალ საღამოებს საყვარელი მეუღლის გვერდით ატარებს ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ წყვილი უახლოეს მომავალში ოჯახში მატებას უარყოფს, იმასაც აღნიშნავს, რომ ამ საკითხს მომავალში სერიოზულად მიუდგებიან. „ყოველთვის ვოცნებობდი ორ ან სამ შვილზე, — ამბობს ჯენიფერი, — მაგრამ ბრედს აუცილებლად შვიდი ბავშვი უნდა. მას მოსწონს დიდი ოჯახი. თუმცა, ცხოვრება გვიჩვენებს“. ჯერჯერობით კი, ჯენიფერმა ტელევიზიასთან 44 მილიონიანი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და „დაორსულებას ვერ შეძლებს, რადგან ძალიან დაკავებულია“, თანაც ბრედი „ჯერ კიდევ ოდნავ ეგოისტია“.

პოპულარობა მეუღლეებს თავში არა აქვთ ავარდნილი. პიტის სიტყვებით, „ცხოვრებაში სამი სატყუარა არსებობს: სილამაზე, სიმდიდრე და დიდება. მე ყველაფერს ვაკეთებ, რათა მათ თავი ავარიდო“. ენისტონი კი გრძნობს, რომ სახელის მოხვეჭამ მას ახალგაზრდა გოგონების წინაშე პასუხისმგებლობა დააკისრა: ისინი ხომ მუდამ ცდილობენ, ჯენიფერს დაემსგავსონ. მან საკუთარი ინტერნეტ-საიტი შექმნა და მისი მეშვეობით ცდილობს, აუხსნას გოგონებს, რომ კინოეკრანიდან და ჟურნალებიდან მომზირალი ლამაზი, იდეალური სახეები, ვიზაჟისტების, სტილისტებისა და ბევრი სხვა ადამიანის მრავალსაათიანი შრომის შედეგია. „შეუძლებელია, ყოველთვის ისე იდეალურად გამოიყურებოდე, როგორც კინოში, — ამბობს მსახიობი. — ყოველთვის ლამაზი ვერ იქნები, ზოგიერთ გოგონას კი, ამის გამო კომპლექსები ტანჯავს. ამაზე ყურადღებას ნუ გაამახვილებთ და ეცადეთ, ბუნებრივები იყოთ“.

გოგონებისთვის ცხოვრების გასაადვილებლად, ჯენიფერი აღიარებს, რომ არ მოსწონს თავისი ცხვირი და არ არის კმაყოფილი თმით, რადგან მუდამ უხდება მისი გასწორება (ჯენიფერს ბუნებრივად ხვეული თმა აქვს).

ამბობენ, რომ „მეგობრებისთვის“ ეს ბოლო სეზონი იქნება. ჯენიფერი ამ თემაზე საუბრის დროს ცრემლებს ვერ იკავებს. „ამის გამო გული მტკივა, — ამბობს იგი, — ჩვენ ძალიან ბევრი რამ გადავიტანეთ ერთად და აი, ახლა უნდა დავშორდეთ...“ მიუხედავად იმისა, რომ ენისტონი რეგულარულად მონაწილეობს სრულმეტრაჟიან ფილმებში, რეიჩელზე უფრო დასამახსოვრებელი სახის შექმნა მან ჯერ ვერ მოახერხა, მაგრამ იმედს არ კარგავს. გარდა ამისა, ქალს სხვა ოცნებებიც აქვს: „ყოველთვის მსურდა კინოში მეთამაშა, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს ერთადერთი რამ იყო, რისი გაკეთებაც შემეძლო. ახლა კი, სიამოვნებით გავხდებოდი ანტიკვარული მაღაზიის ან რესტორნის დიასახლისი. და კიდევ, ყოველთვის მომწონდა ჩემს როლებში რაიმე სიახლის შეტანა, იქნებ ოდესმე გავბედო და საკუთარი თავი რეჟისორის რანგშიც გამოვცადო“.

ოდესღაც ჯენიფერმა წარმატება თვითმფრინავიდან გადმოხტომას შეადარა: წინასწარ არასოდეს იცი, გაიხსნება თუ არა პარაშუტი. ენისტონმა გარისკა, მოვლენების შემდგომი განვითარება კი, თქვენთვის უკვე ცნობილია.

■

დასაწყისი იხ. „გზა“, №44-49

ნუგო ბაშელი

ოცნება

— ქიდან წამიყვანე, რა, იქ ყველანი ბოროტები არიან! — გოგონა ასლუკუნდა, ცრემლით აევსო თვალები.

— დამშვიდდი, წაგიყვან, აუცილებლად წაგიყვან, მე და შენ ორნი ვიცხოვრებთ... არა, სამნი! დედაჩემსაც წამოვიყვან და სადმე, რომელიმე მყუდრო ქალაქში ვიცხოვრებთ... მე ვიმუშავებ, შენ კი ისწავლი, კარგად ისწავლი... დიდი გოგო გაიზრდები, სასახელო გოგო. დედაჩემს ძალიან ეყვარები, იცი, რა კარგი დედა მყავს?! ყველაზე კეთილი დედაა ქვეყანაზე!.. — თითქმის ბოდავდა რეზო, პატარას გულში მაგრად იკრავდა და შეშლილივით იცქირებოდა, — ოღონდ, მცირე ხნით უნდა მაცალო, სანამ საავადმყოფოდან გამომწერენ. კარგად უნდა მოიქცე, საჭმელიც ბევრი უნდა ჭამო, თორემ აბა, ნახე, როგორი გამხდარი ხარ?!

— არ მომატყუებ? — ცრემლებს იმშრალებდა პატარა, — მართლა წამიყვან?

— რა თქმა უნდა!.. განა ვგავარ მატყუარას?

ნინიკომ თავი გააქნია და გაიღიმა.

— გინდა დაგხატო? — რეზოს თვითონვე გაუხარდა, რომ ასეთი აზრი მოუვიდა.

— შენ იცი ხატვა?

— მერედა როგორი! აბა, მომაწოდე ფურცელი და ფანქარი.

ნინიკომ წამსვე მიუცუნცულა, ისევ საწოლზე წამოსკუპდა და გაბრწყინებული თვალებით მიაჩერდა რეზოს.

რამდენიმე შტრიხის გავლება ძლივს მოასწრო, რომ ქალბატონი ელენე შემოვიდა. ნინიკო მოიღუშა.

— აი, თურმე სად ყოფილხარ! მე კი ამდენი ხანია დაგეძებ! რატომ გამოიპარე? წამოდი, ჩვენი წასვლის დროა, რეზო ბიძიას დასვენება სჭირდება.

ნინიკო უსიტყვოდ წამოდგა და ქალბატონი ელენესკენ გაემართა.

— ცოტა ხანი დაიცადეთ, თუ შეიძლება, დავხატავ და მერე წაიყვანეთ.

— როგორც გენებოთ.

— არ მინდა! — ცრემლნარევი ხმით ჩაიჩურჩულა ნინიკომ და პალატიდან გავიდა.

— მაპატიეთ... კარგად ბრძანდებოდეთ.

ქალბატონი ელენეც გავიდა...

რეზოს გულზე რაღაც ლოდივით აწვა. თავს დამნაშავედ თვლიდა... რამ მიაცემინა ნინიკოსთვის ასეთი დაპირება?! და ეწერა კი ამ დაპირებას ოდესმე ასრულება?!.

საშინლად დაღალა დღევანდელმა დღემ, წუხანდელმა უძილო ღამემაც თავისი გაიტანა... მალე ჩაეძინა...

ნინიკო ნახა სიზმარში... მხრებზე ესვა და ყაყაჩოებით სისხლისფრად შეღებილ მინდორში გარბოდა. გარბოდა და შეუბრალებლად თელავდა ყაყაჩოებს, მაგრამ გათეული ყვავილები მაშინვე ფეხზე დგებოდა... ნინიკო კისკისებდა. ყაყაჩოსფერი იყო მისი კაბაც... შორს გზა მოჩანდა, გზაზე მანქანა იდგა, მათი თეთრი მანქანა... მანქანასთან დედა და მამა... უცებ გაჩერდა. მოაგონდა, მამამ რომ მიატოვა... ისევ გაიქცა, სურდა სახეში შეეფურთხებინა მამისთვის, მაგრამ როცა მიირბინა, მამა აღარსად ჩანდა, აღარც მანქანა იდგა სადმე, დედა კი თვალცრემლიანი შეჰყურებდა... ნინიკო კვლავ უდარდელად კისკისებდა...

გათენდა, საკმაოდ გრილოდა. გარეთ გამოვიდა. სულს უხუთავდა პალატის ოთხი კედელი. დეიდა ნუცას ალერსიანი სახეც ყელში ამოუვიდა...

— ასე ჩაუცმელი რატომ ხართ გარეთ? გაცივდებით.

ლამარა იყო. გაეხარდა მისი დანახვა. თვითონაც სურდა მასთან საუბარი.

— გაწუხებთ რამე? თვალები სულ ჩაგიშავდათ, გაფითრებული ხართ.

— თუ შეიძლება, გამწერეთ...

— შინ მიგეჩქარებათ?

— კი...

ლამარას სახეზე ოდნავ შესამჩნევმა ტკივილმა გადაურბინა. თვალები გაუცივდა.

— მე შემიძლია დღესვე გაგწეროთ, მაგრამ არ გირჩევთ. ჯერ საკმაოდ სუსტად ხართ, — ცივი იყო მისი ხმაც, — შედით შიგნით, ან ჩაიცვით რამე, — შეტრიალდა და წასვლა დააპირა.

— ქალბატონო ლამარა!

— დიახ! — შემობრუნდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— არ ვიცი, რით დავიწყო... — თვითონ რეზოსაც ეუცხოვა საკუთარი ხმა.

ლამარამ რაღაცის თქმა დააპირა.

— ოღონდ არ შემაწყვეტინოთ... ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ახლობელი, ნუ... მეგობარი არასოდეს მყოლია. ყველაფერი რაღაც უაზროდ, უფერულად მიდიოდა... ვსწავლობ-

დი, ოქროს მედალზეც კი დავამთავრე სკოლა, უმაღლესშიც ჩავაბარე. მერე ისე მოხდა, რომ კაცი დავჭერი, ან შეიძლება, მოვკალი კიდეც... ვინც მიყვარდა, სხვასთან გაიქცა, — მწარედ ჩაიცინა, — ჩემი ბრალია, არავინ არ უნდა გააღმერთო, სხვანაირად გაგიგებენ! მართალი იყო კოლა...

— ვინ?

რეზომ დაბნეულად ახედა, ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდნენ, შემდეგ კვლავ დახარა თავი და განაგრძო:

— მას კი ვჭირდები! ვატყობ, რომ ძალიან ვჭირდები... მეც მჭირდება! მე დედა მყავს, ძალიან უყვარს ბავშვები. არ გაგვიჭირდება მისი აღზრდა...

— ვისი აღზრდა?

— რა თქვით?

— ვის სჭირდებით?

— ნინიკოს. როგორ ფიქრობთ, ბავშვთა სახლიდან ბავშვს გამომატანენ?

ლამარას თვალები გაუბრწყინდა, ნესტოები აუცახცახდა. ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, შემდეგ ძალა მოიკრიბა და ჩვეული სიდინჯით წარმოთქვა:

— კი, მაგრამ თქვენ მხოლოდ ოცდაერთი წლის ხართ, ყველაფერი წინა გაქვთ. ერთი-ორი წელი გავა, ვინმე სხვას შეიყვარებთ და დღევანდელი თქვენი ტანჯვა სასაცილოდ მოგეჩვენებათ... ბავშვის აღზრდა ასე იოლია?!

— გეყოფათ! — მკვახედ შეაწყვეტინა. მძიმედ სუნთქავდა, შუბლი ოფლის წვეთებს დაეცვარა.

გაჩუმდნენ... ლამარასაც დაეხარა თვალები და სახეზე ოდნავ წამოწითლებულიყო.

— მაპატიეთ, — სიჩუმე დაარღვია რეზომ, — ეს ბავშვი რომ არ წავიყვანო, არ ვიცი... ცოლს კი, ნუ გეშინიათ, არასოდეს მოვიყვან!.. ქალბატონო ლამარა, გევედრებით, მიშუამდგომლეთ ქალბატონ ელენესთან... არასოდეს დაგივიწყებთ სიკეთეს!

რეზომ აცახცახებული ხელით შეაღო კაბინეტის კარი. ოთახში საკმაოდ ბნელოდა. ლამარა და ქალბატონი ელენე პირისპირ ისხდნენ. ორივეს მოღუშული სახე ჰქონდა.

— გა-ამარჯობათ, — ენა დაება რეზოს და მოუთმენელი, შეშფოთებული მზერა მიაპყრო მათ. ლამარამ თვალი აარიდა. საუბრის დაწყებას არც ერთი არ ჩქარობდა.

— ქალბატონმა ლამარამ გამაცნო თქვენი სურვილი... გაოცებული ვარ!.. აი, უკვე სამოც წელს გადავაბიჯე და მსგავსი რამ არც გამიგონია! ქალი რომ იყოთ, კიდევ ჰო... მაგრამ ოცდაერთი წლის ყმაწვილი?! მერწმუნეთ, ბავშვის აღზრდა ძალზე რთულია, გაცილებით რთული, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ!

რეზო გაფითრდა. თვალები ჩაუქრა. ასი წლის მოხუცს დაემსგავსა. მხრებშიც კი მოიხარა. ლამარას მკვდრისფერი დაედო.

— ვწუხვარ, მაგრამ ყველა კანონი თქვენს წინააღმდეგაა, — განაგრძობდა ქალბატონი ელენე, — რამდენადაც ვიცი, არსად მუშაობთ ჯერჯერობით, მარტოც არ ცხოვრობთ, დედის თანხმობაა საჭირო, თანაც ნინიკო შვილად კი არა, ალბათ უფრო დად შეგეფერებათ. არ მსურს ყალბი დაპირებებით დაგაიმედოთ, პირდაპირ გეტყვით, ვეჭვობ, რომ ამ საქმიდან რაიმე გამოვიდეს და ალბათ, უკეთესიც იქნება თქვენთვის. ნინიკოს ძალზე მძიმე ხასიათი აქვს, გაგტანჯავთ და საერთოდ, ბავშვის აყვანა, უკვე ოჯახის შექმნაა! დრო გავა, ცოლს მოიყვანთ, საკუთარი შვილებიც გეყოლებათ და ნინიკოს ადგილი თქვენს გულში აღარ დარჩება...

რეზოს თვალებში ბოროტმა ნაპერწკალმა გაკვესა. მხრებში გაიმართა.

— მართალი ბრძანდებით! აბა, ჩემგან რა მამა უნდა დადგეს, ოცდაერთი წლის ღლაპი ვარ, მე თვითონ მჭირდება მამა!.. ნინიკო დად უფრო შემეფერება, არა?! ან, უფრო სწორედ საყვარლად, ჰა?! არა, ზოგმა შეიძლება იფიქროს, მისი გაუპატიურება სურს და იმისთვის მიჰყავსო! ასეც ხომ ხდება, ზოგი ბოროტი ბიძია ბავშვებსაც კი აუპატიურებს! — გიჟივით გადაიხარხარა, — ბოდიშით, კარგად ბრძანდებოდეთ...

სწრაფად გავიდა. ლამარა გაქვავებული იჯდა, აღარც სუნთქავდა, შემდეგ შეშინებული მზერა მიაპყრო კარს, წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

— ახალგაზრდაა, ყველაფერი დაავიწყდება, არა?! და რომ არ დაავიწყდეს? რა, ცხოვრებაში ცოტა რამ ხდება, რაც არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება?!.. ერთი, ათი-თხუთმეტი წელი რომ ჩამომაყრევინა მხრებიდან, ცხრა მთას იქით გავყვებოდი...

— ათი-თხუთმეტი წელი რომ ჩამოგაყრევინათ, შეიძლება ზედაც არ შეგეხედათ! — ფიქრებში წასულმა ჩაილაპარაკა ქალბატონმა ელენემ.

— ვფიქრობ, კანონი ვერაფერს მონახავს ჩემს საწინააღმდეგოდ. სამუშაოც მაქვს, ბინაც, ქალიც ვარ და თანაც არც ისე ახალგაზრდა...

— ნინიკო გსურთ, აიყვანოთ!

— დიახ!

— რატომ?

— როგორ თუ რატომ?! მსურს, შვილი მყავდეს!

— დღეს მოგინდათ? აქამდე არ გსურდათ?.. თვითონ დაფიქრდით, რეზო ძალზე ახალგაზრდაა თქვენთვის!

ლამარამ მრისხანე მზერა სტყორცნა. ქალბატონი ელენე სახეზე აილეწა, თვალები დახარა...

— კარგით, მოიტანეთ საჭირო საბუთები...

მატარებელი დიდუბის ვაგზალს მიადგა. გული მტკივნეულად შეუტოკდა.

შემოდგომა იდგა, თუმ-

ცა, გარეთ ზაფხულივით თბილოდა. ღრმად ჩაისუნთქა მშობლიური ქალაქის ჰაერი. მოეჩვენა, თითქოს მთელი საუკუნე არ ყოფილა აქ...

ტაქსი გააჩერა. მისამართი უთხრა...

მისი სახლიც გამოჩნდა. ერთხანს არ გადმოდიოდა გაჩერებული ტაქსიდან, შემდეგ სწრაფი მოძრაობით მძღოლს ფული მიაწოდა და სხარტად გადმოხტა.

ნელა შევიდა სადარბაზოში... აი, მისი ბინის კარიც... ხელი ზარის ღილაკისკენ წაიღო. საფეთქლები ძალუმად უცემდა...

აწკრიალდა ზარი...

კარს არავინ აღებდა...

დააკაკუნა...

შიგნით სამარისებური სიჩუმე იდგა...

მეზობლის კარი გაიღო.

— უი, რეზო!..

— ციცო დეიდა, დედაჩემი სად არის, ხომ არ იცით?

ქალმა ერთხანს ხმა ვერ ამოიღო. ნიკაპი უკანკალებდა და ცრემლები უნამავდა თვალებს.

— დედაშენი, შვილო, შარშან დავასაფლავეთ...

ციცო დეიდა შევიდა, რაღაც გამოიტანა და რეზოს გაუწოდა.

ბინის გასაღები იყო...

მიცვალებულთა სიაში დიდხანს ეძება დედა...

ძლივს მიაგნეს საფლავს...

მარმარილოსა და გრანიტის საფლავებს შორის პატარა მიწაყრილი და მასზე ირიბად ჩარჭობილი ჯოხი თუ მიუთითებდა, რომ აქაც ვიღაცის ნეშტი იყო მიწას მიბარებული...

ჯოხზე პატარა დაფა... დაფაზე კი — ნომერი...

ჩაიმუხლა. მიწას უაზრო თვალებით დააშტერდა. შემდეგ ხელი ნელა წაიღო.

ძლივს წამოდგა. ხელ-ფეხს ვეღარ გრძნობდა, ერთიანად გაჰყინვოდა და დაჰბუჟებოდა. სხეულში საშინელ მტვრევას გრძნობდა. ნელა მიდიოდა. უსიცოცხლო მზერა შორეული ცის კიდურისკენ მიეპყრო...

ეკლესიის ზარების რეკვა შემოესმა. ანგარიშმიუცემლად გასწია იქით...

ტაძარში ბნელოდა. მხოლოდ რამდენიმე სანთელი ებრძოდა სიბნელეს. მლოცველიც არავინ ჩანდა...

ფეხშიშველი გოგონა მოაგონდა... გოგონას ხატებამ თითქოს გამოაღვიძა მისი აზროვნება. ათასი ფიქრი და სახე აირია მის გონებაში, ყველაფერი ერთმანეთში აიზილა...

ღვთისმშობლის ხატს მოჰკრა თვალი და...

დედა...

ნელ-ნელა დალაგდა აზრები...

მას დედა აღარ ჰყავდა...

და არც აღარავინ...

ხატის წინ დაემხო და შუბლი ცივ იატაკს შეახო. მძიმედ სუნთქავდა. შიგნით ყველაფერი ეწვოდა...

გონებაში ისევ აირივნენ სახეები...

მხარზე ხელის შეხება იგრძნო...

გასწორდა.

მის წინ მღვდელი იდგა... გრძელი წვერით, თხელი ცხვირით, ღრმა თვალებით... ძველი მხატვრების მიერ დახატულ წამებულს ჰგავდა მოძღვარი...

ერთხანს უაზროდ უცქირა რეზომ... რა ნაცნობი თვალები ჰქონდა მღვდელს, სად ენახა, ნეტავ?!..

— მე პატიება მინდა გთხოვო, რეზო...

მისი ხმა... და საშინელ მოგონებათა მწკრივმა გაირბინა გონებაში: დასისხლიანებული დანა, კვნესა, შეშინებული თვალები, სწორედ ეს თვალები, სისხლის გუბე...

ძლივს წამოდგა ფეხზე... ყურებს არ უჯერებდა... ჯგუფელი პატიებას სთხოვდა!.. ის ჯგუფელი, რომლის ირონიამაც გაუმართლებელ დანაშაულამდე მიიყვანა... იმის მაგივრად, რომ თვითონ დაეკოცნა მისთვის მუხლები, პატიებას ის სთხოვდა!..

რეზოს სხეულში ყველაფერი აუკანკალდა. ყელში რაღაც მოაწვა და დახრჩობა დაუპირა. პირი გააღო, რაღაცის თქმა დააპირა, ალბათ, თვითონაც პატიება უნდოდა ეთხოვა, მაგრამ ხმა არ დაემორჩილა...

— მე დედა მომიკვდა... — წაიჩურჩულა ბოლოს, როგორც იქნა.

— გულწრფელად ვწუხვარ, რეზო... — და მოძღვარმა გულში ჩაიკრა...

ამან თითქოს გზა გაუკაფა აქამდე შეგუბებულ ნაღველს, სახე ჯგუფელის მკერდში ჩამალა და მდუღარე ცრემლით ატირდა...

დასასრული

მრთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. როგორ ითარგმნება სიტყვასიტყვით ძიუდო?

ა) რბილი გზა;
ბ) მამაცთა ორთაბრძოლა;
გ) ზურგზე წოლა.

2. რა ეწოდება ლანძღვა-გინების აკვიატებულ მოთხოვნილებას?



ა) მონოფობია;
ბ) კოპროლალია;
გ) პროქტოლოგია.

3. ვისი ნათლული იყო ალექსანდრე ჟავჟავაძე?

ა) პეტრე I-ის;
ბ) ალექსანდრ გრიბოედოვის;
გ) ეკატერინე მეორის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მარიკა თხელიძის რეპერტუარი დუეტებით გამდიდრდება

„ფლეშთან“ ერთად

ჰოლივუდში მიღებული პრიზის შემდეგ, ახალგაზრდა ვირტუოზი მარიკა თხელიძე შემოქმედებით მოღვაწეობას არ წყვეტს და უამრავ ახალ სიმღერაზე მუშაობს. საინტერესოა ისიც, რომ მომღერლის რეპერტუარში რამდენიმე ახალი დუეტიც შევა – ისეთ პოპულარულ შემსრულებლებთან ერთად, როგორებიც არიან: თემურ თათარაშვილი, ნეკა სებისკვერაძე და ჯგუფი „ფლეში“. ნორჩი მომღერლის თქმით, მისი ახალი სიმღერების დიდი ნაწილი, კომპოზიტორებს: ოთარ ყუფუნიას, მარიკა კვალიაშვილს, რუსა მორჩილაძესა და ლილიკო ნემსაძეს ეკუთვნის.

მარიკა თხელიძის ნიჭის თაყვანისმცემლებს, მომღერლისგან, კიდევ რამდენიმე ახალი სიურპრიზი ელოდება. ერთ-ერთი, ახალი კომპაქტდისკი იქნება, რომელიც რამდენიმე თვეში გამოვა.

თვითონ მომღერალი ახალ წელს თბილისში შეხვდება. დასასვენებლად გამგზავრება კი ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი.

რაც შეეხება ფონოგრამების გამოყენების საკითხზე შემუშავებულ დადგენილებას, მარიკაც ეთანხმება მის შინაარსს და მიაჩნია, რომ ის ბევრ სიკეთეს მოუტანს ქართულ ესტრადას.

აღსანიშნავია, რომ მარიკა თხელიძე ქართველ ვოკალისტთა იმ ვიწრო წრეს მიეკუთვნება, რომელიც ცოცხალ ორკესტრთან უპრობლემოდ, მაღალ პროფესიონალურ დონეზე გამოდის. ■

ქეთა თოთუტრიას ახალი სიურპრიზები

თინეიჯერთა საყვარელი მომღერალი ქეთა თოფურია, ჩვეული რიტმით განაგრძობს შემოქმედებით საქმიანობას და როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მალე დაასრულებს სიმღერის – „შენ გიმღერი“ მუსიკალური კლიპის გადაღებას. მომღერალს საახალწლოდ რამდენიმე ტელეშოუშიც მოუწია მონაწილეობა და როგორც თავადვე აღნიშნა, უახლოეს მომავალში კიდევ რამდენიმე სიურპრიზსაც შესთავაზებს საკუთარი ხელოვნების თაყვანისმცემლებს.

აქვე ვიტყვით, რომ იანვარში ქეთა მოსკოვში გაემგზავრება: სპეციალური მიწვევით, კომპოზიტორ ნოდარ ნიკოლაიშვილის ახალი დისკის პრეზენტაციას დაესწრება და რამდენიმე სიმღერასაც შეასრულებს. პრეზენტაციაზე მიწვეულნი არიან რუსული ესტრადის ცნობილი მომღერლებიც, რომლებიც პრეზენტაციის შოუპროგრამაში მიიღებენ მონაწილეობას. ■

ცისანა სეფიაშვილი მალე ასპირანტად მოგვევლინება

ქართული შოუბიზნესის პოპულარული წარმომადგენელი – ცისანა სეფიაშვილი მალე განსხვავებულ ამპლუაში წარდგება თაყვანისმცემლების წინაშე. როგორც თვითონ მომღერალმა გაგვიმხილა, ამჟამად სამეცნიერო ხარისხის მოპოვებაზე ზრუნავს და საფუძვლიანად მუშაობს სადისერტაციო ნაშრომზე, რომლის დაცვასაც მომავალი წლისათვის გეგმავს. რაც შეეხება საშემსრულებლო კარიერას, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს ვაცნობებთ, რომ ცოტა ხანში მომღერლის ახალი მუსიკალური ალბომი გამოვა და ამასთან, მას უკვე ტრადიციულად, საახალწლო ტელეშოუშიც ვიხილავთ, რომელიც სახელმწიფო ტელევიზიის „პირველ არხზე“ მზადდება. თვითონ ცისანამ, გადაღებები სასიამოვნო პროცესად მიიჩნია და აღნიშნა: „შეუძლებელია, არ გიხაროდეს იმ საინტერესო ადამიანების გვერდით მუშაობა, რომლებიც აღნიშნულ გადაცემაზე მუშაობენ. ჩემს თაყვანისმცემლებს კი ვპირდები, რომ მათთვის ყოველთვის ვიმღერებ, როგორც არაპროფესიონალი მომღერალი, მაგრამ ნამდვილად ვიქნები პროფესიონალი თეატრმცოდნე-ასპირანტი“. ■

ცისანა და ჯემალ სეფიაშვილები

მოამზადა რევო ძაგანიშვილმა

სელინ დიონი მტუნდომა

სელინ დიონი მუსიკის სამყაროში დაბრუნებას მომავალი წლის გაზაფხულზე, ახალი ალბომის გამოშვებით აპირებს.

ცნობილი კანადელი მომღერალი მაყურებელთა მხედველობის არიდან 1999 წელს გაქრა და მაშინ განაცხადა, რომ სურდა, თავი მთლიანად ოჯახისთვის მიეძღვნა.

მუსიკის მცოდნეებს მიაჩნიათ, რომ სელინ დიონს მაყურებელთა ყურადღების დაბრუნება არ უნდა გაუჭირდეს.

„მან მხოლოდ თავისი მუსიკალური კარიერის ნახევარი გაიარა, თანაც მუსიკის ამ მიმართულებაში არც ისე დიდი კონკურენციაა, მსმენელი კი მუდამ რჩება ასეთი დონის შემსრულებლების ერთგული“. – განაცხადა SUN RECORDS-ის წარმომადგენელმა ტიმ ბეიკერმა.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ სელინ დიონი გასტროლების მოწყობას არ აპირებს, ის კონცერტებს მხოლოდ ლას-ვეგასის ერთ-ერთ სასტუმროში გამართავს, სადაც 2003 წლიდან სამი წლის მანძილზე ცხოვრებასა და 200 კონცერტის ჩატარებას აპირებს. ■

ჯულია რობერტსმა გაშიშვლომა გადაწყვიტა

როგორც იქნა, პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი კინოვარსკვლავი პროდიუსერებმა გაშიშვლებაზე დაითანხმეს. ეს პირველი შემთხვევა იქნება, როცა მსახიობი მთელი ტანით შიშველი გამოჩნდება ეკრანზე. ამგვარად მას რეჟისორ სტივენ სოდერბერგის ფილმის – „სექსი, სიცრუე და ვიდეო“ სიქველში ვიხილავთ. სოდერბერგის ეს – სადებიუტო ფილმი 90-იანი წლების დასაწყისში, კანის ფესტივალის სენსაციად იქცა და რეჟისორს გზა ჰოლივუდისკენ გაუხსნა.

სოდერბერგის ახალ სურათში ჯულია რობერტსს პარტნიორობას „საიდუმლო მასალების“ ვარსკვლავი დევიდ დუხოვნი გაუწევს. ფილმის გადაღების დაწყება 2002 წლის იანვრისთვის არის დაგეგმილი. ■

ჯერი ჰოლიუელი ქრისტიანი გახდა

ბრიტანელი პოპ-ვარსკვლავი ჯერი ჰოლიუელი ჭეშმარიტი ქრისტიანი გახდა და იმედოვნებს, რომ ადგილი სამოთხეში გარანტირებული აქვს.

ადრე მომღერალი ბუდიზმით იყო გატაცებული, მაგრამ როგორც ცნობილია, ეს რელიგია არაფრის გარანტიას არ იძლევა. ამჟამად ჯგუფ SPICE GIRLS-ის ყოფილი წევრი ბიბლიას და ქრისტიანულ მოძღვრებას ლონდონის ნაიტსბრიჯის რვაკვირიან კურსებზე სწავლობს და ისეთ აღმაფრენას განიცდის, რომელიც ყველას უნდა რომ გაუზიაროს. „საოცრებაა! იქ ყველანი გულახდილები ვართ ერთმანეთთან. ეს ნამდვილი ერთობაა. მე ჭეშმარიტად ვიწამე ღმერთი და იმქვეყნიური ცხოვრების იდეებითაც განვიმსჭვალე“. ■

გაი რიჩი როლემს ყიდის

ცნობილმა ინგლისელმა რეჟისორმა და პოპ-ვარსკვლავის მადონას მეუღლემ, ინგლისელმა რეჟისორმა გაი რიჩიმ საქველმოქმედო მიზნით, აუქციონზე ორი უჩვეულო ლოტი – თავისი მომდევნო ფილმის ეპიზოდში მონაწილეობის უფლება გაიტანა. მომავალი ბოევიკი ისტორიული ხასიათის არის და მასში ქალისა და მამაკაცის როლი თამაშდება. ამრიგად, გამარჯვებულებს შესაძლებლობა მიეცემათ, მთელი დღე გაატარონ გადასაღებ მოედანზე, ფილმის ტიტრებში მოხვდნენ და პრემიერასაც დაესწრონ.

აუქციონიდან მიღებული შემოსავალი ძნელად აღსაზრდელი მოზარდების დახმარების ფონდში ჩაირიცხება.

ამჟამად ქალის როლზე 8 განაცხადია შეტანილი, ხოლო მამაკაცისაზე – 15.

შეგახსენებთ, რომ ყველაზე პოპულარულ ბრიტანელ რეჟისორთა ნუსხაში გაი რიჩი თავისი „შავი“ განგსტერული კომედიების – „ბანქო, ფული, ორი ლულა“ და „დიდი ფსონი“ – წყალობით შევიდა. ■

მოამზადა
მანანა ღოღობერიძემ

ხელსიცა Jaguar-ისგან

„იაგუარი“ ისეთივე ინგლისური ლეგენდაა, როგორიც „როლს-როისი“. სახელგანთქმული ფირმა, რომელიც ამჟამად სტრუქტურულად „ფორდში“ შედის, წლეულს თავისი დამაარსებლის, სერ უილიამ ლაიონსის 100 წლისთავს აღნიშნავს. ეს კაცი ნახევარი საუკუნის მანძილზე ედგა სათავეში „იაგუარს“, მას გასაოცარი საქმიანი ალღო და საუცხოო გემოვნება ჰქონდა, რომელიც საავტომობილო დიზაინში მჟღავნდებოდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს შეიქმნა ისეთი შედევრები, როგორიც იყო XK 120 (1948), მოდელი E (1961) და XJ6 (1968), რომელიც საავტომობილო სიძველეების კოლექციონერთა უდიდესი მოთხოვნილებით დღემდე სარგებლობს.

ლაიონსის იუბილისთვის „იაგუარმა“ ლიმუზინის – XJ 100-ის წარმოების შესახებ აუწყა ავტოსამყაროს. ამავე დროს, ფირმა გამოუშვებს კუპესა და კაბრიოლეტს – XKR 100-ს. ამ ავტომობილების ტირაჟი მკაცრად შეზღუდული იქნება – თითოეული, 500-500 ცალად დამზადდება და ყველა ერთფერი – შავი „მეტალიკი“ იქნება. თუმცა „იაგუარი“ საერთოდ, ისედაც წარმოადგენს ლუქსის კლასის ავტომობილს, საიუბილეო მოდელები განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა. ხელით დამზადებული ტყავით გაწყობილი სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, DVD და CD ჩეინჯერი, ელექტრონიკა, რომელიც ავტომატურად უზრუნველყოფს წინა მანქანისგან უსაფრთხო დისტანციის შენარჩუნებას და უამრავი სხვა სიკეთე განუმეორებელს ხდის ამ მანქანებს. აღსანიშნავია, რომ ამავე დროს, ფირმა შეეცადა, ორივე მოდელის სპორტული ხასიათისთვისაც გაესვა ხაზი. „იაგუარს“ V ტიპის 8 ცილინდრიან, 4 ლ მოცულობის ტურბო ძრავას ჩაუდგამენ, რომლის სიმძლავრეც 363 ცხ.ძ-ს ავითარებს. საიუბილეო „იაგუარის“ ლიმუზინის ფასი გერმანიაში დაახლოებით 80.000 იქნება, კუპე – 90.000, ხოლო კაბრიოლეტი – თითქმის 100.000 დოლარი ეღირება. ■

„პინინფარინა“ Ford-ისთვის

სახელგანთქმულმა იტალიურმა საძარე ატელიემ კომპანია „ფორდისთვის“ სპორტული კონცეპტკარი შეიმუშავა. ავტომობილი, რომელსაც PININFARINA START-ი დაარქვეს და 4,2 მ სიგრძის ელეგანტურ კუპეს წარმოადგენს, ადვილად შეიძლება გადაიქცეს კაბრიოლეტად: ელექტროამძრავის მეშვეობით, მძღოლი ადვილად დაკეცავს მანქანის სახურავს, რომელიც უკანა ნაწილში განთავსებულ სპეციალურ ქვედანაყოფში „ჩაიმალება“.

ავტომობილის დიზაინი „პინინფარინისთვის“ დამახასიათებელი ენერგიულობითა და აგრესიულობით გამოირჩევა. თვით ტექნიკური აღჭურვილობა დიდად ორიგინალური არ არის: START-ი აღჭურვილი იქნება „ფორდის“ სერიული 4 ცილინდრიანი ტურბო ძრავით, რომლის მოცულობა, 2 ლ-ია. როგორც ხუმარა ექსპერტები აღნიშნავენ, ეს მოდელი იტალიელებმა „დესერტად“ დაამზადეს, რადგან მანამდე კომპანიამ მათ საქალაქო მინის – KA-ს ძარას შემუშავების ხელსაყრელი დაკვეთა მისცა. თუმცა, დიზაინერთა შრომის შედეგად შეიქმნა ავტომობილი, რომელიც ძალიან მალე შეიძლება სერიულად იქცეს. საკუთრივ როდის – ამას „ფორდის“ ევროპულ შტაბბინაში ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ, არადა, მარკეტოლოგები ირწმუნებიან, რომ ბაზარზე წარმატება მას გარანტირებული აქვს, მით უმეტეს, რომ ამერიკული კომპანიის მოდელების სპექტრში, START-ი სრულიად გამორჩეული ნიმუშია. ■

Honda „ჯაზის“ „დაჯვრას“ იწყებს

ჯომპაქტური საქალაქო ავტომობილები, იაპონური ფირმების ერთ-ერთი პრიორიტეტული სახეობაა. ამ კლასში ამომავალი მზის ქვეყნის ოსტატები ხშირად სჯაბნიან თავიანთ ევროპელ კონკურენტებს, რომლებსაც წარმოების უფრო ხანგრძლივი ტრადიციები აქვთ (მათ შორის გამოირჩევა „რენო“, „ფიატი“ და „ფოლკსვაგენი“). სწორედ ამ კლასის ახალ ავტომობილს წარმოადგენს „ჰონდას“ მოდელი JAZZ, რომელსაც სამშობლოში FIT-ს უწოდებენ და თავის „თანამოძმეებს“ შორის, რეალიზაციის მოცულობით, მეორე ადგილი უკავია იაპონიაში.

ახალი „ჰონდა“ მხოლოდ გარედან ჩანს ძალიან პატარა, თორემ სალონით იმდენად ხალვათია, რომ თავის მოზრდილ „ბიძაშვილს“ – HONDA CIVIC-საც შეიძლება გაეჯიბროს. ეს ეფექტი, მანქანის სიმაღლის (1,52მ) და ბენზინის ავზის წყალობით არის მიღწეული, რომელიც წინა სავარძლების ქვეშ განთავსდა. საბარგულის მოცულობა 380 ლ-ს აღწევს, რაც ამ კლასის ავტომობილისთვის წარმოუდგენლად დიდი მაჩვენებელია.

მანქანის საბაზო ძრავა – 1,4 ლ მოცულობისა და 83 ცხ.ძ-ს აგრეგატია, საწვავის საშუალო ხარჯი, 5,5 ლ-ს შეადგენს.

„ჰონდა ჯაზის“ რეალიზაცია მომავალი წლის გაზაფხულზე დაიწყება. ფასი საბოლოოდ, ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ გერმანიაში ოთხკარიანი ვარიანტი, ელექტროპაკეტითა და სიმაღლეში რეგულირებადი საჭის ღერძითურთ, საორიენტაციოდ 12.000 დოლარამდე ეღირება. ■

Opel Combo – მანქანა ხელოსნებისთვის და ახა მახტო მათთვის

დიდი ხანია, წავიდა ის დრო, როცა ე.წ. „ფურგონის“ მთავარი ელემენტი მისი უტილიტარობა იყო. სადღეისოდ, ეს მანქანები შესაშური კომფორტითა და საკმაოდ დახვეწილი დიზაინით გამოირჩევა. რაც შეეხება ამ ტიპის ავტომობილებზე მოთხოვნილებას, ის ნამდვილ ბუმს განიცდის: თუ 1994 წელს ევროპაში 318 ათასი „ფურგონი“ გაიყიდა, 2000-ში ამ მაჩვენებელმა 639 ათასს მიაღწია. ამ ტიპის მანქანებს ყველა უმსხვილესი ავტომწარმოებელი აწარმოებს: „რენო“, „ფიატი“, „ფორდი“, „ფოლკსვაგენი“. კონკურენტებს არც „ოპელი“ ჩამორჩება, რომელიც სტრუქტურულად, „ჯენერალ მოტორსის“ კორპორაციაში შედის. უახლოეს პერიოდში ევროპაში „ოპელის“ ახალი „ფურგონის“ – COMBO-ს გაყიდვა დაიწყება. ის ცნობილი მოდელის – CORSA-ს ბაზაზე შეიქმნა. 4,32 მ სიგრძის, 1,68 მ სიგანისა და 1,80 მ სიმაღლის ავტომობილი 810 კგ-მდე ტვირთს ზიდავს. სატვირთო ნაწილის მოცულობა 2880 ლ-ს შეადგენს. მსხვილგაბარიტიანი ტვირთის გადასაზიდად, შეიძლება დაიკეცოს სავარძელი და ასეთ შემთხვევაში, მანქანაში 2,70 მ სიგრძის საგანი ჩაეტევა.

ავტომობილი 3 ტიპის ძრავით აღიჭურვება: მათ შორის, 2 – დიზელის არის, ერთი კი – ბენზინის. ძრავების მოცულობაა 1,6 ლ, სიმძლავრე კი – 87 ცხ.ძ.

კომპანია მოდელის სხვადასხვა ვარიანტის გამოშვებას აპირებს: მაგალითად, მომავალი წლის გაზაფხულზე ხუთადგილიანი ვერსია, შემოდგომაზე კი – მოგზაურობისა და საოჯახო დასვენების მოყვარულთათვის განკუთვნილი COMBO TOUR-ი გამოვა. ■

გრიპი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

გრიპი მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელსაც სასუნთქი გზების დაზიანება და ორგანიზმის ზოგადი მოშხამვის მოვლენები ახასიათებს. გრიპს იწვევს A, B და C ვირუსი. მათგან ყველაზე სწრაფი გავრცელებისა და დიდი ცვალებადობის უნარი A ვირუსს ახასიათებს და ეპიდემიებიც უხშირესად სწორედ მისი ახალი სახესხვაობებითაა გამოწვეული, რომელთა მიმართაც ადამიანს გამძლეობა არა აქვს გამომუშავებული.

ინფექციის წყაროა დაავადებული ადამიანი. დაინფიცირების საშიშროება მეტია დაავადების პირველ დღეებში, შემდეგ კლებულობს, რადგან ავადმყოფობის მე-6-7 დღეზე ორგანიზმი ვირუსისგან თავისუფლდება. ავადმყოფი ხველების, ცემინების დროს ლორწოს წვეთებთან ერთად უხვად გამოყოფს ვირუსს და ავრცელებს ინფექციას. ავად ხდება ყველა ასაკის პირი. ამიტომ გრიპი სწრაფად ვრცელდება და ერთ, ერთ-ნახევარ თვეში მოსახლეობის 20-50%-ს მოიცავს. B ვირუსით გამოწვეული ეპიდემია უფრო ნელა ვრცელდება, C ვირუსი კი მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ვლინდება. დაავადება ძირითადად წლის ცივ თვეებში გვხვდება. ეპიდემიებს შორის პერიოდში გრიპით დაავადებულთა რიცხვი მკვეთრად მცირდება.

კლინიკური სურათი

გრიპის ფარული პერიოდი 1-2 დღეა. დაავადება იწყება სწრაფად, შემცივნებით, ტემპერატურის მომატებით 38-40 გრადუსამდე. პირველი დღიდან ყურადღებას იქცევს ზოგადი მოშხამვის სურათი: თავის ტკივილი შუბლის არეში ლოკალიზაციით, თვალბუდეების სიმძიმის შეგრძნება, განსაკუთრებით თვალის კაკლების მოძრაობის დროს, ტანში ტეხა, მსხვილ სახსრებში, კუნთებში, ძვლებში ტკივილი, რომელიც განსაკუთრებით ძლიერდება ან იწყება ღამით, ზოგჯერ გამოხატულია სინათლის შიში, თავბრუს ხვევა, უძილობა. თითქმის ყველა ავადმყოფს აღენიშნება ცხვირის დახშობისა და ყელის სიმშრალის შეგრძნება, ოფლიანობა. დაავადების მე-2-3 დღეს ავადმყოფს ეწყება მშრალი ხველა, ტკივილი მკერდის ძვლის უკან, 3-4 დღის შემდეგ, ჩნდება ნახველი და სურდოს მოვლენები. გრიპით დაავადებულს სახე და თვალები წამოწითლებული და შეშუპებული აქვს, ქვეითდება ყნოსვისა და გემოვნების შეგრძნება. ხახა და ნუშურა ჯირკვლები შეწითლებული და შეშუპებულია. მძიმე შემთხვევებში, გულისა და სუნთქვის უკმარისობის გამო, ავადმყოფს გადაჰკრავს მოლურჯო ელფერი – განსაკუთრებით ცხვირზე, ტუჩებსა და ხელის თითებზე. ასეთ ავადმყოფს გულის ცემა და სუნთქვა უჩქარდება, სისხლის წნევა უქვეითდება, ეწყება ბოდვა, უმძიმეს შემთხვევებში კი გონებას კარგავს.

გაურთულებელი გრიპის დროს დაავადების საშუალო ხანგრძლივობა 3-5 დღეა. გრიპი შეიძლება მიმდინარეობდეს ძალიან მძიმედ ან იმდენად მსუბუქად, რომ ადამიანი მას ფეხზე იხდის.

გართულებებიდან აღსანიშნავია ფილტვების ანთება, შუაყურის ანთება, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის დაზიანება, მიოკარდიტი, მენინგიტი. ფილტვების ანთება მძიმედ მიმდინარეობს. იგი საშიშია განსაკუთრებით ჩვილ ბავშვებში, მოხუცებსა და ქრონიკული დაავადების მქონე პირებში.

გრიპის გადატანის შემდეგ ადამიანს შეიძლება დარჩეს უძილობა, სისუსტე, შრომის უნარის დაქვეითება; სწორედ ამ პერიოდში დასუსტებულ, დაძაბუნებულ ორგანიზმში თავს იჩენს სხვა დაავადებები ან მწვავდება მანამდე არსებული ფარულად ან ქრონიკულად მიმდინარე დაავადება (ტუბერკულოზი, რევმატიზმი და სხვა).

როგორ ვუმკურნალოთ

გრიპით დაავადებული ავადმყოფი აუცილებლად უნდა ჩაწვეს ლოგინში სიცხიან პერიოდში და მას შემდეგ 2-3 დღის მანძილზე. ოთახი ხშირად უნდა განიავდეს. ავადმყოფს უნდა მიეცეს დიდი რაოდენობით სითხე, ხილი, ბოსტნეული, კომპოტები. კარგია რძე ბორჯომთან ერთად, ჩაი ჟოლოს მურაბით. მაღალი სიცხის დროს საჭიროა სიცხის დამწევი საშუალებანი (ასპირინი, პარაცეტამოლი). ანტიბიოტიკები და სულფანილამიდური პრეპარატები გრიპის ვირუსზე არ მოქმედებს. ეს პრეპარატები ინიშნება მხოლოდ ექიმის მიერ ბაქტერიული გართულებების სამკურნალოდ. მძიმე, გართულებული გრიპის მკურნალობა საავადმყოფოს პირობებში უნდა ტარდებოდეს. მძიმე ფორმის მკურნალობაში საუკეთესო შედეგს იძლევა გრიპის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინის შეყვანა კუნთებში. გასათვალისწინებელია, რომ იმუნოგლობულინის შეყვანა ეფექტს იძლევა დაავადების მხოლოდ პირველ 3 დღეს.

ქიმიოპრეპარატებიდან იყენებენ ამანტადინსა და რემანტადინს, რომელთა დანიშვნა საჭიროა დაავადების დასაწყისშივე, ამასთან, პრეპარატი კარგად მოქმედებს A ვირუსზე. ფართოდ იყენებენ რემანტადინისა და ანტიგრიპინის კომბინირებას (ანტიგრიპინი შეიცავს ასპირინს, დიმედროლს, რუტინს, C ვიტამინს, კალციუმის ლაქტატს). კარგ შედეგს იძლევა ოქსოლინის მალამოს ცხვირში გამოსმა 3-4-ჯერ დღეში.

გრიპის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით იყენებენ აგრეთვე ინტერფერონს, რომელიც განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა დაავადების პირველ დღეს და ეფექტურია გართულებების პროფილაქტიკაში. თუ ავადმყოფს ნახველი აქვს, უნდა მიეცეს ამოსახველებელი საშუალებები. ცხვირის გადაკეტვისას კი კარგად მოქმედებს ნაფთიზინის, გალაზოლინის, სანორინის წვეთები. კარგად მოქმედებს ვიტამინოთერაპია.

როგორ მოვუაროთ ავადმყოფს

ავადმყოფი ცალკე ოთახში უნდა დავაწვინოთ. დროული გამოცალკევება დააბრკოლებს დაავადების შემდგომ გავრცელებას. მომვლელი პირი მარლის ნიღაბს უნდა ატარებდეს. თუ ოჯახში უფროსი გახდა ავად, თუნდაც მსუბუქი ფორმით, იგი გამოჯანმრთელებამდე უნდა მოერიდოს ბავშვთან კონტაქტს. პატარებს პროფილაქტიკის მიზნით ცხვირში უნდა ჩავაწვეთოთ ინტერფერონი.

გრიპის პროფილაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის გამოწრთობას. თუ ორგანიზმი გამოწრთობილი, გაკაჟებული არ არის, ადამიანი ადვილად ცივდება, მით უმეტეს თუ ზამთარში უქუდოდ ან მსუბუქი, არაშესაფერი ფეხსაცმლით დადის. გაცივება კი ხელს უწყობს გრიპისა და სხვა მწვავე რესპირაციული დაავადებების განვითარებას. ამ დროს საკუთარი ვირუსებიც კი, რომელსაც ადამიანი ცხვირისა და ნუშურა ჯირკვლების ლორწოვანებით ატარებს, აქტიურდება და იწყება დაავადება. ამრიგად ხალხში ჯერ კიდევ გავრცელებული გამოთქმა „გაცივებული ვარ“, სწორი არ არის. სინამდვილეში დაავადებასთან გვაქვს საქმე, გაცივება კი, მხოლოდ ხელს უწყობს დაავადების გამომჟღავნებას.

■

მოყინვა

მოყინვა დაბალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად განვითარებულ დაზიანებას ეწოდება. მოყინვა 6-7 გრადუსზეც შეიძლება განვითარდეს, რასაც ქარის ხანგრძლივი მოქმედება, სინოტივე, პერიფერიული ნაწილების სისველე, ვიწრო ფეხსაცმელი, შიმშილი, სისხლნაკლებობა, ორგანიზმის გამოფიტვა განაპირობებს.

შემთხვევათა 80%-ში აღინიშნება ფეხის თითებისა და ტერფების, 20%-ში ხელის თითების, ყურის ნიჟარის, ცხვირის, ნიკაპისა და სხვა ორგანოთა მოყინვა.

არჩევენ მოყინვის ოთხ ხარისხს:

I ხარისხის მოყინვის დროს კანი მუქი მოლურჯო ან მეწამულ-მოლურჯო ფერისაა, რასაც შეშუპება მოჰყვება. ავადმყოფს აღენიშნება ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილი, ქავილი, წვა, ხშირად კანის აქერცვლა, მოვლენები 2-3 დღეში უკუგანვითარებას განიცდის.

II ხარისხის მოყინვისას კანზე წარმოიქმნება ბუშტუკები, რომელიც დამწვრობისგან განსხვავებით, ჰემორაგიული (სისხლიანი) სითხითაა სავსე. კანის შეშუპება მკვეთრადაა გამოხატული. მკურნალობის შედეგად დაზიანებული კანი მთლიანად აღდგება.

III ხარისხის მოყინვის დროს კანის ყველა შრე ნეკროზდება (კვდება), მოყინულ ადგილზე მგრძნობელობა ქრება. კანზე უხვად წარმოიქმნება ჰემორაგიული სითხით სავსე ფართო ბუშტუკები. დანეკროზებული უბნების ადგილზე ვითარდება იარები, რომლებიც მეორადად ხორცდება და ნაწიბურით იფარება.

IV ხარისხის მოყინვა კიდურის ყველა რბილი ქსოვილისა და ძვლის დანახშირებას იწვევს. დაზიანებული ქსოვილები გვიან სცილდება კიდურს. ჭრილობა უმეტესად დაჩირქებულია.

მოყინვის ოთხი ხარისხის გარდა, ცალკე უნდა გამოვყოთ „დამზრობა“ და „გაყინვა“ (გათოშვა).

დამზრობის დროს კიდურებზე აღინიშნება განმეორებითი, მაგრამ არაძლიერი ხანგრძლივი დაბალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად კანის ანთება (დერმატიტი), ძლიერი ქავილი, ნახეთქებისა და წყლულების წარმოქმნა.

გაყინვა, ანუ გათოშვა მთელ ორგანიზმზე დაბალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგია.

პირველი დახმარება გულისხმობს დაბალი ტემპერატურის ზემოქმედების შეწყვეტას და სისხლის მიმოქცევის მოშლილობის აღდგენას.

ავადმყოფი უნდა გადავიყვანოთ თბილ ოთახში, მოყინული ადგილი დავუმუშავოთ სპირტით, სუფთა ხელის წასმითა და მასაჟით, ვცადოთ სისხლის მიმოქცევის აღდგენა. საჭიროა თბილი აბაზანები. წყლის ტემპერატურას ვუმატებთ თანდათანობით 20-დან 40 გრადუსამდე. ამის შემდეგ მოყინვის ადგილს დავადებთ სუფთა ნახვევს და ავადმყოფს მოყინვის ხარისხის დადგენისა და შემდგომი კვალიფიციური მკურნალობის მიზნით, გადავაგზავნით სამედიცინო დაწესებულებაში.

მოყინული ადგილის თოვლით დაზელა მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან იგი კანის დაზიანებასა და ინფიცირებას იწვევს.

მოყინვის დროს აუცილებელია ტეტანუსის საწინააღმდეგო პროფილატიკური ღონისძიებების გატარება – შრატისა და ანატოქსინის შეყვანა.

დამზრობის შემთხვევაში საჭიროა ყოველდღიურად თბილი აბაზანები.

გათოშვისას ავადმყოფს თბილ ოთახში ათავსებენ, საჭიროების მიხედვით უტარებენ ხელოვნურ სუნთქვას, უკეთებენ საგულე საშუალებებს, ცნობიერების დაბრუნების შემდეგ ასმევენ მაგარ ცხელ ჩაის ან ალკოჰოლურ სასმელს.

■

სადილის მომზადებისას, ან მისი მომზადების შემდეგ აუცილებელია, გაზქურის მინანქარს შემხმარი წვეთები და ლაქები მაშინვე მოაცილოთ.

გაზქურის ზედაპირი კარგად იწმინდება ჭურჭლის სარეცხ სითხეში დასველებული ჩვრით ან ღრუბლით. შეიძლება გასაწმენდად გამოვიყენოთ აგრეთვე საჭმელი სოდა. გაზქურის ხმარების სიხშირეზეა დამოკიდებული მისი ძირფესვიანი გაწმენდა. ერთ ან ორ თვეში ერთხელ მაინც საჭიროა, გარეცხოთ ქურის ყველა დეტალი. ის ნაწილები, რომელიც შეიძლება მოიხსნას, ცალკე გაწმინდეთ.

მინანქარს ზუმფარით ნუ გაწმენდთ, რადგანაც ის შეიძლება დაზიანდეს.

როცა გაზქურას აანთებთ, ალი ნათლად გამოკვეთილი უნდა იყოს – მომწვანო ლურჯი-იისფერი. თუ ალი შავად ბოლავს, ან მოწითალო ელფერი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ დეტალი კარგად არ არის გაწმენდილი, ანდა არასწორად არის დაყენებული და გაასწორეთ.

კერძის მომზადებისას უმჯობესია, ქვაბი დადგათ სპეციალურ ბადეზე, რომელიც ალს თანაბრად გაანაწილებს.

ელექტროქურის გაწმენდისას აუცილებლად გამორთეთ იგი ელექტროქსელიდან და დაიცადეთ, სანამ მთლიანად გაცივდება. ამ შემთხვევაშიც იგივე წესით იმოქმედეთ, როგორც გაზქურის გაწმენდისას. თუ მინანქარი ხილის წვენით ან მურაბით არის დასვრილი, საჭიროა მალევე გაწმინდოთ, რადგანაც სიმჟავე მასზე უარყოფითად მოქმედებს.

დაჟანგვის თავიდან ასაცილებლად ლითონის დეტალებს წაუსვით საკერავი მანქანის ზეთი, შემდეგ ოდნავ გაათბეთ და ქაღალდით გაწმინდეთ. ელექტროღუმლის მინა გაწმინდეთ სპირტის ან ნიშადურის წყალნარევი ხსნარით. ხელები რომ არ გაგიჭუჭყიანდეთ და გაგიუხეშდეთ, ორივე ქურის გაწმენდისას ჩაიცვით რეზინის ხელთათმანები.

„პიცა“

გათქვიფეთ თასზე 2 კვერცხის გული ნახევარ ჩ/კ სოდასთან ერთად, დაუმატეთ 100 გ შემლღვალ-შერბილებული კარაქი, 500 გ მაწონი, აურიეთ კარგად, დააყარეთ 4 ჩ/ჭ პურის ფქვილი, მოზილეთ და (ცომი უნდა იყოს საშუალო სირბილის) შეინახეთ მაცივარში. შემდეგ შეუდექით პროდუქტების დამუშავებას.

500 გ (მდუღარეგადავლებული) სოკოს მარინადი ან ნედლი სოკო მოხრაკეთ 500 გ წვრილად დაჭრილ ხახვთან ერთად (ცხიმი, რომელიც გნებავთ), შეაზავეთ შავი პილპილით, 3-4 ღერი წვრილად დაჭრილი კამით და დადგით ცალკე. შემდეგ დაჭერით სიფრიფანა ნაჭრებად 300 გ უმაღლესი ხარისხის შებოლილი ძეხვი ან ლორი და ასევე ცალკე თეფშზე მოათავსეთ. შემდეგ დახლიჩეთ თხელ ფურცლებად 500 გრამი ახალი, უმარილო სულგუნი, წვრილადვე დაჭერით 1 კონა ახალი ხახვის მხოლოდ ძირები და 1-2 ცალი კანგაცლილი პამიდორი.

შემდეგ აიღეთ ტაფა (საჭიროა ორი ერთნაირი ზომის ტაფა), წაუსვით ცოტა ცხიმი, მოაყარეთ მცირეოდენი ფქვილი და ზედ გააბრტყელეთ ცომი ისე, რომ ცოტათი (1 სანტიმეტრით) ტაფის კიდეებს გადმოსცილდეს. ცომზე პირველად მოაფინეთ სულგუნი, შემდეგ სოკო, მესამე ფენა იქნება ლორი ან ძეხვი, შემდეგ პამიდორი, ხახვი და ბოლოს დაახალეთ სამი ცალი კვერცხი, აუთქვეფავად (ადგილის თანაბარი განაწილებით), დაახურეთ თავზე მეორე ტაფა და შედგით ღუმელში (საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე). 20-25 წუთის შემდეგ „პიცა“ მზად იქნება. ფრთხილად გადმოიღეთ მრგვალ ლანგარზე და თბილ-თბილი მიიტანეთ სუფრაზე (იჭრება პატარა ნაჭრებად).

■

ხალხური მედიცინის საგანძური

ტუბერკულოზის მკურნალობა

ერთი პეშვი ჭინჭრის თესლი მოხარშეთ თვალზომით ადუღებულ წყალში, გადაწურეთ და მიიღეთ დღეში სამჯერ არყის ჭიქით. შეიძლება გამეორებაც.

მთქმელი – ლიზა გეგელაშვილი ქარელი, ზემო ხვედურეთი.

კვერცხის ნაჭუჭი გაახმეთ, დაფქვით და გაცერით. მიიღეთ დღეში 3-ჯერ, თითო ჩ/კ.

მთქმელი – ნაზი კოსაძე, ქარელი.

ერთი კგ უმარილო კარაქი გადაადნეთ, დაუმატეთ 10 გ გახეხილი დინდგელი და გააჩერეთ 20 წუთს, ყოველ 5 წუთში მოურიეთ. შემდეგ გაათბეთ 80-90 გრადუსამდე და ცხელივე გაფილტრეთ ორმაგ დოლბანდში. მიიღეთ დღეში 3-ჯერ თითო ს/კ. იძლევა კარგ შედეგს, განსაკუთრებით ჯირკვლების გადიდებისა და ბრონქიტის საწყისი ფორმის დროს.

მთქმელი – ნანა მაღალდაძე ქარელი, აგარა.

თითო კგ გადამდნარი მუცლის ქონი და შაქარი, ერთი ს/კ კაკაო ადუღეთ 5 წუთი და გააცივეთ. დაუმატეთ ერთი კგ თაფლი და ათქვიფეთ. მიიღეთ დღეში 3-ჯერ ს/კ-ით. წაუსვით პურზე. გაიმეორეთ ორი წლის მანძილზე წელიწადში ერთხელ.

მთქმელი – ოლია სანიკიძე. სენაკი, ნოქალაქევი.

ერთი დიდი ხახვი დაჭერით მსხვილად და ჩათუთქეთ კარაქში ან ერბოში. ხახვი უნდა გავარდისფრდეს. არ გამოაშროთ. დაუმატეთ მარილი გემოვნებით და მიიღეთ უზმოზე. მალე ავადმყოფს ფერი მოუვა.

მთქმელი თამარ იმედაშვილი თბილისი.

საქონლის წვივის ლულოვანი ძვალი დაწვით დანახშირებამდე. აიღეთ ჰორიზონტალურად და ჩაასხით ღრუში სუფთა ნავთი, როდესაც მეორე ბოლოდან წვეთას დაიწყებს, მოაგროვეთ ერთი ღვინის ჭიქა და მიიღეთ დღეში 3-ჯერ, 15 წვეთი თითო მიღებაზე. უმჯობესია, თაფლთან ან ზეთთან ერთად. ჩვეულებრივ, აძლევენ წყალთან. უნდა სვას ერთი თვის მანძილზე. ბევრჯერაა ნაცადი.

მთქმელი – არჩილ სასაური მცხეთა, მუხრანი.

ექიმის პასუხი

კითხვა: ვარ ორსულად. მინდა შევინახო მარხვა. რამე ხომ არ დაუშავდება ბავშვს?

პასუხი: ჯანსაღი ბავშვის დაბადებისთვის აუცილებელია სრულფასოვანი კვება. მარხვის მთელი სიმკაცრით შენახვის შემთხვევაში კი შესაძლოა, თქვენი საკვების სრულფასოვნება სათუო გახდეს. თქვენი გადაწყვეტილება მიუღებელია თვით ეკლესიისთვისაც. მოძღვარი აუცილებლად მოგცემთ კურთხევას, რომ მარხვაში მიიღოთ ნაყოფისათვის საჭირო ცხოველური პროდუქტები. შეგიძლიათ, შეინახოთ მარხვა სულიერად, ილოცოთ გაძლიერებულად, დაიცვათ ოთხშაბათი და პარასკევი უხორცოდ, მაგრამ ორმოცდღიანი მარხვა თქვენთვის სამედიცინო თვალსაზრისით საზიანო იქნება.

კითხვა: როგორც სამედიცინო ლიტერატურიდან შევიტყვე, დღეს ასერიგად გახშირებული ინფარქტების და ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის ძირითადი მიზეზი ათეროსკლეროზია. მაინც როდის იწყება ათეროსკლეროზი და როგორ შეიძლება მასთან ბრძოლა?

პასუხი: ათეროსკლეროზი არტერიებში ავადმყოფური ცვლილებების შედეგად ვითარდება. მათ შიგა ამომფენ გარსში ილექება ცხიმისმაგვარი ნივთიერება — ქოლესტერინი. შემდეგ ქოლესტერინის ნალექში ჩაიზრდება შემაერთებელი ქსოვილი, ლაგდება კალციუმის მარილები. ასეთი წარმონაქმნი (ფოლაქი ანუ ათერომა) ავიწროებს არტერიის სანათურს და აბრკოლებს სისხლის მოძრაობას. შედეგად მცირდება სისხლის მიწოდება გარკვეული ორგანოსაკენ, ქსოვილებისაკენ. მდგომარეობას მკვეთრად აუარესებს ამ ადგილას სისხლის შედედებული ნაწილაკის — თრომბის გაჩენა. სისხლის მიწოდების შეცირების და მით უფრო სრული შეწყვეტის შედეგად, ვითარდება მძიმე ცვლილებები ორგანოს შესაბამის უბანში და შესაძლოა, მოხდეს მისი ქსოვილების სრული დაღუპვა — ინფარქტი.

ათეროსკლეროზის აღმოცენება სხვადასხვა რისკ-ფაქტორთანაა დაკავშირებული. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა რამდენიმეს აქვს. ესენია: ფსიქო-ემოციური გადაძაბვა, უმოძრაო ცხოვრების წესი, ჭარბი კვება ცხოველური წარმოშობის ცხიმებით, რაფინირებული ე.ი. გაწმენდილი ნახშირწყლების დიდი რაოდენობით მიღება (შაქარი, თეთრი პური და პურის ნაწარმი, ტკბილეული). დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიგარეტის წევას.

ათეროსკლეროზის განვითარებას ხელს უწყობს და აჩქარებს სხვადასხვა წარმოშობის არტერიული ჰიპერტენზიები. მძიმე ათეროსკლეროზი ვითარდება ცუდად ნამკურნალევი შაქრიანი დიაბეტის დროს. გარკვეული მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობას და ამიტომაა, რომ ზოგ ოჯახში ათეროსკლეროზით შედარებით ადრე ხდებიან ავად, ზოგნი კი, პირიქით, ღრმა მოხუცებულობას მიაღწევენ ამ დაავადების მძიმე გამოვლინებების გარეშე.

ათეროსკლეროზის განვითარებას ხელს უწყობს ცხიმოვანი ცვლის მოშლა, რაც სისხლში ქოლესტერინის რაოდენობის მომატებით გამოიხატება.

ათეროსკლეროზი, როგორც ნივთიერებათა ცვლის დაავადება, ბევრად უფრო ადრე იწყება, ვიდრე იგი ადამიანს შეაწუხებდეს. მისი ადრეული გამოვლინებაა ახალგაზრდა ადამიანის სისხლში ქოლესტერინის და ლიპოპროტეიდების (მცირე ზომის ცილისა და ცხიმისგან აგებული ნაწილაკების) რაოდენობის მომატება, რაც სრულებით არ აწუხებს ადამიანს.

მცირე ათეროსკლეროზული ცვლილებები არტერიების სანათურის ოდნავი შევიწროებით აღმოჩენილია 20-22 წლის პირთა სისხლძარღვებში. უფრო მეტიც, ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ათეროსკლეროზის წინამორბედი ცვლილებებია ის მკრთალი ლაქები, რომლებსაც 2-4 წლის ბავშვის არტერიების შიგა გარსზე ნახულობენ. აქედან უნდა გაკეთდეს პრაქტიკული დასკვნა: ათეროსკლეროზის პროფილაქტიკა ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს.

ათეროსკლეროზის კლინიკური გამოვლინებისა და მასთან ბრძოლის გზების შესახებ ჩვენი ჟურნალის შემდგომ ნომრებში ვისაუბრებთ.

კითხვა: ვარ ძალიან ემოციური. ფსიქიკური აგზნების დროს მეწყება სლოკინი, რაც საკმაოდ არასასიამოვნო მდგომარეობაში მაყენებს. გარკვეული დროის შემდეგ სლოკინი თანდათანობით გამივლის ხოლმე. რა შეიძლება იწვევდეს აღწერილ მდგომარეობას და როგორ უნდა მოვიქცე ასეთ შემთხვევებში?

პასუხი: სლოკინის მექანიზმი ასეთია: უცბად, კრუნჩხვით იკუმშება შუასაძგიდი (დიაფრაგმა), რაც სწრაფ ჩასუნთქვას იწვევს, მაგრამ ჰაერის მოძრაობას ეწინააღმდეგება ყიაში მბგერავი იოგების სწრაფი დახურვა და დამახასიათებელი ხმიანობა აღმოცენდება.

სლოკინს სხვადასხვა მიზეზი აქვს. იგი შეიძლება დაეწყოს სრულიად ჯანმრთელ ადამიანს მშრალი და მკვრივი საკვების, კუჭის გადავსების, ალკოჰოლის მიღების, სიცივის, ფსიქიკური აგზნების გავლენით, ზოგჯერ კი თითქოს უმიზეზოდ. მის აღმოცენებას ხელს უწყობს ნევროზული მდგომარეობა. ასეთი სლოკინის შესაჩერებლად საჭიროა ღრმად სუნთქვა, სუნთქვის შეკავება ჩასუნთქვის მდგომარეობაში დაჭიმვით, ყურადღების გადატანა რაიმე საგანზე ან მოვლენაზე, ლაპარაკით გართობა, ერთი-ორი ყლუპი ცივი წყლის დალევა, დამაწყნარებელი საშუალების (ვალერიანის ნაყენი, კორვალოლი, ვალიდოლი, პიტნის წვეთები და სხვა) მიღება. თუ სლოკინი დიდხანს გაგრძელდა, საჭიროა ექიმის კონსულტაცია.

ზოგჯერ სლოკინი სერიოზული დაავადების ნიადაგზე აღმოცენდება, ასეთია: მუცლის ფარის ანთება (პერიტონიტი), მუცლის ღრუს ორგანოების, შუასაძგიდის, თირკმლების, თავის და ზურგის ტვინის, ნერვების დაავადება, გულის კუნთის ინფარქტი, ინფექციური სნეულებები. ასეთ შემთხვევებში სლოკინის მიმდინარეობა ძირითად დაავადებაზეა დამოკიდებული.

■

შარშან ესპანეთში ორ თარიღს აღნიშნავდნენ: პირველი – ესპანელ ბურბონთა დინასტიის 300 წლისთავი იყო, მეორე – მეფე ხუან ჯარლოს პირველის მმართველობის 25 წლისთავი. მაშინ ბევრი ადამიანი ხუმრობდა – ახლა ყველა ესპანელი, მონარქისტი თუ არა, „ხუანჯარლოსისტი" მაინც არისო. საზოგადოებრივი აზრის ყველა გამოკვლევა ადასტურებს: მეფის რეიტინგი არასდროს დაცემულა „ცხრიანზე" დაბლა, ათბალიანი სისტემით. ამდენად, დაპირება, რომელიც ტახტზე ასვლისას ხუან ჯარლოსმა თავის ხალხს მისცა, მან შეასრულა ჯიდეც: ის ყველა ესპანელის მეფე გახდა.

მოჩვარჩეტო პრინცი, რომელიც ლირსეულ მონარქად იქცა

მეფის საოჯახო დოსიე

ესპანეთის მეფე ხუან კარლოს I დაიბადა რომში, 1938 წლის 5 იანვარს.

სრული სახელი: ხუან კარლოს ალფონსო ვიქტორ მარია დე ლა სანტისიმა ტრინიდად ი დე ტოდოს ლოს სანტოს ბურბონ-ი-ბურბონი.

მშობლები: დონ ხუან დე ბურბონ ბატენბერგელი, გრაფი ბარსელონელი; დონია მარია დე ლას მერსედეს დე ბურბონ ორლეანელი.

ცოლი: დედოფალი სოფია, საბერძნეთის პრინცესა, საბერძნეთის მეფის – პაველ პირველისა და დედოფალ ფედერიკას ქალიშვილი.

შვილები: ინფანტა ელენა (დაიბადა 1963 წელს), გათხოვილია; ინფანტა კრისტინა (1965), გათხოვილია; ფილიპე, პრინცი ასტურიელი (1968).

შვილიშვილები: სამი ბიჭი და ერთი გოგო.

გატაცება: თხილამურები, იახტები, მოტოციკლები.

ახალშეუღლებულები – პრინცი ხუან კარლოსი და საბერძნეთის პრინცესა სოფია. 1962 წ.

ორმაგი თამაში

მეფე უკვე 63 წლის არის, მაგრამ მაღალი და კარგი აგებულების კაცი, უწინდებურად ელეგანტური და სპორტულია, თუმცა კი ბოლო დროს ცოტათი მოიმატა წონაში. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც 10 წლის გაჩხინკული ბიჭი პირველად ჩამოვიდა ესპანეთში შვეიცარიიდან, სადაც მშობლებთან ერთად ცხოვრობდა.

მამამისმა – დონ ხუან დე ბურბონმა, 1931 წელს დამხობილი მეფის – ალფონსო მეცამეტის მესამე შვილმა, სამეფო სახლის მეთაური რომ გახდა, თავისი ვაჟი მაშინ გააგზავნა სამშობლოში სასწავლებლად, როცა 1947 წელს დიქტატორმა ფრანკომ ესპანეთი ოფიციალურად გამოაცხადა სამეფოდ. ახალი კანონის თანახმად, სახელმწიფოს სათავეში კვლავ დიქტატორი რჩებოდა, მაგრამ ესპანელ ბურბონებს გაუჩნდათ შანსი, მომავალში მაინც დაებრუნებინათ ტახტი.

ფრანკომ დონ ხუანი იახტა „ასორზე" რომ მიიწვია და მისი შვილის ესპანეთში სასწავლებლად გამოგზავნა შესთავაზა, გრაფი მიხვდა, რომ მისი უარი გვირგვინის უარყოფის ტოლფასი იქნებოდა. ისტორიულ სამშობლოში ბიჭის გაცილებისას, მამა ასე არიგებდა შვილს:

სამი შვილის ბედნიერი მშობლები

„ყურადღებით მოუსმინე ფრანკოს, მაგრამ შენ თვითონ, რაც შეიძლება ცოტა ილაპარაკე“.

ბიჭმა ისე კარგად აითვისა მამის დარიგებები, რომ მოხიბლა კაუდილიო (ბელადი). ის ძალზედ ტაქტიანად იქცეოდა, მოწიწებით ეპყრობოდა უფროსებს, კარგად სწავლობდა (ჯერ სკოლაში, შემდეგ სამხედრო სასწავლებლებსა და აკადემიებში). ჯარის სამი სახეობის სასწავლებლის შემდეგ, ხუან კარლოსი მადრიდის უნივერსიტეტში ეუფლებოდა საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართალსა და ეკონომიკას.

საინტერესოა, რომ ბიჭი ძალზედ მოკრძალებულად იქცეოდა, არ მეტიჩრობდა, ფრთხილობდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს მოტოციკლეტით სწრაფი სიარული უფრო იზიდავდა, ვიდრე ინტელექტუალური დისკუსიები. სამხედროებს ის უყვარდათ, უნივერსიტეტელ ჭკუის კოლოფებს კი, ცოტა თავქარიანი და უწყინარი ეგონათ. ფრანკოსაც ეს ხელს აძლევდა და მემკვიდრის ნებისმიერ ქმედებაზე თვალს ხუჭავდნენ.

პრინცი იმდენად ოსტატურად თვალთმაქცობდა, რომ ინტელექტუალებმა მას ბურბონ-ი-ბურბონის ნაცვლად, ბობონ-ი-ბობონი შარქვეს („ბობონი“ ესპანურად, „მოჩერჩეტოს“ ნიშნავს), ზოგიერთი ფალანგისტი – ფრანკოს მომხრე და მონარქიის მოწინააღმდეგე კი, დემონსტრაციებზე გამოსვლისას მღეროდა: „ძირს იდიოტი-მეფე, ის ვერასოდეს შეძლებს ქვეყნის მართვას“.

პრინცი კი მოხერხებულად თვალთმაქცობდა და იმჟამად ფალანგისტებში ფრიად პოპულარული ულვაშიც კი მოუშვა, რომელიც მას უფრო ბრიყვულ იერს აძლევდა. თუმცა ამას უკვე მისი ცოლი შეეწინააღმდეგა: სოფი ყველაფერში კი უწყობდა ხელს ქმარს, მაგრამ ასეთი დაცინვა ვერ აიტანა და საკუთარი ხელით მოჰპარსა მას ულვაში.

და მაინც, ხუან კარლოსსაც დროდადრო ბეზრდებოდა თვალთმაქცობა და ახლობლების წრეში მწარედ წამოიძახებდა ხოლმე: „ვიცი, რომ ბევრს სულელი ვგონივარ, მაგრამ აბა, ერთი, დადგნენ ჩემს ადგილას – მამაჩემმსა და ფრანკოს შორის...“ მას წლების მანძილზე მოუწია ამ ნიღბით სიარული – მანამ, სანამ 1975 წელს მეფე არ გახდებოდა.

ესპანური დემოკრატიის მამა

ტახტზე ასვლისთანავე, მეფემ ყველას აგრძნობინა, რომ ესპანეთი დემოკრატიული რეფორმების გზას ირჩევდა. ამავე დროს, მან მოახერხა ისე გაეკეთებინა ეს, რომ არავინ დაეშინებინა: ყველას მისცა იმის გარანტია, რომ არ შეავიწროებდა. ასე გადაარჩინა მან ქვეყანა სამოქალაქო ომს, სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისსა და პუტჩის შესაძლო მცდელობასაც.

მომავალ მეფეს ჯარისკაცობაც უხდებოდა (ზედა ფოტო)... და მხედართმთავრობაც შვენის

სადღეისოდ ესპანეთის პოლიტიკური სისტემა და ეკონომიკა აწყობილია, ხუან კარლოსს კი თვალთმაქცობა აღარ უხდება. ხალხის წინაშეა მეფე, მეუღლე, მამა და ბაბუა – კაცი, რომელსაც აღარავინ მიიჩნევს „ბობონად“. რაც მთავარია, ის ყველასთვის არის „ჩვენი ხუან კარლოსი“. დღეს აღარავინ იხსენებს, რომ მეფედ კურთხევის შემდეგ მას ხუან კარლოს I ხანმოკლეს ეძახდნენ – იმის მინიშნებით, რომ ახალ მეფეს ძალზედ მოკლე დღე ეწერა. ეს პროგნოზი რომ არ გამართლდა, ახლა ამას არავინ ნანობს.

მეფეს დედოფალი ქმნის

მეფე არა მარტო პოლიტიკაში იყო იღბლიანი, მას სიყვარულშიც გაუღიმა ფორტუნამ: ის იმ იშვიათ მონარქთაგანია, ვინც თავს უფლება მისცა, სიყვარულით შეერთო ცოლი და ოჯახურ ცხოვრებაშიც ბედნიერი ყოფილიყო. საბერძნეთის პრინცესა სოფია, ევროპის ერთ-ერთ ყველაზე წარჩინებულ გვარს მიეკუთვნება.

ხუან კარლოსი და სოფია 1962 წელს, ბობოქარი რომანის შემდეგ დაქორწინდნენ და ყველასთვის მეუღლეების ეტალონად იქცნენ. ტანად ახოვან ხუან კარლოსსა და მოხდენილ, ელეგანტურ სოფიას, ლამისაა, ევროპის ყველაზე ბედნიერ გვირგვინოსან წყვილად მიიჩნევენ. რამდენიმე წლის წინ დედოფალმა თქვა: „სიყვარული ცოცხალი არსებასავით არის – იბადება, იზრდება, ვაჟკაცდება, იცვლება. ჩვენი სიყვარული კიდევ, მყარ მეგობრობაშიც გადაიზარდა. არ ვიცი, ვინ როგორ ურთიერთობს, ჩვენ კი ძალიან ბევრს ვსაუბრობთ, ვმსჯელობთ. ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს“.

გვირგვინოსნები შუათანა ქალიშვილთან კრისტინასთან და შვილიშვილთან ხუანთან ერთად

საინტერესოა, რომ მეფე-დედოფალი ერთმანეთში ინგლისურად და ესპანურად საუბრობს, მშობლიურ ენასთან – ბერძნულთან ერთად კი, დედოფალი საუცხოოდ ფლობს გერმანულს, ხოლო ესპანურად, ოდნავ შესამჩნევი აქცენტით მეტყველებს.

მეუღლეები იუმორის მოყვარული

მეფე ხუან კარლოსი ავტომობილსაც მეფურად მართავს...

ადამიანები არიან. ხუან კარლოსი, რომელსაც წლების მანძილზე უწევდა თვალთმაქცობა, ხუმრობას ყოველდღიური საზრუნავისგან გამოთიშვის საუცხოო საშუალებად მიიჩნევს. დედოფალი მუდამ სიამოვნებით იხსენებს ქმრის მოსწრებულ ნათქვამს, რომელიც მან ტახტზე ასვლის წინ გაუზიარა: „სოფი, აქამდე მარტო მე ვიცოდი, რამდენი წლის ხარ, დღეს კი შენს ასაკს ყველა ესპანელი შეიტყობს“.

დედოფალი დიდი მოთმინებით გამოირჩევა და ხუან კარლოსიც ხშირად უსვამს ხაზს ცოლის დიდ „მეფურ პროფესიონალიზმს“. ის იმასაც სათანადოდ აფასებს, რომ მისადმი ქალების ყურადღების გამო, სოფიას არათუ უკმაყოფილება არ გამოუთქვამს, არამედ ნაკვთიც კი არასოდეს შესტოკებია. თუმცა, არც მეფეს მიუცია ვინმესთვის საბაბი, მის რაიმე სასიყვარულო თავგადასავალზე ეჭორავათ. საოცარია, მაგრამ მისი პირადი ცხოვრება მხოლოდ ერთ იდუმალ მომენტს შეიცავს.

1987 წელს ხუან კარლოსი უეცრად გაუჩინარდა, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ის ინკოგნიტოდ, მარტო, შვეიცარიაში ისვენებდა. ქვეყანა გარინდული ელოდა, რას მოიმოქმედებდა დედოფალი. ყველა ტელეეკრანებთან იყო მიმჯდარი, როცა მისი უდიდებულესობა მორიგ პროტოკოლურ წვეულებაზე გამოჩნდა. სოფიამ მეუღლეს ხელკავი არ გამოსდო და ყველა ესპანელი აღელდა, მაშინ კი, როცა დედოფალი, ბოლოს და ბოლოს, მეფის ხელს დაეყრდნო, ქვეშევრდომებმა შვებით ამოისუნთქეს.

სხვათა შორის, მთელმა ესპანეთმა იცის, რომ მეფე-დედოფალს განცალკევებული საძინებლები აქვს, მაგრამ ეს არავის აცბუნებს: მეფეებს აქვთ უფლება, იცხოვრონ ისე, როგორც მათ მოსწონთ, მით უმეტეს, თუ საამისოდ ფართობი ჰყოფნით... თანაც, მათ უკვე მოზრდილი შვილები ჰყავთ.

მთელი სამეფო ამალა

მეფე-დედოფალს არ უყვარს ფუფუნება. მადრიდში მდებარე სამეფო სასახლეს — პალასიო რეალს ისინი მხოლოდ საზეიმო სახელმწიფო ცერემონიებისთვის იყენებენ.

სამეფო ოჯახი მადრიდის მახლობლად მდებარე მომცრო სასახლეში — ლა სარსუელაში ცხოვრობს. ახლა მშობლებთან მხოლოდ ვაჟიშვილი — ესპანეთის ტახტის მემკვიდრე ფილიპე, პრინცი ასტურიელია. უფროსი ქალიშვილები — ინფანტები ელენა და კრისტინა გათხოვილები არიან და თავ-თავიანთ ოჯახებთან, ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

ბედნიერი მამა საკურთხეველთან მიაცილებს უფროს ქალიშვილს — ელენას

მთელი უძრავი ქონება, რომლითაც სამეფო ოჯახი სარგებლობს, ეროვნული მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის სახელმწიფოს ცენტრის საკუთრებას წარმოადგენს და მეფის განკარგვაში მხოლოდ დროებით არის. სხვა ევროპული დინასტიებისაგან განსხვავებით, ესპანეთის მონარქები დიდ პირად ქონებას არ ფლობენ. ნორმალური ცხოვრებისა და ე.წ. წარმომადგენლობითი ხარჯების დასაფარავად, მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან წელიწადში 6 მლნ დოლარამდეა გამოყოფილი.

მეფე-დედოფალი ფუფუნებისაკენ არ ილტვის. თავად მართავენ ავტომობილებს, საკმაოდ მოკრძალებულად იცვამენ. დედოფალი, რომელიც ცხოველთა ქომაგად არის ცნობილი, საერთოდ არ იკარებს ბეწვეულს. ის ვეგეტარიანელიც გახდა, თუმცა ამაში მას მეფემ ჯერ არ მიბაძა.

ერთადერთი, რის გამოც ახლა ესპანელები წუხან, — ეს პრინც ფელიპეს პირადი ცხოვრებაა: ტახტის 33 წლის მემკვიდრე ვერა და ვერ დაოჯახდა. მის ასაკში მამამისს უკვე სამი შვილი ჰყავდა, მას კი ვერაფრით გაუკეთებია არჩევანი. როცა პრინცს ესპანელ არისტოკრატ ქალთან — იზაბელ სარტორიუსთან ჰქონდა რომანი, ესპანელები გახარებულები იყვნენ, მაგრამ ახალგაზრდები ერთმანეთს დაშორდნენ და ბევრი ამას, დედოფალ სოფიას აბრალებს: ამბობენ, ის ძალზედ მომთხოვნია მომავალი რძლის მიმართ — ის ხომ, საბოლოოდ, ქვეყნის დედოფალი უნდა გახდეს.

ცოტა ხნის წინ პრინცს ახალი მეგობარი ქალი გაუჩნდა — ნორვეგიელი მოდელი — და ამან ყველა კვლავ ააფორიაქა.

პრინცის მომავალ მეუღლეს საკმაოდ მძიმე ტვირთი ელის — როგორი კარგიც არ უნდა იყოს, რადგან ესპანელებს ძალზედ ავტორიტეტული საზომი ჰყავთ. ეს საზომი, დედოფალი სოფიაა, რომელიც მთელი ქვეყნისთვისაც ბევრს ნიშნავს — ისევე, როგორც ამ ქვეყნის მონარქის — ხუან კარლოს პირველისათვის. ■

მეტიჩარა გოჭის ნომერი

ღმერთთა საკვები
ქალაქის თავი
ასეულის მეთაური ძველ რომში
ზამორა, შროიფი, იაშინი
ხშირბეწვიანი პატარა მტაცებელი ნადირი
საათების იაპონური ფირმა
წყალ-გაუვალი ქსოვილი
მუსიკალ. ბგერის გრაფიკული ნიშანი
მდინარე ვენესუელასა და კოლუმბიაში
რობერტ დე ...
უწინ – ოურევი, ამჟამად –?
ეუბადლო შემსრულებელი
სატვირთო-სამგზავრო მანქანა
სახელმწიფო აზიაში
აფრიკის უმაღლესი მწვერვალი
ძველად: შეურაცხყოფილის დაკმაყოფ.
სინამდვილის განზრახ დამახინჯებ. წარმოდგენა
მცირე ზნით მონა-ხულება
მდინარე საქართველოში
მართლმადიდებელ ბერთა ცენტრი
ფილმი ჰოფმანისა და ლანგის მონაწ-ით
კამათელი
ფაშისტური გერმანიის რაკეტები
... ფერარი, ... ბეარძოტი
ქვის ხანის უჭკ ჭრილი
ხის ანახეთქი
სიგანე
მუსიკის გამომგონებელი ბერძნ. მით.
საძრახისი ქმედების მომწყობი
ქალაქი დახრილი კოშკით
ქართული შუა საუკ. მონასტერი თურქეთში
ისრაელის საიდუმლო სამსახური
ლერწმის აღების პერიოდი კუბაში
ამერიკელი მსახიობი კუნ-ფუს ოსტატი
მცენარე დიდების გვირგვინ-სათვის
ამერიკელი პოპ მომღერალი
ტენიანი ჰაერის გაცეების შედეგი
ქეთევან ბაგრატიონის ქმარი
სუფთა გამარჯვება ძიუდოში
პარკოსანი მცენარე
ყვავილი
შეადგინა რამაზ ალანიამ

27-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა; 4-ა.
49-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-გ.

კვირის (17 – 23 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

თავდაჯერებულობა გამოიჩინეთ. საქმეში წარუმატებლობის მიუხედავად, თქვენი მჭევრმეტყველების, მიმზიდველობისა და არტისტიზმის წყალობით შეგიძლიათ საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცეთ. მაგრამ ეს ამბავი უფროსობას მაინცდამაინც არ მოეწონება.

თხის რქა – 22/XII-20/I

ამ კვირაში ნამდვილი ლიდერის თვისებებს გამოავლენთ! თქვენი ორატორული ნიჭით შეძლებთ უკლებლივ ყველას აყოლიებასა და ახალი საქმეების წამოწყებას. მოკლედ, ბრწყინვალე პერსპექტივა გესახებათ. ასე განაგრძეთ! თუმცა, ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ ზეასვლას ყოველთვის დაცემა მოჰყვება ხოლმე.

მერწყული – 21/I-19/II

მაღვიძარას როლს იკისრებთ და საკუთარ თავში მიძინებული ტალანტის გამოღვიძებას ეცდებით. სრულიად ახალ ასპარეზზე მოინდომებთ მოღვაწეობას და სასურველ შედეგსაც მიაღწევთ. მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავები ყველაფერში გეხმარებიან, პროფესიის შეცვლას მაინც ნუ იჩქარებთ.

თევზები – 20/II-20/III

სამშაბათი და ოთხშაბათი საუკეთესო დღეებია იმ საუბრისთვის, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე უფრთხოდით. ბოლოს და ბოლოს, ყველა უსიამოვნებას წერტილს დაუსვამთ და შვებით ამოისუნთქავთ. მართალია, მძიმე საუბარი გელით, მაგრამ ნუ შეშინდებით: კვირის ბოლოს მოსალოდნელია მხიარული შეხვედრები და მსუბუქი, სასიამოვნო ფლირტი.

ვერძი – 21/III-20/IV



ცხოვრების ჩვეულ რიტმს რაღაც მნიშვნელოვანი საქმე ან ოჯახში წარმოქმნილი პრობლემები დაგირღვევთ. ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებების შესატანად პარასკევი აირჩიეთ. უქმე დღეებში თქვენი ყურადღება რაღაც უჩვეულოსა და ექსტრავაგანტურისაკენ იქნება მიპყრობილი.

კურო – 21/IV-21/V

ნუ იქნებით სხვების მიმართ ზედმეტად მკაცრი და მომთხოვნი. თავად კი, შეგიძლიათ თავდაუზოგავად იმუშაოთ, რადგან ეს შრომა აუცილებლად დაგიფასდებათ და დიდ წარმატებასაც მოგიტანთ ფინანსურ და სასიყვარულო საქმეებში. ერიდეთ სამსახურებრივ რომანს, თუ თქვენთვის ძვირფასია ოჯახი.

მარგალიტი – 22/V-21/VI



მთელი კვირის მანძილზე რომანტიკული გრძნობები არ მოგასვენებთ. ყველა სიტუაციაში საპირისპირო სქესის წარმომადგენელს ამოირჩევთ და თვალების ჟუჟუნს დაუწყებთ. გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა, საქმე უბრალო ფლირტზე შორს წავიდეს და ქორწინებამდეც კი მივიდეს.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

კვირის დასაწყისში იღბალი და წარმატება გელით: ყველა გარემოება თქვენს სასარგებლოდ შემობრუნდება. თუკი ძალა და შესაძლებლობები არ გეყოფათ, კოლეგები, მეგობრები და ოჯახის წევრები დაგეხმარებიან. აი, ხუთშაბათს კი, შესაძლოა, რაღაც დაბრკოლებას წააწყდეთ. შაბათი და კვირა სპორტს და ფიზიკურ ვარჯიშს დაუთმეთ.

ლომი – 23/VII-23/VIII



თქვენს გაურკვეველ გეგმებსა და მიზნებს ამ კვირაში, წესით, ნათელი უნდა მოეფინოს. ოღონდ, არ აგერიოთ: ოცნებები კი არ აგისრულდებათ, არამედ, უბრალოდ, გაირკვევა, რა გსურთ და პრინციპში, მთელ კვირას ძირითადად ამ პერსპექტივის განხილვაში გაატარებთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX



საერთოდ, მეტისმეტად ორგანიზებული და მოწესრიგებული ადამიანი ხართ. ამ კვირაში კი ეს თვისებები გაგიათკეცდებათ, რაც კოლეგების უკმაყოფილებასა და ნებისმიერი საქმის წარმატებით დაგვირგვინებას მოგიტანთ. უქმე დღეებში მაინც მოდუნდით და შაბათ-კვირა ახლობლების წრეში გაატარეთ.

სასწორი – 24/IX-23/X

საერთოდ, ყველაზე მეტად გადაწყვეტილების მიღება გიჭირთ, მაგრამ ამ კვირაში ეს საქმე გასაოცრად იოლად გამოგივათ. და, რაც მთავარია – სწორად! არაჩვეულებრივ და უტყუარ ალღოს გამოავლენთ და ბრწყინვალე შედეგსაც მიიღებთ. მაგრამ, მოულოდნელი მღელვარება გელით თქვენი ოთხფეხა მეგობრის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით...

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ფუჭი მოწყენილობა, რომელიც კვირის დასაწყისში დაგეუფლებათ, უმჯობესია ოჯახურ წრეში გაიქარწყლოთ. სწორედ თქვენს საყვარელ ადამიანებთან შეძლებთ დამშვიდებასა და იმ ენერგიის მოზღვავებასაც იგრძნობთ, რომელიც კვირის ბოლოს მოსალოდნელი პოზიტიური ძვრებისთვის გამოგადგებათ.

მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის გარშემომყოფთა აზრი

ჩვენ გარშემო მუდმივად ტრიალებს ხალხი. ყველა აქცევს ყურადღებას ერთმანეთის აზრს თუ გარეგნობას, მაგრამ ამას ზოგი მეტ ყურადღებას ანიჭებს და განიცდის, ზოგს კი გარშემომყოფთა აზრი ნაკლებად აღელვებს. თუ გსურთ გაარკვიოთ, ადამიანთა რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით, უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტის შეკითხვებს:

1) როგორ ტანსაცმელს შეარჩევთ, თუ სამსახურში მოსაწყობად გასაუბრებაზე მიდიხართ?

ა) მკაცრ, საქმიან კოსტიუმს;

ბ) ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ტანსაცმელს;

გ) რაც პირველად მოგხვდებათ ხელში.

2) ცუდ ხასიათზე დგებით თუ არა, როცა ვინმე თქვენს გარეგნობას აკრიტიკებს?

ა) ორი დღის მანძილზე ხასიათზე ვერ მოხვალთ და ეცდებით, რაც შეიძლება მწარედ გადაუხადოთ სამაგიერო შენიშვნის მომცემს;

ბ) დაფიქრდებით, იქნებ შენიშვნა სამართლიანია;

გ) მაშინვე საჭირო პასუხს მოძებნით და შენიშვნის მომცემს თავის ადგილს მიუჩენთ.

3) თუ დილას ჩვეულებრივზე გვიან გაგეღვიძათ და სამუშაოზე წასვლამდე მხოლოდ 20 წუთი გრჩებათ, ამ დროის უმეტეს ნაწილს რას დაუთმობთ?

ა) ტანსაცმლის მოწესრიგებას;

ბ) საუზმეს;

გ) ბინის გასაღების ძებნას.

4) თუ საყვარელი ქურთუკი გაგეხათ, რა აგაღელვებთ ყველაზე მეტად?

ა) ის, რომ დახეული ქურთუკით მოგიწევთ მთელი დღე ქალაქში სიარული;

ბ) რა თქმა უნდა, ქურთუკი დაგენანებათ;

გ) ახალი ქურთუკის საყიდლად ფულის დახარჯვა რომ იქნება საჭირო.

5) თუ საყვარელი პიროვნება თქვენთვის არცთუ ისე შესაფერის ქათინაურს მოგიძღვნით, თქვენ:

ა) გაგეხარდებათ — ნებისმიერი ქათინაური სასიამოვნოა;

ბ) მორიდებულად აუხსნით, რომ შემდგომში თქვენს საამებლად უფრო შესაფერისი ქათინაური მოიფიქროს;

გ) რაიმე მწარე პასუხს გასცემთ.

6) ხშირად არიან თუ არა ახლობლები და მეგობრები აღფრთოვანებულნი თქვენი გარეგნობით?

ა) როცა სარკეში იყურებით, საკუთარი თავით აღფრთოვანებული თავადაც რჩებით, სხვები ხომ — მით უმეტეს;

ბ) არცთუ ისე ხშირად, მაგრამ ხდება ხოლმე;

გ) ასეთი რამ არასოდეს მოგისმენიათ.

7) თუ თანამშრომელი გთხოვთ, დაეხმაროთ ახლობლისთვის საჩუქრის შერჩევაში, თქვენ:

ა) უარს ეუბნებით — ამგვარმა თხოვნებმა თავი მოგაბეზრათ;

ბ) სიამოვნებით ეხმარებით;

გ) ეთანხმებით, მაგრამ აფრთხილებთ, რომ არაორდინარული გემოვნება გაქვთ და შეიძლება თქვენმა არჩევანმა საერთო აღფრთოვანება ვერ გამოიწვიოს.

8) როგორი იქნება თქვენი რეაქცია, თუ დაბადების დღეზე მოგართმევენ წიგნს „ლამაზად ჩაცმის ხელოვნება“?

ა) ღიმილით დაინტერესდებით, ნამდვილად გესაჭიროებათ თუ არა ეს წიგნი და გულის ფანცქალით დაელოდებით პასუხს;

ბ) მადლობას გადაუხდით — თქვენს ბიბლიოთეკაში მუდამ მოიძებნება ადგილი საინტერესო წიგნისთვის;

გ) დეტალურად გამოიკითხავთ, რატომ მოგიძღვნეს საჩუქრად მაინცდამაინც ეს წიგნი.

ყოველი ა) პასუხი შეაფასეთ 0 ქულით, ბ) პასუხი — 10 ქულით, ხოლო გ) — 20 ქულით.

დააჯამეთ ქულები და გაეცანით შედეგებს:

0-60 ქულა: გარშემომყოფთა აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ, ყველანაირად ცდილობთ, რომ ეს აზრი დადებითი იყოს. ხშირად ამას ახერხებთ კიდეც. ყოველი ირიბი გამოხედვა გაშფოთებთ. უკეთესი იქნება, საკუთარი თავის ფასი იცოდეთ და საკუთარ ღირსებებსაც შესაბამისად აფასებდეთ. თუმცა გარშემომყოფთა აზრს ამხელა ყურადღებას უფრო იმიტომ უთმობთ, რომ თქვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახლობელთა მიერ გამოვლენილ სიმპათიას, ურთიერთობას, ადამიანურ სითბოს და რა თქმა უნდა, სიყვარულს.

70-120 ქულა: მაინცდამაინც არ გაღელვებთ, რას ფიქრობს თქვენზე ხალხი. წლების მანძილზე საკუთარ თავზე მკაცრი და ჭეშმარიტი შეხედულება გამოგიმუშავდათ, მაგრამ ისიც იცით, რომ ხანდახან მეგობრებს თქვენი „დამუშავება“ ძალიან უყვართ, რა თქმა უნდა, ეს ძირითადად თქვენს ზურგს უკან ხდება. როცა ამას გრძნობთ, თქვენი თვითდაჯერება ქრება და გარშემომყოფთა აზრითაც ხშირად ინტერესდებით, წარმატებით იყენებთ ბუნებით მომადლებულ იუმორის გრძნობას და ცდილობთ დაცინვის ობიექტი თავად არასდროს გახდეთ.

130-160 ქულა: გარშემომყოფთა აზრს თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იცით, რომ ისინი თქვენთან სერიოზულად არ ინტერესდებიან და მხოლოდ ერთობიან. თქვენთვის ბევრად მნიშვნელოვანი ოჯახის წევრების და ახლობლების აზრია, შეიძლება მათი შენიშვნის შემდეგ ღამეც არ დაგეძინოთ და აფორიაქდეთ, რადგან იცით, რომ ოჯახის წევრების კრიტიკა უმეტესად სამართლიანია ხოლმე. ■

თალიბანი ბოლო ადგილზეა

ხუთი წლის ცხენის მწვრთნელი მარია მიკო აცხადებს, რომ დღის ინგლისელი მოყვარულები იმის გამო აღარ დებენ მასზე ფსონს, რომ ბედაურს თალიბანი ჰქვია.

პატრონმა – ჯონ უეიდმა ის წლინახევრის წინ შეიძინა, მაშინ კი ეს სახელი, ესოდენ ტრაგიკულ ასოციაციას როდი იწვევდა, როგორსაც ახლა.

„მაყურებლები თვალებს არ უჯერებენ, სიაში თალიბანს რომ ამოიკითხავენ ხოლმე. ჩვენ ვცადეთ, მისი სახელი სხვაგვარად – თალი ბან დაგვეწერა, მაგრამ საქმეს ამანაც ვერ უშველა – ხალხი მასზე ფსონს მაინც არ ჩადის. ერთადერთი გამოსავალი, ბედაურისთვის სხვა სახელის შერქმევაა“, – დასძინა ჟურნალისტებთან საუბრისას მწვრთნელმა. საინტერესოა, რომ „დათრგუნვილი“ თალიბანი უკანასკნელ ხანს კარგი შედეგებითაც არ გამოირჩევა, ბოლო დღეში კი, ფინიშემდე ყველა სხვა ცხენს ჩამორჩა. ■

ძაღლის სარეცხი მანქანა

ესპანელმა ანხელ სეგურამ ძაღლის სარეცხი მანქანა გამოიგონა. ეს არის გამჭვირვალე კაფსულა, რომელიც ჩვეულებრივი სარეცხი მანქანის პრინციპით მუშაობს. გამომგონებლის თქმით, ოთხფეხას საფუძვლიანად გასარეცხად ოციოდე წუთია საკმარისი, ძაღლის ბეწვი კი, რეცხვისა და სპეციალური ფენით გაშრობის შემდეგ, ისეთივე ლამაზ იერს იღებს, როგორსაც ადამიანის თმა, უახლესი შამპუნით დაბანის შემდეგ. მანქანამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ ერთმა მოქალაქემ საკუთარ თავზე მისი გამოცდა გადაწყვიტა და სანამ თავის ოთხფეხა მეგობარს გარეცხავდა, თავად ჩაჯდა კაფსულაში და იმაშიც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მანქანა სრულიად უსაფრთხოა. ■

მოულოდნელი ბიჯდება

ჯონ ლენონის სიყრმის მეგობრის – სტიუარტ სატკლიფის დამ პაულინამ თავის გამოსაცემად გამზადებულ წიგნში აღნიშნა, რომ 1962 წელს სწორედ „ბითლზის“ ხელმძღვანელის გამო დაიღუპა მისი ძმა. სტიუარტმა ლენონი 1959 წელს გაიცნო და „ბითლზის“ წინამორბედი ჯგუფის – JOHNNY AND THE MOONDOGS წევრი იყო. მას ზოგჯერ „მეხუთე ბითლადაც“ კი მოიხსენიებენ, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ანსამბლის საწყის განვითარებაზე. სატკლიფი 22 წლის ასაკში – ტვინში სისხლის ჩაქცევისგან, „ბითლზის“ პირველი ჰიტის – LOVE ME DO გამოსვლამდე 6 თვით ადრე გარდაიცვალა. დის აზრით, მისი უბედურების მიზეზი, ის ფიზიკური დარტყმა აღმოჩნდა, რომელიც სტიუარტს დაღუპვამდე 1 წლით ადრე, სიმთვრალეში ლენონმა მიაყენა. ■

ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა მიხეილ საკაშვილმა და რეზო შავიშვილმა.

ვულოცავთ ბატონ მიხეილს და ბატონ რეზოს და ვუსურვებთ წარმატებებს!

ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (18 დეკემბრის) 13 საათამდე.



„ფანტაზია“
ერთმანეთთან დასამალი
არაფერი გვაქვს



„ფანტაზიორებს
ყველაფერი
ვიცით“

„ სიცოცხლე-ოცნება“

ყოველ სამშაბათს და შაბათს

ყველაზე გასართობი ჟურნალი